პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 მაისი ხუთშაბათი 2013
№125 (14 041) ფასი 80 თეთრი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა VI ჯგუფში ინგლისი, ბელგია, შოტლანდია მოიტოვა და ივლისში ევროპის ჩემპიონატზე ლიტვაში იასპარეზებს

ბელგია – საქართველო

**0:2**

0:1 ფანცულაია (56)
0:2 სამუშია (78)

# ელიტარულმა ქვედანაყოფმა ბელგია გაჭრა და ევროპაზე გაიჭრა



გრიგოლ რობაქიძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისევ გაიმეორებდა – "მე ვნახე როკვა ქართული გენისა"! ჩვენ ეს როკვა სატელევიზიო რეპორტაჟით ვერ ვნახეთ, მხოლოდ უეფას ვებგვერდის ტექსტურ რეპორტაჟში ვიკლავდით მატჩის ცქერის წყურვილს.

გია ცეცაძის გაწვრთნილი საქართველო ლიტვაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს! გუშინ 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდის გადამწყვეტ შეხვედრაში ბელგიას დაუპირისპირდა. ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად, "ჯვაროსნებს" ხელს ფრეც აძლევდათ, თუკი ჯგუფის მეორე მატჩში ინგლისი შოტლანდიას დიდი სხვაობით არ მოუგებდა - ევროპის ჩემპიონატზე ხომ მხოლოდ პირველადგილოსანი გადიოდა.

2 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 4 ქულა ჰქონდა და პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მეორე-მესამეზე 2-2-ქულიანი ბელგია და ინგლისი, მეოთხე ადგილზე კი – შოტლანდია (1 ქულა).

ბოლო ტურში ცეცაძის გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან შესარჩევ ეტაპებსა და წინა ორ ტურში გაძევებებისა და ყვითელი ბარათების სიუხვის გამო, გუშინ ნაკრებს ერთბაშად 5 მოთამაშე დააკლდა – მცველი დავით მთივლიშვილი, ნახევარმცველები ავთო ენდელაძე და თემურ მარკოზაშვილი და თავდამსხმელები, ბაჩო არაბული და ნიკა კაჭარავა. სათადარიგოებში მხოლოდ მეკარე ბაჩო მიქავა და მცველი ალექსანდრე გურეშიძე იყვნენ.

ეს ყველაფერი შოტლანდიასთან შეხვედრის არბიტრის, ესპანელი კარლოს დე სეროს დამსახურება იყო. გუნდს ამ დროს არ ახლდა ფედერაციის დელეგაცია და შესაძლოა, ჩათვალეს, რომ უპატრონო გუნდი გვყავდა. ამის გამო, უეფას კონგრესის შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე ფიფას კონგრესზე არ გაემგზავრნენ და ბელგიაში საქართველოს 19-წლამდე ნაკრების მხარდასაჭერად ჩავიდნენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბუნს 15, 9 და 3:3



↳11

## ოლიმპი მწვერვალზე



U19. ელიტ რაუნდი

# მზიანი ღამე ბელგიაში

## ცეცაძემ საქართველო ევროფინალში გაიყვანა!

**ბელგია — საქართველო 0:2**

29 მაისი. ბორნემი. „ბრევენშტადიონი".

0:1 ფანცულაია (56), 0:2 სამუშია (78).

*გამოუყენებელი პენალტი:* ფანცულაია (74. ძელი)

ბელგია: დხუსტი, რიბომა (73. კასტანი), რეისენ, დე საარი, ფოკეტი, ვერსტრატე, კაბასელე (58. სხაივერსი), სხოფსი, ატება, ბეიკერსი (63. კორინი), ტროსარი.

*სათადარიგოები:* გობლე, ფიორე, დე ნევი.

*მთავარი მწვრთნელი:* მარკ ვან გეერსომი

საქართველო: თებიძე - გეგეჩკორი, ჭანტურია, სანდოხაძე, უბილავა – სამუშია (80. გურეშიძე), დვალი, ცნობილაძე – ფანცულაია, ზარანდია, ზივზივაძე

*სათადარიგო:* მიქავა.

*მთავარი მწვრთნელი:* გია ცეცაძე

გაფრთხილება: უბილავა (7), სამუშია (21), გეგეჩკორი (68), დე სარი (71), სხაივერსი (75).

გაძევება: რეისენი (90+3)

არბიტრი: საშა ამხოფი (შვეიცარია)

### პირველი გვერდიდან

ფედერაციის ვებგვერდთან **სიჭინავას** კომენტარიდან შევიტყვეთ, რომ უეფას წარმომადგენლებსა და ელიტრაუნდზე მსაჯთა დამკვირვებელს შოტლანდიასთან მატჩში მომხდარ ფაქტებზე რეაგირება სთხოვეს.

...მატჩი მძიმედ დავიწყეთ: **ბრიგერ ვესტრატის, ლეონარდო ტროსარისა** და **თომას ფოკეტის** დარტყმების შემდეგ მეკარე **გაბრიელ თებიძემ** გადაგვარჩინა, რომელმაც მთელი ელიტრაუნდი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. საქართველომ ამის შემდეგ შექმნა მომენტები, მაგრამ **გურამ სამუშიასა** და **ლაშა დვალის** დარტყმების შემდეგ მასპინძლები მეკარე **სვენ დრუხტსმა** გადაარჩინა.

მეორე ნახევარიც ბელგიელთა მომენტით დაიწყო, მაგრამ ცეცაძის გაწვრთნილებმა თამაში კვლავ გაათანაბრეს – ჩვენების პირველი სახიფათო მომენტი კვლავ სამუშიამ შექმნა.

სიხარული 56-ე წუთზე გვეწვია: შეტევა **გიორგი ფანცულაიას** ზუსტი დარტყმით დასრულდა – 1:0.

ქუთაისის "ტორპედოს" თავდამსხმელს უპირატესობის გაზრდის საშუალება 74-ე წუთზეც ჰქონდა, მაგრამ **ლუკა ზარანდიას** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ძელს მოარტყა.

ჩვენები ამ წარუმატებლობამ ვერ გატეხა და ბელგიელებს კვლავ შეუტიეს. ამან 78-ე წუთზე შედეგი გამოიღო: სამუშიამ ჩვენების უპირატესობა ორამდე გაზარდა - 2:0 და ყველაფერი ცხადი გახდა...

მატჩის მიწურულს **ლაშა დვალთან** უხეშობისთვის მასპიძელთა მოთამაშე **ჟილ რეისენი** გააძევეს, მთავარმა არბიტრა კი ჩვენი გამარჯვება და უდიდესი სიხარული დააფიქსირა - 2:0. საქართველოს გუნდი მეხუთედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და კონტინენტის 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

მადლობა ბიჭებს, გია ცეცაძესა და მის შტაბს, რომ ამ გაჭირვებულ ქვეყანას მოულოდნელი სიხარული აჩუქეს. სიხარული, რომლის არმინიჭება უფრო არ გაგვაოცებდა, ვიდრე ეს წარმატება, რომელიც სხვა არაფერია თუ არა - მზიანი ღამე.



საქართველოს ნაკრები

■ ■ ■

გია ცეცაძემ ფედერაციის ვებგვერდთან მცირე კომენტარი გააკეთა: *"სამი საოცარი, სანახაობრივი თამაში ჩავატარეთ ძალიან ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ. ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელებით! ამ შემადგენლობით, ჩვენ მართლაც დიდი მომავალი გვაქვს და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს სიტყვას ვიტყვით".*

პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში ინგლისის ნაკრებმა შოტლანდიას 3:0 სძლია (**კულხტერსი, ბეიკერი, აკპომა**) და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

**VI ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 3. ბელგია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 4. შოტლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის წილისყრა 14 ივნისს გაიმართება. ჯერჯერობით, ფინალურ ეტაპზე მასპინძელი ლიტვა, თურქეთი და საქართველო გავიდნენ. ჩემპიონატი კი, 20 ივლისიდან 1 აგვისტომდე გაიმართება.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თბილისში დღეს, შუადღის 4 საათისთვის დაბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

პროექტი

# სახეზე გვაქვს უკმაყოფილებას....

## გია ისიანი: მინისტრის აქტივობას მივესალმებით

სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა ახლახან უთხრა „ლელოს" - იმ პროექტის ჩონჩხი უკვე არსებობს, რითაც სახელმწიფო საფეხბურთო კლუბებს დაეხმარება, დეტალებს კი მალე გაგაგებინებთო.

პროექტი ჯერ არ გამხდარა საჯარო, თუმცა მუნიციპალური კლუბები უკვე კმაყოფილებას გამოხატავენ. გაჟღერდა ის თანხები, რასაც წლიურად მიიღებენ ასეთი გუნდები - კულუარული ინფორმაციით, ზოგს 1,5 ლარი შეხვდება, ზოგსაც - ორი მილიონი.

ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა დავუსვით გორის „დილას" მენეჯერს გია ისიანს, ვინც ერთობ აქტიურობდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან კლუბების მხარდაჭერას კონცეპტუალური, სისტემური სახე მიეღო და ამასთან დაკავშირებით საკუთარი პროექტიც წარმოადგინა.

**- ცხადია, საქმის კურსში იქნებით იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტის სამინისტრომ თითქმის დაასრულა მუშაობა საკლუბო ფეხბურთის განვითარების პროექტზე...**

- თუ ეს პროექტი დამტკიცდება, მთლიანად ქართულ ფეხბურთს მისალოცად ექნება საქმე. ასეთი დახმარებით გაჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ ქართველი ფეხბურთელები და მწვრთნელები სამშობლოში დაბრუნდნენ, ეროვნული ჩემპიონატი უკეთესი გახდეს და აღარ გვქონდეს საქმე ექვსთვიან თუ ერთწლიან გუნდებთან. ასეთი პროექტის პირობებში ხომ ყველაფერი მკაცრად და ზუსტად იქნება გაწერილი, დასაქმდება ხალხი, კლუბების დუბლების, ჭაბუკებისა და ბავშვთა გუნდები უპრობლემოდ იფუნქციონირებენ.

**- იქნებ თქვენ გვითხრათ დეტალური ინფორმაცია ამ პროექტზე...**

- უბრალოდ, იმას ვეხმაურები, რაც პრესაში დაიწერა, დეტალები ჩემთვისაც უცნობია.

**- მორალულ ხმებს თუ დავუჯერებთ, სახელმწიფოს მიერ საკლუბო ფეხბურთისთვის გამოყოფილი ფული მხოლოდ მუნიციპალურ გუნდებზე გადანაწილდება, კერძო კლუბებს კი აქედან არაფერი არ შეხვდებათ...**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით, ისე კი, თქმა რად უნდა, რომ კერძო კლუბების ინტერესებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ალბათ გახსოვთ, ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ რომ წარმოადგინა პროექტი, რომლის წამონევა ნამდვილად შეიძლება. რასაც კერძო კლუბი წლიურად ხარჯავს, აქედან დაბეგრილი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისევ კლუბს დაუბრუნდეს და მიზნობრივად მოხმარდეს - ასეთ შემთხვევაში კერძო კლუბი შეღავათს მიიღებს და თან აღარ იქნება იმაზე ლაპარაკი, რომ მე, კერძო სტრუქტურა ვიხდი გადასახადს და ბიუჯეტში შეტანილი ფულით ჩემი კონკურენტი გუნდები ფინანსდებიან. მივესალმები იმას, თუ სპორტის კანონში შევა ცვლილებები კერძო კლუბების მხარდასაჭერად.



გია ისიანი

**- ყველაფერი გასაგებია, თუმცა ასეთ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ სახელმწიფო მუნიციპალურ კლუბებს ფულს მისცემს, კერძო კლუბებს კი მხოლოდ საგადასახადო შეღავათს - თუ მართლაც ასე მოხდა ყველაფერი, როგორ ფიქრობთ, კერძო და მუნიციპალური კლუბების სასტარტო პირობები ერთნაირი იქნება?**

- ფულის ხარჯვისას კერძო კლუბს აქვს რისკი, თუმცა ასეთ კლუბს თვითონ შეუძლია იმის გადაწყვეტა, რა მიზნისთვის რამდენი დახარჯოს. მუნიციპალურმა კლუბმა რომ გაყიდოს ფეხბურთელი, ტრანსფერიდან შემოსული თანხა სახელმწიფოს ბიუჯეტში წავა, ანუ ამ თანხას ისე ვერ დახარჯავს, როგორც თვითონ უნდა. მაგალითად, როცა მუნიციპალურ კლუბს ეკიპირების შეძენა უწევს, ხუთი ათას ლარზე მეტი ღირებულების შემთხვევაში, კანონის თანახმად ტენდერი უნდა გამოცხადდეს, კერძო კლუბი კი ასეთ საკითხს თვითონ მოაგვარებს. თუ მუნიციპალური კლუბი სპონსორს მოძებნის, ამ დროსაც თანხა ჯერ სახელმწიფოს ბიუჯეტში მოხვდება და მერე კლუბმა უნდა დაასაბუთოს, რაში დახარჯავს ამ ფულს.

**- თქვენი არგუმენტები ერთია, თუმცა ამ საკითხზე კამათი მაინც შეიძლება...**

- როგორც უნდა იყოს, სპორტის მინისტრის ლევან ყიფიანის აქტივობას მივესალმებით, საქმე ხომ იქითკენ მიდის, რომ სახელმწიფო საფეხბურთო კლუბებს გვერდში დაუდგება. ერთხელაც აღვნიშნავ, რომ კერძო კლუბებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა სახელმწიფოსგან.

**- და ვინ იქნება გორის „დილას" ახალი მწვრთნელი?**

- ამ საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ, ყველაფერი მალე გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

**II ლიგა. აღმოსავლეთი ზონა**

**XXIV ტური**

| | |
|---|---|
| იბერია – ივერია | 0:3 |
| გაგრა-2 – ალგეთი-XXI | 2:2 |
| ლიახვი-2 – სპარტაკი-2 | 3:1 |
| ლაგოდეხი – იუსი ბესტი | 0:0 |
| ფარავანი – დუშეთი | 3:0 |
| ქართლი-2011 – აფხაზ/ნ. დინამო | 5:0 |
| აბული – საქ. უნივერსიტეტი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი | 24 | 21 | 3 | 0 | 87-11 | 66 |
| 2. ივერია | 24 | 18 | 1 | 5 | 77-36 | 55 |
| 3. იუსი ბესტი | 23 | 14 | 7 | 2 | 62-18 | 49 |
| 4. საქ. უნივერს. | 24 | 15 | 3 | 6 | 61-36 | 48 |
| 5. სპარტაკი-2 | 23 | 12 | 2 | 9 | 49-37 | 38 |
| 6. გაგრა-2 | 24 | 11 | 2 | 11 | 66-52 | 35 |
| 7. აბული | 23 | 8 | 7 | 8 | 35-40 | 31 |
| 8. დუშეთი | 24 | 9 | 3 | 12 | 39-45 | 30 |
| 9. ლიახვი-21 | 23 | 8 | 3 | 12 | 36-46 | 27 |
| 10. იბერია | 23 | 6 | 4 | 13 | 41-69 | 22 |
| 11. ალგეთი | 23 | 6 | 1 | 16 | 35-55 | 19 |
| 12. აფხაზ/ნ. დინ | 24 | 6 | 0 | 18 | 31-96 | 18 |
| 13. ლაგოდეხი | 23 | 4 | 3 | 16 | 33-66 | 15 |
| 14. ფარავანი | 17 | 3 | 1 | 13 | 18-60 | 10 |

*შენიშვნა: ფინანსური დავალიანების გამო „დუშეთი" მოხსნილია გათამაშებიდან და დარჩენილ მატჩებში ჩაეთვლება ტექნიკური წაგება (0:3)*

**დასავლეთი ზონა**

**XXV ტური**

| | |
|---|---|
| ლაზიკა – ტორპედო-2 | 3:0 |
| კოლხეთი-2 – საპოვნელა | 1:5 |
| სამეგრელო – მაჭახელა | 0:1 |
| ენგური – მარგვეთი-2006 | 1:4 |
| გურია-2 – ეგრისი | 4:1 |
| საირმე – შუქურა-2 | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 23 | 19 | 2 | 2 | 68-11 | 59 |
| 2. ლაზიკა | 23 | 18 | 2 | 3 | 71-16 | 56 |
| 3. საპოვნელა | 23 | 17 | 3 | 3 | 66-18 | 54 |
| 4. ბახმარო | 23 | 13 | 6 | 4 | 49-31 | 45 |
| 5. საირმე | 24 | 14 | 1 | 9 | 48-30 | 43 |
| 6. მარგვეთი | 23 | 13 | 1 | 9 | 66-37 | 40 |
| 7. გურია-2 | 23 | 12 | 0 | 11 | 43-38 | 36 |
| 8. კოლხეთი-2 | 23 | 5 | 7 | 11 | 32-40 | 22 |
| 9. შუქურა-2 | 23 | 6 | 2 | 15 | 23-57 | 20 |
| 10. სამეგრელო | 23 | 5 | 5 | 13 | 25-73 | 20 |
| 11. ენგური | 23 | 4 | 4 | 15 | 31-63 | 16 |
| 12. ტორპედო | 23 | 3 | 3 | 17 | 29-81 | 12 |
| 13. ეგრისი | 23 | 1 | 4 | 18 | 18-74 | 7 |

**ჭაბუკთა ლიგა. XXVIII ტური**

**1995/96 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| დილა – ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| საბურთალო – მერანი | 6:2 |
| მეტალურგი – ზუგდიდი | 5:0 |
| 35-ე ს.ს. – ჩიხურა | 3:1 |
| ზესტაფონი – ტორპედო | 1:1 |
| ბაია – კოლხეთი (ფ) | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 28 | 21 | 3 | 4 | 72-25 | 66 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 28 | 20 | 5 | 3 | 62-20 | 65 |
| 3. დილა | 28 | 20 | 4 | 4 | 55-22 | 64 |
| 4. ლოკომოტივი | 27 | 17 | 4 | 6 | 73-29 | 55 |
| 5. საბურთალო | 28 | 17 | 2 | 9 | 60-38 | 53 |
| 6. დინამო (თბ) | 28 | 15 | 3 | 10 | 71-40 | 48 |
| 7. ტორპედო | 28 | 11 | 8 | 9 | 56-40 | 41 |
| 8. ზუგდიდი | 28 | 12 | 4 | 12 | 41-57 | 40 |
| 9. ზესტაფონი | 28 | 10 | 6 | 12 | 38-43 | 36 |
| 10. დინამო (ბთ) | 28 | 8 | 7 | 13 | 26-38 | 31 |
| 11. სიონი | 27 | 7 | 7 | 13 | 33-39 | 28 |
| 12. 35-ე ს.ს. | 28 | 8 | 3 | 17 | 32-55 | 27 |
| 13. კოლხეთი (ფ) | 28 | 6 | 8 | 14 | 23-57 | 26 |
| 14. ბაია | 28 | 5 | 7 | 16 | 37-73 | 22 |
| 15. ჩიხურა | 28 | 4 | 4 | 20 | 27-82 | 16 |
| 16. მერანი | 28 | 2 | 5 | 21 | 30-78 | 11 |

**1997/98 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| დილა – ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| დინამო (თბ) – დინამო (ბთ) | 3:1 |
| საბურთალო – მერანი | 3:0 |
| ბაია –კოლხეთი (ფ) | 0:3 |
| მეტალურგი – ზუგდიდი | 0:1 |
| 35-ე ს.ს. – ჩიხურა | 0:0 |
| ზესტაფონი – ტორპედო | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 28 | 24 | 4 | 0 | 136-8 | 76 |
| 2. დინამო (თბ) | 28 | 24 | 2 | 2 | 112-18 | 74 |
| 3. ლოკომოტივი | 27 | 22 | 2 | 3 | 99-20 | 68 |
| 4. დილა | 28 | 17 | 3 | 8 | 41-26 | 54 |
| 5. მეტალურგი | 28 | 15 | 2 | 11 | 45-34 | 47 |
| 6. 35-ე ს.ს. | 28 | 14 | 5 | 9 | 49-22 | 47 |
| 7. ტორპედო | 28 | 14 | 4 | 10 | 57-41 | 46 |
| 8. ბაია | 28 | 12 | 6 | 10 | 46-42 | 42 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 28 | 12 | 4 | 12 | 39-38 | 40 |
| 10. ზესტაფონი | 28 | 10 | 4 | 14 | 33-66 | 34 |
| 11. კოლხეთი (ფ) | 28 | 8 | 4 | 16 | 26-43 | 28 |
| 12. ზუგდიდი | 28 | 6 | 6 | 16 | 16-57 | 24 |
| 13. მერანი | 28 | 5 | 8 | 15 | 26-48 | 23 |
| 14. დინამო (ბთ) | 28 | 5 | 4 | 19 | 17-81 | 19 |
| 15. ჩიხურა | 28 | 1 | 6 | 21 | 12-95 | 9 |
| 16. სიონი | 28 | 1 | 2 | 24 | 11-126 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი


თემურ ქეცბაია

# კიდევ ერთხელ ტანკზე და სამშობლოზე

**2 და 5 ივნისს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური მატჩები აქვს სტუმრად ირლანდიასთან და დანიასთან. გამგზავრებამდე ჩვენი უპირველესი გუნდის თავკაცმა თემურ ქეცბაიამ პრესკონფრენცია გამართა და რამდენიმე საყურადღებო ფრაზაც მოვისმინეთ.**

*„სამწუხაროდ, აქ ისე არ ხდება, როგორც სხვა ქვეყნებში მინახავს – სხვაგან ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია, ზოგი ჩვენი ფეხბურთელისთვის კი ასე არ არის. ნაკრებში ჩამოსვლისგან ისინი თავის არიდებას ცდილობენ. ფეხბურთელისთვის მთავარი ფეხბურთი უნდა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ნაკრებს ეხება. ამის მაგივრად...“* - თქვა ქეცბაიამ, თუმცა არ დააზუსტა, რომელი ფეხბურთელების მისამართით იყო ეს.

ქეცბაია ზოგადად მართალია, თუმცა რებუსი არ არის ის ფორმა, რითაც მწვრთნელი უნდა ლაპარაკობდეს.

*„არის ხალხი, ვინც სამშობლოს გამო ტანკს უვარდება, და არიან ისეთებიც, რომლებსაც ფეხბურთის თამაში არ უნდათ! მარტო ენის ტლიკინი არ არის საკმარისი, სამშობლოს საქმე სჭირდება! პირადად მე ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებითҮჩამოვდიოდი, ზოგისთვის კი ნაკრები მეათეხარისხოვანია“* ,- ესეც იმავე პრესკონფერენციაზე ნათქვამია და მართლაც ვერავინ იტყვის, ქეცბაია საქართველოს ნაკრებში უგულოდ თამაშობდაო. პირიქით, მოედანზე გასული ქეცბაია სამაგალითო იყო თანაგუნდელებისთვის, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. რაც შეეხება სამშობლოსა და ტანკს, ჰეროიკულ თუ პათეთიურ ფრაზებს, როგორც წესი, ამას შედეგი არ მოაქვს თანამედროვე ეპოქაში.

თუ საქართველოს ნაკრებში არიან უდისციპლინო და არაპატრიოტი ფეხბურთელები, რა უნდა გამოდნეს ასეთი გუნდისგან? ხოლო თუ ასეთები არ არიან, მწვრთნელის ამ რიტორიკას რა აზრი აქვს?

მწვრთნელი ფეხბურთელებისკენ რომ იშვერს ხელს, საქმეს კარგად ვერ ამთავრებს ხოლმე - ასე ხდებოდა საქართველოს ნაკრებში და სხვა გუნდებშიც. პატრიოტიზმის თემა ვინც წამოჭრა საქართველოს ნაკრებში, მას ნდობაც დაუკარგავს ფეხბურთელებში. ასე იყო აქამდე...

კითხვას, კვლავაც გამოიძახებს თუ არა ქეცბაია ისეთ ფეხბურთელებს, არასაპატიო მიზეზით რომ აცდენენ სანაკრებო მატჩებს, ქეცბაიამ ასე უპასუხა: „ნორმალურ ქვეყანაში მსგავს საქციელს არავის აპატიებდნენ, მაგრამ იძულებული ვარ, ბევრ რამეზე თვალი დავხუჭო, რადგან კვალიფიციური ფეხბურთელების დიდი არჩევანი არ გვაქვს“.

ქეცბაიას ნათქვამიდან გამოდის, რომ ფეხბურთელი კვალიფიციურია, მაგრამ არაპატრიოტი. ანუ ეროვნულ ნაკრებში თამაში შეუძლია იმას, ვინც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ საქართველო არ უყვარს. კი მაგრამ, თუ ფეხბურთელს ეროვნული ნაკრები არ უყვარს, რა მოტივაციით უნდა ითამაშოს? საქართველოს ამ ნაკრების ფეხბურთელებს არ აქვთ პრემია და არც ჯამაგირი ნაკრებში თამაშისთვის და რა გამოდის, რა მოტივაცია რჩება მოედანზე გასასვლელად?

პრესკონფერენციაზე ქეცბაიას ისიც უთხრეს, რომ „დინამო თბილისის“ ესპანელ შემტევ **ჩისკოს** საქართველოს ნაკრებში თამაში სურს, რაზეც ჩვენი ნაკრების დამრიგებელმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ მოდით, ჩამოწერილ ფეხბურთელებზე ნუ ვისაუბრებთ.“*

მაშ, რა ხდება: ჩისკო გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მთავარი მეგოლე, არის საქართველოს საუკეთესო კლუბის ერთ-ერთი ლიდერი და თუ ჩამოწერილმა ფეხბურთელმა მოინაგრა ასეთი რეგალიები, მაშინ რა განმარტება უნდა შეურჩიოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ეროვნულ ჩემპიონატს?

ქეცბაია ვერ არის კარგი მთქმელი და ეს არცთუ უმნიშვნელო ნაკლია ეროვნული ნაკრების მწვრთნელისთვის. როგორც უნდა იყოს, ქეცბაია ნაკრების თავია და მას თავისი წილი მხარდაჭერა სჭირდება მედიისგან. თუ ქეცბაია გუდას პირს მოხსნის და უდისციპლინო, არაპატრიოტ ფეხბურთელებზე პირდაპირ ისაუბრებს, ამით ყველას გააგებინებს, ვინ ვინ არის, სხვანაირად კი მის ასეთ განცხადებებს ფასი ვერ ექნება.

ქეცბაია ირლანდია-დანიაში ერთი ნომინალური თავდამსხმელით მიდის, თანაც ბოხუმელ **ნიკა გელაშვილს** გერმანიაში სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. კი ბატონო, ყველა მწვრთნელს საკუთარი მეთოდები აქვს, მაგრამ...

მე მაინც მგონია, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელებისთვის პრემიაც უნდა იყოს და კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სხვა ფორმებიც. იქნებ, ამით მაინც დასრულდეს საუბარი მოტივაციაზე, ტანკზე და სამშობლოზე.

ინტერვიუ

## დავით ოდიკაძე:

# ისე გამიშვეს, უჰრინისთვის გამარჯობაც არ მითქვამს

## სია დევიდ ბექჰემით უნდა დავიწყოთ

ფართო სპექტრს ფეხბურთიც ვერ ასცდება, სხვადასხვა ტიპის მოთამაშეს და ადამიანს აქაც შეხვდებით. დავით ოდიკაძე ისეთია, ვისაც ფეხბურთის თამაშის უნარი თანდაყოლილიც აქვს და შრომითაც შეუძენია კარგი თვისებები...

ოდიკაძეს პირად ცხოვრებაში ისეთი რამ გადახდა, კაცი მტერს არ უსურვებს, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, ფეხზე დადგა და ხელმეორედ მოახერხა ფეხბურთელობა...

ოდიკაძეს ეროვნულ ნაკრებშიც მოუწია თამაში, 14 კეპი მოინაგრა. უთამაშია სხვადასხვა ქვეყნებშიც, ფეხბურთში არც თუ ცოტა უნახავს...

წინა სეზონში ოდიკაძე საჩხერის „ჩიხურას“ ფეხბურთელი იყო და კიდევ ერთი წარმატებული სეზონით შეავსო საკუთარი კარიერა....

ეს ფეხბურთელი ახლა თავისუფალი აგენტია და სანამ გაირკვევა, თუ რომელ გუნდში ითამაშებს, მანამდე „ლელოს“ კითხვებს პასუხობს...

**- „ჩიხურაში“ იჯარის ვადა დაგისრულდა, „დინამოში“ კი კონტრაქტი - რას აპირებ, გაქვს კონკრეტული შემოთავაზება ამ ეტაპზე?**

- სურვილი მაქვს და „ჩიხურას“ ხელმძღვანელობაც იმ აზრზეა, რომ ისევ ამ გუნდში ვითამაშო, თუმცა ჯერ გარკვეული არაფერია, ველოდებით, რა როგორ იქნება. ახლა ვისვენებ, თუ ვინმე შემეხმიანება, ხომ კარგი, თუ არა, რალაცა მაინც იქნება, ვნახოთ...

**- წინა სეზონში მეტწილად მარჯვენა მცველის პოზიციაზე გიწევდა თამაში, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია შენთვის იმაში, რომ რვა გატანილი გოლით სეზონში „ჩიხურას“ ბომბარდირი გამხდარიყავი - როგორ მოხდა, რომ გუნდის საუკეთესო მეგოლე მცველი გახდა?**

- ორი მატჩის გარდა ყველა შეხვედრა მართლაც მარჯვენა მცველად ვითამაშე. რვა გოლიდან ექვსი 11-მეტრიანით გავიტანე, ამ ექვსი პენალტიდან კი სამი მე მოვიპოვე, თუმცა გუნდის ბომბარდირი რომ გავხდი, ეს პირველ რიგში ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა. შეტევაში რომ მივდიოდი, ვიცოდი, რომ დავით დილმელაშვილი ან სხვა თანაგუნდელი აუცილებლად დამაზღვევდა. ერთი სიტყვით, რომ არა თანაგუნდელები, ამას ვერ შევძლებდი.

**- თასის ფინალში „დინამოს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშე, რადგან შეთანხმების თანახმად „დინამოსთან“ თამაშის უფლება არ გქონდა. ევროსაგზური კი მოიპოვეთ, თუმცა ალბათ ხინჯად დაგრჩა, რომ „ჩიხურას“ ფინალში ვერ დაეხმარე...**

- გული მართლაც ძალიან დამწყდა, ფინალში თამაშიც მინდოდა და მოგებაც. ისიც მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ „დინამო“ საკუთარ არჩევანში შეცდა, როცა ჩემი განათხოვრება გადაწყვიტა. არაუშავს, ცხოვრება გრძელდება და კიდევ მომცემა იმის საშუალება, რომ საკუთარი შესაძლებლობები დავამტკიცო.

**- „დინამომ“ რომ გაგანათხოვრა, ეს ალბათ მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო, ალბათ არ ჯდებოდი უმცროსი დუშან უჰრინის გემოვნებაში თუ მონახაზში...**

- ყველაფერი ისე მოხდა, რომ უმცროსი უჰრინისთვის გამარჯობაც კი არ მითქვამს. რა თქმა უნდა, მინდოდა, მწვრთნელს საქმეში ვენახე და ისე მიელო გადაწყვეტილება, თუმცა ასე არ მომხდარა, ჩემი „დინამოდან“ წამოსვლა ალბათ


დავით ოდიკაძე

უფრო კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იყო. უფროსი დუშან უჰრინის მწვრთნელობის დროს „დინამოს“ კაპიტანი ვიყავი და საქართველოს ჩემპიონიც გავხდი, არა მგონია, რომ მის შვილს უნახავად გავეშვი „დინამოდან“...

**- 32 წლის ხარ, ეს ის ასაკია, ფეხბურთს კიდევ რომ თამაშობენ, მაგრამ მოგდგამს კი ჯანი ძველებურად?**

- ყველაფერი პორიქით არის - ჯანს მეტი ტვინიც მიემატა. როცა მივხვდები, რომ ძველებურად ველარ ვთამაშობ, ფეხბურთელობას თავს დავანებებ, ახლა კი არ ვფიქრობ იმაზე, რომ 32 წლის ვარ და კარიერა დავასრულო თუ არა.

**- რამდენიმე წლის წინათ პირად ცხოვრებაში ისეთი რამე შეგემთხვა, რომ თითქმის წარმოუდგენლად ჩანდა, დავით ოდიკაძე ისევ თუ ითამაშებდა ფეხბურთს. მაინც როგორ მოახერხე, რომ ხელახლა გამხდარიყავი ფეხბურთელი?**

- ჩემი ახლობლების, მეგობრებისა და მოძღვარის წყალობით. ჩემს ცხოვრებას ფეხბურთი არ ეთმობოდა და კარგი ადამიანების დახმარებით ისევ დავიწყე ფეხბურთის თამაში.

**- არაერთ კლუბში გითამაშია, თუნდაც „თბილისში“, რომელიც 2003-04 წლებში მართლაც მოვლენა იყო ეროვნულ ჩემპიონატში. ყველაზე უფრო რომელ გუნდში თამაშით დარჩი კმაყოფილი, ყველაზე უფრო სად გსიამოვნებდა ფეხბურთის თამაში?**

- ასე ვთქვათ, დაბადებიდან თბილისის „დინამოს“ გულშემატკივარი ვარ და ახლაც ამ გუნდის ქომაგად ვრჩები, ვფიქრობ, კარიერის საუკეთესო პერიოდიც „დინამოში“ მქონდა. ბაქოს „ინტერშიც“ წარმატებულად ვითამაშე, თანამეგობრობის თასიც მოვიგეთ, მაგრამ „დინამო“ მაინც „დინამოა“.

**- სიტუაცია ისეთია, რომ დღეს „დინამოს“ კონკურენტი გუნდი საქართველოში აღარ დარჩა...**

- რა თქმა უნდა, ეს თვითონ „დინამოსთვისაც“ არის ცუდი, ასეთ ვითარებაში „დინამოს“ მხოლოდ ვარჯიში, მერე კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოზე თამაში მოუწევს. რალაც ერთობლივად უნდა მოიფიქრონ მთავრობამ და ფეხბურთის ფედერაციამ, რათა ასე ხელალებით აღარ იშლებოდეს გუნდები. რაც უფრო მეტი კარგი და წელგამართული კლუბი იქნება, ეს „დინამოსაც“ წაადგება და ყველას.

**- შეიძლება იმის თქმა, რომ ერთობ სპეციფიური ფეხბურთელი ხარ. საქართველოს ჩემპიონატში ბევრ ფლანგელს არ შეუძლია მოჭრილი, ხვეული ჩაწოდების ეფექტურად შესრულება. როგორ ფიქრობ, ეს რისი ბრალია? ეს ხომ ნიჭზე უფრო ვარჯიშის შედეგია...**

- როგორ გითხრათ, ფეხბურთში ყველაფერი რომ შეუძლია, ეს ლეო მესია. რაც შეეხება ფლანგურ ჩაწოდებას, ჩვენს ბავშვობაში ამაზე საგანგებოდ არ გვავარჯიშებდნენ, შეიძლება ითქვას, რომ ამაში თვითნასწავლი ვარ. ახლა კი სხვა დროა, გამოჩნდნენ საინტერესო ახალგაზრდები, რომელთაც ჩაწოდებაც კარგად ეხერხებათ, მაგალითად, არჩილ ტვილდიანი „დინამოდან“ და გიორგი ქიმაძე „ჩიხურადან“, ისინი შეტევაშიც ჩინებულად ერთვებიან და ჩაწოდებაც არ დაეწუნებათ. კარგი ჩაწოდება მართლაც შრომით, ბევრი ვარჯიშით მოდის.

**- მარცხენაფლანგელ ქიმაძეს იშვიათად უწევდა „ჩიხურას“ ძირითადში თამაში. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, ქიმაძე თასის ფინალში შეცვლაზე რომ შევიდა, ისეთი ჩინებული პასი შესარულა, რომლის შემდეგ „დინამო“ კაცნაკლული დარჩა...**

- ქიმაძეს ძირითადში თამაში რომ არ უწევს, ამით კი იჩაგრება, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა და დარწმუნებული ვარ, თამაში საკმაოდ მოუწევს, ახლა მისთვის მთავარია, რომ შრომა გააგრძელოს.

**- ფლანგელებიდან ყველაზე უფრო მაიინც ვის გამოარჩევდი? ფაქტია, რომ საქართველოს ამ ნაკრებშიც პრობლემატურია ეფექტური ჩაწოდების შემძლე ფლანგელის პოზიცია...**

- კახა გოგიჩაიშვილი ჩვენს ნაკრებში საუკეთესო ფლანგელი იყო, მასზე უკეთესი ჯერ არ ჩანს. საერთოდ კი ფლანგური ჩაწოდებების საუკეთესო ოსტატი ალბათ მარიო ბასლერი იყო, გერმანული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ, თუმცა როცა ასეთ ფეხბურთელებზეა საუბარი, სია მაინც დევიდ ბექჰემით უნდა იწყებოდეს.

**- საქართველოს ნაკრებში თოთხმეტი მატჩი გითამაშია და ცხადია, სიტყვაც გეთქმის - რა არის გუნდის გაუთავებელი წარუმატებლობების მიზეზი?**

- მიზეზი ორია, ანუ კონკრეტულად უნდა ჩამოვყალიბდეთ ხოლმე, თუ რა გვინდა: ან მყის შედეგი უნდა მოვითხოვოთ, ან ვაცალოთ მწვრთნელს გუნდის შენება. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები ახლა შენების პროცესშია და მწვრთნელს დრო უნდა მივცეთ, თუ საქმე კარგად არ წავა, მერე უკვე ფედერაციამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები...

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების დებიუტანტი.


მერაბ გიგაური

**მერაბ გიგაური**

**დაიბადა:** 1993 წლის 5 ივნისს თბილისში
**სიმაღლე:** 182 სმ; **წონა:** 75 კგ.
**პოზიცია:** ნახევარმცველი

**კარიერა**

| | | |
|---|---|---|
| 2010 | ტორპედო (ქუთაისი) | 28 (2) |
| 2011/12 | იაგელონია (პოლონ.) | 3 (0) |
| 2012 | ტორპედო (ქუთაისი) | 28 (1) |

**სანაკრებო კარიერა**

| | | |
|---|---|---|
| 2009/10 | საქართველო U17 | 1 (0) |
| 2010/11 | საქართველო U19 | 3 (0) |
| 2011 | საქართველო U21 | 3 (0) |
| 2013 | ეროვნული ნაკრები | |

*გერმანული სააგენტო "ტრანსფერმარკტი" მერაბ გიგაურის ტრანსფერს 175 ათას ევროდ აფასებს.*

# მერაბ გიგაური: ძალიან გამიმართლა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ირლანდია-დანიასთან ამხანაგური თამაშებისთვის თბილისში მზადება დაასრულა და ავიარეისის შეფერხების მიუხედავად, დუბლინში ჩაფრინდა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** პირველად გამოიძახა ქუთაისის "ტორპედოს" საყრდენი ნახევარმცველი **მერაბ გიგაური**, რომელიც გამოცდილმა **დავით კვირკველიამ** ასე დაახასიათა: *"ნაკრებში ახალი სახეები ჩნდებიან. მაგალითად, მერაბ გიგაური. საქართველოში სათამაშოდ რომ დავბრუნდი, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს ყურადღება მივაქციე და მისი თამაში ძალიან მომწონდა. რაც მთავარია, ის მთავარმა მწვრთნელმაც შეამჩნია და ნაკრებში გამოიძახა. ეს გიგაურის შანსია და ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მთავარი მონდომებაა და ვუსურვებ, ეს შანსი გამოიყენოს".*

მერაბ გიგაურს გამგზავრებამდე ინტერვიუ ჩამოვართვით:

- ახალგაზრდული ნაკრების ავსტრიული ტურნირის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემით ქეცბაია დაინტერესდა. გამიხარდა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა, ეროვნულში ვარჯიში ასე მალე თუ მომიწევდა. თუმცა, მეტი მონდომებით დავიწყე ვარჯიში.

ქეცბაიას ნდობით ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის ნაკრებში ერთი ვარჯიშიც ოცნება იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მეტ თავდაჯერებულობას შემძენს.

**- ქეცბაია ამბობს, რომ ეროვნული ჩემპიონატისა და ნაკრების დონეებს შორის დიდი განსხვავებაა. შენ რა სხვაობა დაინახე?**

- არ შემიძლია, ქეცბაიას არ დავეთანხმო. მართლაც დიდი განსხვავებაა კლასში, სისწრაფეში, მოძრაობაში, პროფესიონალიზმში. მაგრამ, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ასეთ გარემოში არ გამჭირვებია, რადგან გამოცდილი ფეხბურთელები მეხმარებიან.

**- დავით კვირკველიამ ძალიან კარგად დაგახასიათა.**

- ამისთვის დათოს მადლობა უნდა ვუთხრა. გამოცდილი და მრავლისმნახველი ფეხბურთელის ასეთი თბილი დამოკიდებულება ძალიან მამხნევებს. საერთოდ, გუნდში ყველა მეგობრულად და თბილად შემხვდა. დებიუტანტისთვის ეს ბევრს ნიშნავს.

**- ქეცბაია ბევრ ახალგაზრდას დააკვირდა, მაგრამ ბევრიც დაივიწყა. გამოძახება სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალშიც მიგიწვევს.**

- მონდომება არ უნდა მოვაკლო და გამომიძახებს. ირლანდიასთან და დანიასთან ორი მატჩი გველის და იმედია, მათამაშებს.

**- ფაქტია, რომ პოლონეთის "იაგელონიაში" გატარებულმა ერთმა სეზონმა დიდი სამსახური გაგიწია.**

- ამას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მივხვდი. თითქოს ერთი წელი დიდი დრო არ არის, თანაც, ძირითადში სულ სამჯერ ვითამაშე, უმეტესად კი დუბლშემადგენლობაში გამოვდიოდი. მაგრამ ფაქტია, რომ პოლონეთში ვარჯიში ძალიან წამადგა. კარგ გარემოში აუცილებლად გაიზრდები. ჭკვიანი მწვრთნელი მყავდა, ბაზაზე ვცხოვრობდი და სხვა რა უნდა მეკეთებინა - სულ ვვარჯიშობდი და მწვრთნელის რჩევებს ვისრულებდი. თეორიულადაც და ფიზიკურადაც კარგად მომამზადა.

პოლონეთში მიწვევის მხრივ ძალიან გამიმართლა. ჩვენთან საკმაოდ ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა. გუნდებს ნორმალური სავარჯიშო გარემო რომ ჰქონდეთ, დარწმუნებული ვარ, გაცილებით ძლიერი ნაკრები და გუნდები გვეყოლება.

მაგრამ ჩემს დაწინაურებაში ყველაზე დიდი წვლილი გია გეგუჩაძემ შეიტანა. მან "ტორპედოში" ყველა მოთამაშე გახსნა და მიმაჩნია, რომ ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია.

**- დაბოლოს, ქუთაისის "ტორპედოზე" გკითხავ. გუნდში შემადგენლობის გადახალისებას იწყებენ და შენ თუ დარჩები?**

- ჯერ ერთი, კონტრაქტი 4 წელიწადში მიმთავრდება და მეორეც, ჩემთვის არავის მიუთითებია კარისკენ. როგორც ვიცი, ახალგაზრდულ გუნდს აშენებენ, მე კი ჯერ 19 წლის ვარ და "ტორპედოში" ვრჩები.

**მერაბ მამულაშვილი**

კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი

# კალაძის მატჩზე აკრედიტაცია შეწყდა

## რატომ არ ჩამოდის ახრიკ ცვეიბა?

საქართველოს ნაკრებისა და "მილანის" მცველის **კახა კალაძის** გამოსათხოვარი მატჩი 31 მაისს გაიმართება. საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **მამუკა კვარაცხელიამ** "დინამო არენაზე" გამართულ პრესკონფერენციაზე მედიას დეტალურად გააცნო უფლებები და მოვალეობები.

*"შევეცდებით, 31 მაისს უეფას სტანდარტები და უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად დავიცვათ. მატჩის მსვლელობისას სტადიონზე სამი სახის დაცვა და კრიმინალური პოლიცია იმუშავებს - სტადიონის, ქალაქისა და სტუმრების დასაცავად. აქვე ვიტყვი, რომ 15 ქვეყნის ფინანსთა მინისტრი, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და ენერგეტიკის მინისტრები გვესტუმრებიან"* – განაცხადა კვარაცხელიამ.

უეფას მედია-ოფიცერმა აკრედიტაციის შესახებაც ილაპარაკა. ამ საკითხმა მართლაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია: *"მატჩის გაშუქების სურვილი 419-მა ადამიანმა გამოთქვა, მაგრამ პრესლოჟაში სულ 160 ადგილია და ცხადია, ყველას სურვილი ვერ დავაკმაყოფილეთ. თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით, თამაშის გაშუქების საშუალება ყველა საინფორმაციო საშუალებას მივცეთ".*

სამწუხაროდ, ვერ გვესტუმრება თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი **ახრიკ ცვეიბა**. მომავალ მატჩთან დაკავშირებით, "აფსნიპრესმა" აფხაზი ფეხბურთელის კომენტარი გაავრცელა.

*"ვიცნობ კახა კალაძეს და ვიცი, რომ გაცილების მატჩი გაიმართება. მაგრამ ეს მოვლენა უკვე პოლიტიკურ ჭრილშია გადასული. მე ჯერ აფხაზი ვარ, შემდეგ სპორტსმენი და პოლიტიკასთან შეხება არ მაქვს"* - განაცხადა ცვეიბამ.

როგორც ჩანს, ქართველების მეგობარი ვეტერანი ფეხბურთელი იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო. მიზეზების ახსნა ზედმეტია. ცვეიბა საქართველოს მრავალგზის სწევეია და ქართველებთან მეგობრობს. მეტიც, ბევრი ჩვენი მოთამაშე გზაზე სწორედ მან დააყენა.

დღეს, 22:30 საათზე მორიგ პრესკონფერენციას **დავით მუჯირი** და კალაძის მეგობრების გუნდში მონაწილე ფეხბურთელები გამართავენ, 23.00 საათზე კი მეგობრების გუნდის ღია ვარჯიში დაიგეგმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტენდენცია

# მწვრთნელობა ათასად დაფასდა...

თანამედროვე ფეხბურთში რომ დიდი ფული („თეთრიც", „შავიც") ტრიალებს, უკვე აღარავის უკვირს; ისე, როგორც მართლაც ხმაურიანი ტრანსფერები, — ამა თუ იმ ფეხბურთელში 50 მილიონ ევროზე მეტის გადახდა ხომ უკვე ჩვეულებრივ ამბად აღიქმება. აი, მაგალითად, ბრაზილიელი ნეიმარის შეძენა „ბარსელონას" სოლიდურ თანხად დაუჯდა; ასტრონომიულ თანხებზეა ლაპარაკი **ედინსონ კავანის, რადამელ ფალკაოსა** თუ **გარეთ ბეილის** მოსალოდნელ ტრანსფერებზეც. მოკლედ, ჩვეულებრივი სიტუაციაა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ბოლო წლებში ფეხბურთელებზე უფრო „მოთხოვნადი"... მწვრთნელები გახდნენ! ჰო, მართლაც ასეა: ეს ერთი კვირაა, ზემოთ დასახელებული ფეხბურთელების შემდგარ თუ მოსალოდნელ ტრანსფერებზე მეტად აქტუალური სწორედ სამწვრთნელო გადაადგილებებია; თანაც, უნდა ვაღიაროთ, რომ მოთამაშეებზე მეტად ხმაურიანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრად უფრო მასშტაბურიც! ეგ კი არა, „სატრანსფერო ბაზარზე" დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ მხოლოდ და მხოლოდ **ლეო მესის** სხვა გუნდში გადასვლა თუ „გადასწონის" **ჟოზე მოურინიოს** („ჩელსიში"), **რაფაელ ბენიტესის** („ნაპოლიში"), **ვალტერ მაცარის** („ინტერში"), **მანუელ პელეგრინისა** („მანჩესტერ სიტიში") და **დევიდ მოიესის** („მანჩესტერ იუნაიტედში") დანიშვნებს. მთავარი ინტრიგა წინ არის: ვინ ჩაიბარებს მადრიდის „რეალს", **კარლო ანჩელოტი** თუ **იუპ ჰაინკესი**? სად „გაარტყამს" მორიგ სარფიან კონტრაქტს **რობერტო მანჩინი**? ან, სად გააგრძელებს კარიერას მანჩინიზე არანაკლებ „მადის" მქონე **გუუს ჰიდინკი** (რომელსაც მახაჩყალის „ანჟისთან" კონტრაქტი უმთავრდება); სამწვრთნელო ცვლილებებია მოსალოდნელი „მილანში", „რომაში"; საბოლოოდ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა „ბარსელონას" მთავარ მწვრთნელად **ტიტო ვილიანოვა**; ჯერჯერობით უცნობია, საით გაუწევს გული ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გამარჯვებულ **რობერტო დი მატეოსა** თუ მართლაც გამორჩეული სამწვრთნელო ხედვის მქონე **მარსელო ბიელსას** (ამ უკანასკნელს ბილბაოს „ატლეტიკთან" კონტრაქტი უმთავრდება); ტრადიციულად, დიდი ამბები უნდა მოხდეს რუსეთის პრემიერლიგაშიც: „ზენიტის" მთავარი მწვრთნელი ჯერჯერობით ისევ **ლუჩანო სპალეტია**, მაგრამ იტალიური გუნდებიდან არაერთი შემოთავაზება აქვს; დიდი ალბათობით, თავის პოსტს დაატოვებინებენ **სლავენ ბილიჩს** და მოსკოვის „ლოკომოტივის" სავარაუდო მწვრთნელებად **რობერტო მანჩინისა** და **მასიმილიანო ალეგრის** განიხილავენო, — ამტკიცებს რუსული სპორტული პრესა; სამაგიეროდ, ის კი გარკვეულია, რომ ცნობილმა და საკმაოდ ნორმალური კვალიფიკაციის მწვრთნელმა **იური სიომინმა**... აზერბაიჯანული „გაბალა" ჩაიბარა! ამ პერიფერიულ აზერბაიჯანულ კლუბს


გიორგი დარასელია

სოლიდურზე სოლიდური ბიუჯეტი აქვს: ორი წლის წინათ ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ლეგენდარული კაპიტანი **ტონი ადამსი** მიიწვიეს მთავარ მწვრთნელად, ახლა კი, რუსეთის ნაკრების, კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილი თავკაცი იური სიომინი. სხვათა შორის, სიომინს ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ფეხბურთელებთან: **მალხაზ ასათიანი** და **ზაზა ჯანაშია** წლების განმავლობაში მოსკოვის „ლოკომოტივის" ლიდერები იყვნენ! ისე, თემას გადავუხვევთ და ვიტყვით, რომ ასათიანმაც და ჯანაშიამაც (ისე როგორც სიომინის ხელმძღვანელობით „ლოკომოტივში" სხვადასხვა დროს მოასპარეზე **მიხეილ აშვეთიამ** თუ **გიორგი დემეტრაძემ**) არაერთი მატჩი თუ სეზონი ჩაატარეს მაღალ დონეზე, მაგრამ ბევრი, ალბათ დაგვეთანხმება, რომ უფრო მეტის მიღწევაც შეეძლოთ...

...ისევ სიომინის „თემას" გავაგრძელებთ: აზერბაიჯანული გუნდების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას სოლიდური ბიუჯეტი აქვთ და ცნობილი და მაღალანაზღაურებადი მწვრთნელების მიწვევაც უკვე ჩვეულებრივ ამბად აღიქმება; „გაბალას" მსგავსად, ასევე პერიფერიული კლუბია ლენქორანის „ხაზარი", სადაც ამ ერთი თვის წინათ მთავარ მწვრთნელად ცნობილი უელსელი სპეციალისტი **ჯონ ტოშაკი** დაინიშნა. თუმცა, ფული რომ ყველაფერს არ ნიშნავს, იმავე აზერბაიჯანის მაგალითზე ვიტყვით: ქართველი სპეციალისტების დამოძღვრილ გუნდებს, **კახა ცხადაძის** „ინტერს" და **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგს" მოკრძალებული ბიუჯეტი აქვთ, მაგრამ „ხაზარიც" უკან ჩამოიტოვეს, „გაბალაც", არანაკლებ მდიდარი „ბაქოც" და ჩემპიონატიც, შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილზე დაასრულეს!

## ქართული სინამდვილე

მართლაც სასიამოვნოა, რომ თანამედროვე ფეხბურთის მიმდინარე ტენდენციებს არც საქართველო ჩამორჩება! ოღონდ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ, სამწვრთნელო გადაადგილებებს ვგულისხმობთ: სეზონის დასრულებიდან ჯერ ათი დღეც არ გასულა და უკვე რამდენიმე ქართული გუნდი უმწვრთნელოდ არის დარჩენილი! ჩემპიონატი ახალდასრულებული იყო, „ზუგდიდის" ან უკვე მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ჩვეული გულახდილობით განაცხადა, რომ გუნდიდან მივდივარ და, საერთოდ, სამწვრთნელო საქმიანობას მინდა შევეშვაო; „ზუგდიდს" ჯერჯერობით ახალი თავკაცი არ ჰყავს, ისე როგორც „დილას" თუ „ტორპედოს": **ვალდას ივანაუსკასი** გორელთა მწვრთნელი აღარ არის (არადა, გუნდმა ისტორიაში საუკეთესო შედეგი უჩვენა — მეორე ადგილი დაიკავა), ხოლო ქუთაისელებს **გია გეგუჩაძე** გამოემშვიდობა (ზედიზედ ორჯერ მესამე ადგილის დაკავება როგორი შედეგია, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია); თუმცა, ჯერ სადა ვართ: ახალი სეზონის დაწყებამდე, სულ მცირე, სამ-ოთხ გუნდში (თუ უფრო მეტში არა) კიდევ უნდა ველოდოთ სამწვრთნელო ცვლილებებს. არ


ვალდას ივანაუსკასი

დაგვავიწყდეს, რომ დღესდღეობით უმწვრთნელოდ არის დარჩენილი „ზესტაფონი", არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ბათუმის „დინამოსთან" დაკავშირებით; ბოლნისის „სიონის" სავარაუდო მწვრთნელად **ივო შუშაკიც** ახსენეს, გორის „დილას" ასევე სავარაუდო კანდიდატად კი ისეთი პიროვნებაც დასახელდა, აი, „ხმაურიანი დანიშვნა" ეს იქნება, თუ იქნება!.. არადა, წინა სეზონთან შედარებით, გასულ ჩემპიონატში მწვრთნელების მოხსნა-დანიშვნას მასშტაბური ნამდვილად აღარ ეთქმოდა: ექვსმა სპეციალისტმა პირველიდან ბოლო ტურის ჩათვლით იმუშავა. აი, ის მწვრთნელებიც, კლუბის ხელმძღვანელთა მხრიდან ნდობას რომ ინარჩუნებდნენ: **დუშან უჰრინი** (თბილისის „დინამო"), **სოსო ფრუიძე** („ჩიხურა"), **მალხაზ ჟვანია** („მერანი"), **გია გურული** (ბათუმის „დინამო"), **გია გეგუჩაძე** („ტორპედო") და **ელგუჯა ქომეთიანი** („ზუგდიდი"). აი, სხვაგან კი აბსოლუტურად განსხვავებული სურათი იყო: ოთხ გუნდში თითოჯერ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი ერთგან — ორჯერ, „ზესტაფონმა" კი სეზონის „რეკორდი" დაამყარა! სწორედ „ზესტაფონის" სამწვრთნელო გადაადგილებას შევახსენებთ: **გია ჭიაბრიშვილის** ნაცვლად მეოთხე ტურში გუნდს **გიორგი ყიფიანმა** უთავკაცა, მომდევნო შეხვედრიდან კი ქვეყნის ჩემპიონების გაძღოლა **დავით მუჯირსა** და **ზაზა ზამთარაძეს** მიანდეს. XIX ტურის წინ ამ „დუეტმა" პროტესტის ნიშნად გუნდი დატოვა და „ჩიხურასთან" გასვლით შეხვედრაზე „ზესტაფონი" მოედანზე **გიორგი მიქაძემ** გაიყვანა. აი, მომდევნო ტურიდან კი „ზესტაფონს" უკვე **კახა კაჭარავა** მოძღვრავდა, თუმცა ჩემპიონატის ბოლო ტურში, თბილისის „დინამოსთან" გასვლით მატჩში იმერული კლუბი მოედანზე ისევ გიორგი მიქაძემ გამოიყვანა.

...გორის „დილა" სეზონი **თემურ შალამბერიძის** ხელმძღვანელობით დაიწყო, თუმცა წარუმატებელი სტარტის (რაც ევროტურნირებზე მონაწილეობითა და საშინაო მატჩების თბილისში ჩატარებითაც იყო გამოწვეული) მერე V ტურიდან გუნდის გაძღოლა ისრაელიდან ჩამოყვანილ **გიორგი დარასელიას** დაევალა. დარასელიას საქართველოს ჩემპიონატში ჩინებული სამწვრთნელო დებიუტი ჰქონდა (ზედიზედ 11 მატჩი მოიგო), თუმცა, ზამთრის პაუზის დროს ხაბაროვსკის „სკაენერგიაში" გადავიდა და მის ნაცვლად „დილა" ლიტველ სპეციალისტს **ვალდას ივანაუსკასს** ჩააბარეს.

მესამე ტურის მერე შეიცვალა მთავარი მწვრთნელი „სიონში" — **ხვიჩა ქასრაშვილის** ნაცვლად ბოლნისურ კლუბში **არმაზ ჯელაძე** მივიდა; VIII ტურში, რუსთავში საშინაო მარცხის („ვიტ ჯორჯიასთან") მერე „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება მოუხდა **კობა ჟორჟიკაშვილს**, რომელიც „ზესტაფონიდან" წამოსულმა გიორგი ყიფიანმა შეცვალა; XIX ტურის მერე მთავარი მწვრთნელი შეიცვალა „კოლხეთშიც": **დავით მახარაძე** წავიდა და მცირე პაუზის მერე ფოთელთა გუნდში კვლავაც **სოსო ფილია** დაბრუნდა. დაახლოებით ასეთი „შინაარსის" ცვლილება მოხდა „ვიტ ჯორჯიაშიც": **მერაბ კოჭლაშვილი** XXV ტურის მერე **ზურაბ ბერიძემ** ჩაანაცვლა. ვინ იქნება შემდეგი?..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XXIV ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება. ტორპედო

# გუნდი, რომელიც უკვე წარსულია



გია გეგუჩაძე

**მწვრთნელი, რომელიც ხელმძღვანელობის სრული ნდობით სარგებლობდა, სტაბილური შემადგენლობა და არცთუ სოლიდური ბიუჯეტის მიუხედავად, საქმიანი გარემო - ყოველივე ამის გამო, "ტორპედო" საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი იყო, თუმცა ზემოთ ნახსენები ვითარება უკვე წარსულში დარჩა.**

**რამდენიმე დღის წინ, "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გია გეგუჩაძის წასვლის შესახებ გახდა ცნობილი, რაც პრესკონფერენციაზე მალევე დაადასტურეს მან და კლუბის ხელმძღვანელობამ. "ტორპედოს" მესვეურებმა შემადგენლობის კიდევ უფრო გაახალგაზრდავება განიზრახეს და აქცენტი იმ თაობაზე გააკეთეს, რომელიც ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მივიდა. გეგუჩაძის ნაცვლად, ქუთაისურ გუნდს ესპანელი სპეციალისტები გაუძღვებიან. მოკლედ, "ტორპედოს" მომავალი ასეთია: გეგუჩაძის გუნდი კი უკვე წარსულია და გავიხსენოთ, როგორ განვლო გასული სეზონი ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა ქართულმა კლუბმა.**

## შესაძლებლობის მაქსიმუმი

შესაძლოა, მესამე ადგილი არც "ტორპედოს" გულშემატკივრებისთვის იყოს დამაკმაყოფილებელი, არც კლუბის ხელმძღვანელობისთვის და არც თავად გეგუჩაძისთვის, მაგრამ შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ქუთაისური კლუბისთვის ზედიზედ მეორე ბრინჯაო მაინც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. პირველ-მეორე ადგილზე გასული კლუბები ხომ "ტორპედოზე" უფრო შეძლებულები არიან. "ტორპედომ" ზედიზედ მეორედ მოიპოვა ევროპის ლიგის საგზური.

გეგუჩაძის გუნდს ნამდვილად შეეძლო უფრო წარმატებით გამოსულიყო თასის გათამაშებაში, მაგრამ მეოთხედფინალში ბევრისთვის მოულოდნელად დამარცხდა ქვედა ექვსეულის ბინადარ ბოლნისის "სიონთან". არადა, პირველი მატჩი შინ "ტორპედოს" 3:1 ჰქონდა მოგებული, საპასუხოში კი არცთუ უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე იმერლები 0:2 დამარცხდნენ.

გეხსომებათ, სწორედ იმ მატჩში კინაღამ დიდი ტრაგედია დატრიალდა – "ტორპედოს" ახალწვეული **გიორგი ონიანი** "ბასაზე" ლობის ბოძს დაეჯახა, ხერხემალი დაიზიანა და ბეწვზე გადაურჩა ფატალურ შედეგს. ის ფეხბურთის თამაშს აუცილებლად გააგრძელებს. 29 წლის ონიანს არაერთი ქართული კლუბის ღირსება დაუცავს და ყველგან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ასე რომ, მისმა არყოფნამ "ტორპედოზე" ნამდვილად მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა.

გეგუჩაძის გუნდმა სეზონი სტაბილურად, განსაკუთრებული ჩავარდნების გარეშე განვლო და არაერთი გამოსარჩევი მატჩიც ჩაატარა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას "ტორპედოს" შემადგენლობაში მინიმალური ცვლილებები განხორციელდა, რაც ქართულ რეალობაში მეტად იშვიათი ფაქტია.

## საუკეთესო მატჩი

ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტს - გორის "დილას" "ტორპედომ" სტუმრად ორივე მატჩი მოუგო (1:0 და 2:1), რაც უდავოდ გამოსარჩევი ფაქტია. ამას გარდა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ პირველ ეტაპზე გამართული შეხვედრა - ქუთაისელებმა რუსთავში "მეტალურგი" 4:0 გაანადგურეს. ჩემპიონატის მიწურულს, "დილასთან" მიღწეული საშინაო 5:4 სულაც არ ყოფილა "ტორპედოს" საუკეთესო მატჩი, მაგრამ სეზონის ყველაზე უხვგოლიან თამაშში გამარჯვება მაინც გამოსარჩევი ამბავია.

## ყველაზე ცუდი მატჩი

"სიონთან" სათასო დაპირისპირება უკვე ვახსენეთ. ამას გარდა, ქუთაისელ გულშემატკივრებს ცუდად მოაგონდებათ მარტვილში განცდილი 0:3 და თბილისში "დინამოსგან" მიღებული ოთხი უპასუხო ბურთი.

### მეკარე

**ომარ მიგინეიშვილის** სახით "ტორპედოს" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საიმედო კარის დარაჯი ჰყავს. 28 წლის მეკარე სტაბილურობისა და საიმედოობის განსახიერებაა და უკვე დიდი ხანია, წარმატებით იცავს ქუთათურთა კარს. ჩემპიონატის 32-ივე შეხვედრა მან შეუცვლელად ითამაშა და მეკარეთა შორის ყველაზე მეტჯერ, 6-ჯერ მოხვდა "ლელოს" ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

### დაცვა

32 წლის **გიორგი გურული** და 26 წლის **ზაზა ჭელიძე** მუდმივად ხვდებოდნენ "ტორპედოს" სასტარტო შემადგენლობაში. საკმაო რაოდენობის მატჩები ჩაატარა 21 წლის **დათა რიგვავამაც**, გიორგი ონიანის არყოფნაში კი ძირითადში ფეხი 22 წლის **ვაჟა ტაბატაძემ** მოიკიდა. მათ გარდა, ქუთაისელთა უკანა ხაზში ვხედავდით 21 წლის **ლაშა შერგელაშვილს**, თუმცა მან ცხრავე მატჩი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ჩაატარა.

### ნახევარდაცვა

სხვა რგოლების მსგავსად, ზამთარში განსაკუთრებული ცვლილებები არც "ტორპედოს" შუა ხაზში განხორციელებულა. ამ რგოლში კონკურენციის ნაკლებობა არ იგრძნობოდა და გუნდისთვის სარგებლის მოტანას ყველა ნახევარმცველი ახერხებდა.

გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა მარტვილის "მერანიდან" გადაყვანილი 23 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილი**, ჩვეულად გამოსარჩევები იყვნენ **გრიგოლ დოლიძე** (30 წლის), **გიორგი კუხიანიძე** (20 წლის), **გიორგი დათუნაიშვილი** (28 წლის), **მერაბ გიგაური** (19 წლის) და **ნიკა ფირცხალავა** (26 წლის).

### თავდასხმა

"ტორპედოს" საუკეთესო ბომბარდირი 10 გოლით **ნიკა საბანაძე** გახდა, მაგრამ 22 წლის ფორვარდმა თავის მონაგარს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ვერაფერი შესძინა - ათივე გოლი მან 2012 წელს გაიტანა. სამაგიეროდ, ბოლო თვეებში გამორჩეული იყო 26 წლის **გიორგი**



ომარ მიგინეიშვილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მეკარეა

**ბერიაშვილი**, რომელმაც ჩემპიონატი 9 გოლით დაასრულა.

"ტორპედო" ორი თავდამსხმელით თამაშობდა და წინა ხაზში როტაცია ხშირი იყო. საბანაძისა და ბერიაშვილის გარდა, თავის გამოჩენის შესაძლებლობა ხშირად ეძლეოდათ 19 წლის **გიორგი ფანცულაიასა** და 24 წლის **ბექა ტულუშს**, რომლებმაც გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ტორპედოს ყველა მატჩი

| I ეტაპი | | |
|---|---|---|
| I ტური | ტორპედო-ზუგდიდი | 1:0 |
| II ტური | დინამო (თბ)-ტორპედო | 3:2 |
| III ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| IV ტური | მეტალურგი-ტორპედო | 0:4 |
| V ტური | ტორპედო-მერანი | 4:0 |
| VI ტური | ტორპედო-დინამო (ბთ) | 5:1 |
| VII ტური | კოლხეთი-ტორპედო | 1:1 |
| VIII ტური | ტორპედო-დილა | 0:1 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:3 |
| X ტური | ტორპედო-ჩიხურა | 3:1 |
| XI ტური | სიონი-ტორპედო | 0:2 |
| XII ტური | ზუგდიდი-ტორპედო | 2:1 |
| XIII ტური | ტორპედო-დინამო (თბ) | 2:2 |
| XIV ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 1:0 |
| XV ტური | ტორპედო-მეტალურგი | 1:0 |
| XVI ტური | მერანი-ტორპედო | 3:0 |
| XVII ტური | დინამო (ბთ)-ტორპედო | 0:2 |
| XVIII ტური | ტორპედო-კოლხეთი | 2:1 |
| XIX ტური | დილა-ტორპედო | 0:1 |
| XX ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXI ტური | ჩიხურა-ტორპედო | 0:0 |
| XXII ტური | ტორპედო-სიონი | 4:1 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 14 მოგება, 3 ფრე, 5 წაგება, ბურთები: 41-18*

| II ეტაპი | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | ტორპედო-ჩიხურა | 0:0 |
| XXIV ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 0:0 |
| XXV ტური | ტორპედო-დინამო (თბ) | 1:1 |
| XXVI ტური | დილა-ტორპედო | 1:2 |
| XXVII ტური | ტორპედო-ზუგდიდი | 2:0 |
| XXVIII ტური | ჩიხურა-ტორპედო | 1:1 |
| XXIX ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| XXX ტური | დინამო (თბ)-ტორპედო | 4:0 |
| XXXI ტური | ტორპედო-დილა | 5:4 |
| XXXII ტური | ზუგდიდი-ტორპედო | 1:4 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 5 მოგება, 4 ფრე, 1 წაგება, ბურთები: 16:12*

*სულ: 32 მატჩი, 19 მოგება, 7 ფრე, 6 წაგება, ბურთები: 57-30*

მეკარე: **ომარ მიგინეიშვილი - 32 მატჩი;**

მცველები: **გიორგი გურული - 32 მატჩი; ზაზა ჭელიძე - 30 მატჩი, 1 გოლი; დათა რიგვავა - 26 მატჩი; ვაჟა ტაბატაძე - 15 მატჩი; ალექსანდრე კვახაძე - 12 მატჩი, 1 გოლი; ლაშა შერგელაშვილი - 9 მატჩი, 2 გოლი; გიორგი ონიანი – 4 მატჩი, მამია გავაშელიშვილი – 1 მატჩი, 1 გოლი;**

ნახევარმცველები: **გიორგი კუხიანიძე - 31 მატჩი, 7 გოლი; ელგუჯა გრიგალაშვილი - 29 მატჩი, 6 გოლი; გიორგი დათუნაიშვილი - 26 მატჩი, 4 გოლი; გრიგოლ დოლიძე - 28 მატჩი, 5 გოლი; მერაბ გიგაური - 28 მატჩი, 1 გოლი; ნიკა ფირცხალავა - 22 მატჩი, 2 გოლი; ვალერი ბოლქვაძე - 16 მატჩი, 1 გოლი;**

თავდამსხმელები: **გიორგი ბერიაშვილი - 29 მატჩი, 9 გოლი; ნიკა საბანაძე - 26 მატჩი, 10 გოლი; გიორგი ფანცულაია - 21 მატჩი, 3 გოლი; ბექა ტულუში - 23 მატჩი, 4 გოლი; ბექა კაკუშაძე – 3 მატჩი; თეიმურაზ მარკოზაშვილი – 2 მატჩი; ვახტანგ კვარაცხელია - 1 მატჩი.**

მწვრთნელი: **გია გეგუჩაძე**

ტორპედო

# ტორპედოს მინუსები და შესაძლო პლუსები

## ხიდეშელი, აბურჯანია და თომაშვილი ქუთაისში?



გიორგი ხიდეშელი

ქუთაისის "ტორპედოში" განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე გულშემატკივარი უკვე ინფორმირებულია. გუნდის პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ გუნდის გაახალგაზრდავება და შემადგენლობისა და მწვრთნელთა შტაბის შეცვლა გადაწყვიტა.

როგორც ამბობენ, გუნდი შარშან, სლოვენიაში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილე იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნობა, რომლებიც ამჟამად თბილისის "ლოკომოტივსა" და გორის „დილაში" თამაშობენ. „ლოკომოტივიდან" „ტორპედოში" გადადის ესპანელი მთავარი მწვრთნელი **ჟერარდ სარაგოსა მულე**, რომელიც "ესპანიოლის" დუბლშემადგენლობასა და კატალონიის 17-წლამდელთა სანაკრებო გუნდს ხელმძღვანელობდა, რამდენიმე წელი კი ყატარის საფეხბურთო აკადემიის სკაუტად მუშაობდა.

ახალგაზრდებზე აქცენტის გაკეთება კარგია, მაგრამ საკადრო რევოლუციას პირველი „მსხვერპლი" უკვე მოჰყვა: გუნდი დატოვეს **გიორგი დათუნაიშვილმა** და **გიორგი ბერიაშვილმა**. ჯერ უცნობია, ეს ფეხბურთელები



გულვერდ თომაშვილი

კარიერას რომელ გუნდში გააგრძელებენ. თუმცა, ამ უკანასკნელზე ორი კვირის წინ იყო ინფორმაცია, რომ თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტი შესთავაზეს. 26 წლის თავდამსხმელი ქუთაისურ გუნდში გასული სეზონის დაწყებამდე ჩაირიცხა და 33 შეხვედრაში 9 ბურთი გაიტანა.

დათუნაიშვილი კი "ტორპედოში" უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ გამოჩნდა. საყრდენმა ნახევარმცველმა 105 მატჩში 12 გოლით გამოიჩინა თავი.

"ტორპედოს" ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კლუბი ფეხბურთელებს გაწეული სამსახურისთვის მადლობას უხდის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ორი მოთამაშის შემცვლელის სასწრაფოდ მოძებნა ქუთაისელებს ძალიან გაუჭირდებათ.

თუმცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, "ტორპედოს" რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი აქვს ჩაფიქრებული. იგეგმება "ზესტაფონის" მცველის **გიორგი ხიდეშელის**, გორის "დილას" მცველის **გულვერდ თომაშვილისა** და ცენტრალური ნახევარმცველის **გიორგი აბურჯანიას** დამატება.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი აბურჯანია

საფრანგეთი. ლიგა 1. სეზონის სტატისტიკური შეჯამება

# იბრაკადაბრა

2012/13 წლების სეზონი საფრანგეთში ფორვარდების სეზონი იყო. ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, პიერ-ემერიკ ობამეიანმა და დარიო ცვიტანიჩმა გულშემატკივრები გოლებით არაერთხელ გაახარეს. მოდი, ციფრების დახმარებით, ერთად შევაჯამოთ ლიგა 1-ის დასრულებული სეზონი...

967 - ბურთი გაიტანეს ფეხბურთელებმა ამ სეზონში, რაც საშუალოდ ერთ შეხვედრაში 2,54 გოლს უდრის. ამაზე მეტი ბურთი ბოლოს 28 წლის წინ, 1984/85 წლების სეზონში გავიდა (979). ასევე, ამ სეზონში **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** 30 ბურთი გაიტანა, რაც **ჟან-პიერ პაპენის** შემდეგ (1989/90) არავის გაუკეთებია. 19 გოლით, **პიერ-ემერიკ ობამეიანი** ბოლო 31 წლის განმავლობაში „სენტ ეტიენის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა - 1981/82 წლების სეზონში, „მწვანეების" რიგებში 22 ბურთი თვით ლეგენდარულმა **მიშელ პლატინიმ** გაიტანა. ასევე 19 გოლი **დარიო ცვიტანიჩის ანგარიშზეა**. „ნიცას" მაისურით, ერთ სეზონში ამაზე მეტი ბურთი ბოლოს **ნენად ბიეკოვიჩმა** გაიტანა (1978/79 - 29).

**გუნდური მიღწევები:**

**14** - ბოლო 15 წელიწადში „ლიონი" სამეულში მხოლოდ ერთხელ ვერ მოხვდა. ასეთი სტაბილურობით ლიგა 1-ის ისტორიაში ვერავინ იამაყებს. „ოლიმპიკმა" სეზონი 61 გოლით დაასრულა და ამ კომპონენტში მხოლოდ პსჟ-ს ჩამორჩა (69).

**4** - „ნიცამ" სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა. ასეთი მაღალი პოზიცია ზღვისპირელებმა ბოლოს 1976 წელს დაიკავეს, როდესაც მეორე ადგილზე გავიდნენ. **კლოდ პუელის** გუნდმა ბოლო ტურში 2:0 იმარჯვა და ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპა ლიგის საგზური.

**25** - „პარი სენ ჟერმენმა" სეზონი 25 მოგებით დაასრულა, რაც ახალი საკლუბო რეკორდი გახლავთ. პარიზელებმა ჩემპიონატი 83 ქულით დაასრულეს - ამაზე მეტი ქულა ბოლოს „ლიონმა" მოაგროვა (2005/06 წლების სეზონში - 84).

**2012/13 სეზონის გუნდური რეკორდები**

**6** - გუნდის მიერ ერთ შეხვედრაში გატანილი ყველაზე მეტი გოლი: **„ვალანსიენი"**-„ლორიანი" 6:1 (მე-9 ტური)

**31** - ერთ შეხვედრაში განხორციელებული ყველაზე მეტი დარტყმა: „ბრესტი"-**პსჟ** 0:3 (მე-19 ტური)

**13** - ერთ შეხვედრაში განხორციელებული ყველაზე მეტი ზუსტი დარტყმა: „ბრესტი"-**პსჟ** 0:3 (მე-19 ტური)

**67%** - ბურთის ფლობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი: **„ტულუზი"**-„აიაჩო" 2:4 (მე-12 ტური)

**748** - ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი პასი - **„ლილი"**-„სოშო" 3:3 (34-ე ტური)

**640** - ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი ზუსტი პასი - **„ლილი"**-„სოშო" 3:3 (34-ე ტური)

**ინდივიდუალური მიღწევები**

**428** - მატჩი ჩაატარა ლიგა 1-ში **ლუდოვიკ ჟიულიმ**, რომელმაც 38-ე ტურის შემდეგ კარიერა დაასრულა. „მონაკოსთან" ერთად 2004 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა, უკანასკნელი შეხვედრა ყოფილ გუნდთან, პსჟ-სთან გამართა. ჟიულის 18-წლიანი კარიერა 1995 წლის 21 იანვარს „ლიონის" შემადგენლობაში დაიწყო. „ბარსელონას" ყოფილმა ფეხბურთელმა ლიგა 1-ში 86 გოლი გაიტანა.

**8** - „ბორდოს" **შეიკ დიაბატემ** 8 ბურთი გაიტანა და შარშანდელი შედეგი გაიმეორა. ფორვარდმა ბოლო ტურში დუბლი შეასრულა, რაც ნიშნავს იმას, რომ დიაბატეს ყველა იმ სეზონის ბოლო ტურში აქვს გატანილი, რომელშიც მან ითამაშა. საერთოდ, კარიერის განმავლობაში გატანილი 20 გოლიდან 5 (25 პროცენტი) დიაბატემ ბოლო სამი სეზონის 38-ე ტურში შეაგდო.

**2012/13 სეზონის ინდივიდუალური რეკორდები**

**3** - ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი გოლი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი („ვალანსიენთან" 4:0, მე-17 ტური)

**12** - ერთ შეხვედრაში განორციელებული ყველაზე მეტი დარტყმა: ზლატან იბრაჰიმოვიჩი („ბრესტთან" 3:0, მე-19 ტური)

**6** - ერთ შეხვედრაში განხორციელებული ყველაზე მეტი ზუსტი დარტყმა: ზლატან იბრაჰიმოვიჩი („ბრესტთან" 3:0, მე-19 ტური)

**120** - ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი პასი: **ფლორიან ბალმონი** („ლორიანთან" 5:0, 31-ე ტური)

**109** - ერთ შეხვედრაში ყველაზე მეტი ზუსტი პასი: ფლორიან ბალმონი („ლორიანთან" 5:0, 31-ე ტური)



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

კვირა ციფრებში



იუპ ჰაინკესი ბაიერნიდან ხელდამშვენებული წავიდა

# კვირის რეკორდები და ტიტულები

**ამ კვირის სტატისტიკურ მიმოხილვაში მიუნხენის „ბაიერნის", „ამერიკას", „ლაციოს", ბელგრადის „პარტიზანის" და „ფოლა ეშის" წარმატებებზე ვისაუბრებთ...**

**83** - წელი ტიტულის გარეშე. სწორედ ამდენი ხანი ელოდა ჩემპიონობას ლუქსემბურგის კლუბი „ფოლა ეში", რომელმაც ერთი ტურით ადრე, კონკურენტ „ჟენესს" 5:1 მოუგო და ჩემპიონობა ნაადრევად გაინაღდა. იმ პერიოდში, როდესაც „ფოლა ეში" ვერაფერს იგებდა, „ჟენესმა" საკუთარი 28 ტიტულიდან 27 მოიგო. ახლა, „ფოლა ეში" 5-გზის ჩემპიონია, წინა 4 გამარჯვება კი 1918-1930 წლებში მოიპოვა. 83 წელი ყველაზე გრძელი უტიტულო პერიოდი სულაც არ არის. ჩრდილოეთ ირლანდიის კლუბი „კლიფტონვილი" ჩემპიონატს 1910-დან 1998 წლამდე, 88 წლის განმავლობაში ვერ იგებდა, ხოლო შვეიცარიის „სენტ გალენს" 96-წლიანი პაუზა ჰქონდა, სანამ 2000 წელს არ გაჩემპიონდა.

**6** - საჩემპიონო ტიტული ზედიზედ. ბელგრადის „პარტიზანმა" ოთხშაბათს აუტსაიდერი „სმედერევო" 2:0 დაამარცხა და კონკურენტებისთვის მიუწვდომელი გახდა. ეს ჩემპიონობა „პარტიზანისთვის" განსაკუთრებით საამაყოა, რადგან გუნდი ტიტულების რაოდენობით (25) თავის მოსისხლე მტერს, „ცრვენა ზვეზდას" წამოეწია. აღსანიშნავია ისიც, რომ იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, „პარტიზანი" ქვეყნის ჩემპიონი 14-ჯერ გახდა, „ცრვენა ზვეზდა" კი მხოლოდ 7-ჯერ.

**5** - გამარჯვება იტალიის თასზე ბოლო 16 წლის განმავლობაში. რომის „ლაციომ" კვირას ფინალში „რომა" დაამარცხა და ამ პერიოდში (ბოლო 16 წლის განმავლობაში) იტალიის თასის ყველაზე წარმატებული გუნდის სახელი მოიპოვა. ტურნირის 91-წლიან ისტორიაში, რომაული გუნდები ერთმანეთს ფინალში პირველად დაუპირისპირდნენ. სულ კი ეს ფინალებში მესამე დერბი იყო. პირველად ტურინული დაპირისპირება შედგა („იუვენტუსი"-„ტორინო" 1938 წელს), მეორე კი მილანური („მილანი"-„ინტერი", 1977 წელი). „ლაციალემ" გამარჯვება **სენად ლულიჩის** გოლის წყალობით მოიპოვა და იტალიის თასის მფლობელი მეექვსედ გახდა.

დამარცხებულებს თავის დამშვიდება იმით შეუძლიათ, რომ „რომა", „იუვენტუსთან" ერთად, კოპა იტალიას ყველაზე ტიტულოვანი გუნდია (9 გამარჯვება). გარდა ამისა, კლუბს „ბიანკოჩელესტისთან" ურთიერთშეხვედრებშიც უპირატესობა აქვს: 57 მოგება 43-ის წინააღმდეგ.

**4** - მწვრთნელს აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგა (თასი) ორ სხვადასხვა გუნდთან ერთად. ამ საპატიო კლუბის ბოლო წევრი **იუპ ჰაინკესი** გახდა, რომელმაც 1998 წელს ლიგა მადრიდის „რეალს" მოაგებინა, წელს კი მიუნხენის „ბაიერნს". 68 წლის სპეციალისტმა **ერნსტ ჰაპელის** („ფეიენოორდი" და „ჰამბურგი"), **ოტმარ ჰიტცფელდის** (დორტმუნდის „ბორუსია" და „ბაიერნი") და **ჟოზე მოურინიოს** („პორტუ" და „ინტერი") მიღწევა გაიმეორა. „ბაიერნის" რიგებში 6-მა ფეხბურთელმა შეძლო მესამე ცდაზე ფინალის მოგება. წინა ორი წაგებული ფინალების მონაწილენი იყვნენ: **მარიო გომესი, ფილიპ ლამი, თომას მიულერი, არიან რობენი, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **დანიელ ვან ბუიტენი.**

ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

# პირველად 1961 წლის შემდეგ

**სანტა ფე-რეალ გარსილასო 2:0 (3:1)**

**გოლები:** 1:0 კუერო (7), 2:0 ჯ. ვალენსია (66).

**სანტა ფე** (4-3-1-2): კ. ვარგასი - ანჩიკო, კ. ვალდესი (78. ხ. სენტურიონი), მესა, მ. გარსია - დ. ტორესი (64. ე. მოლინა), ბედოია, ჯ. ვალენსია - ო. პერესი (83. უ. აკოსტა) - ვ. მედინა, კუერო.

**რეალ გარსილასო** (4-4-2): კარანსა - ჯ. ერერა, ბოგადო, ლოხასი, სანტილიანი - ო. გამარა (46. კ. ვილდოსო), რეტამოსო, კამარინო, ფ. რამოსი (83. ს. ორტისი) - მონტესი (73. რამუა), ვ. ფერეირა.

**გაძევება:** სანტილიანი (74. რეალ გარსილასო).

ლიბერტადორესის თასზე პირველი ნახევარფინალისტი გაირკვა, თუმცა მისი ვინაობა ისედაც ცნობილი იყო. პირველი მატჩის დამაჯერებლად მოგების შემდეგ, გასაგები გახდა, რომ „სანტა ფე" მეტოქეზე გაცილებით ძლიერი იყო და ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. საპასუხო შეხვედრა მხოლოდ ფორმალობა იყო, მაგრამ ამ ფორმალურ მატჩშიც კი ერთი ისეთი ეპიზოდი ვიხილეთ, რომლის გამოც ამ შეხვედრის გამართვა ნამდვილად ღირდა. მე-7 წუთზე, მასპინძელთა 25 წლის ფორვარდმა **ჯეფერსონ კუერომ** ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს, მარჯვენა ფლანგზე მიიღო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კარში დაარტყა. დარტყმა იმდენად ძლიერი და ზუსტი გამოდგა, რომ **დიეგო კარანსამ** ვერაფერი გააწყო და ბურთი ხარიხის გავლით კარში აღმოჩნდა. გოლი მართლაც არანორმალური სილამაზის იყო და მისი ბოლომდე აღწერა შეუძლებელია.

მეორე ტაიმში „რეალ გარსილასოს" **სანტილიანი** გაუძევეს, მანამდე კი „სანტე ფემ" მეორე გოლიც მოასწრო. საბოლოოდ, 2:0, ორი მატჩის ჯამში 5:1 და კოლუმბიური კლუბი 2013 წლის კოპა ლიბერტადორესის პირველი ნახევარფინალისტი გახდა. ამ ტურნირზე ასე შორს „სანტა ფე" ბოლოს 1961 წელს, თავისთვის სადებიუტო სეზონში გავიდა.



ჯეფერსონ კუერომ არანორმალური სილამაზის გოლი გაიტანა

მექსიკა. კლაუსურა. ფინალის საპასუხო მატჩი

# საოცრება მექსიკაში

## გადამწყვეტი ბურთი მეკარემ გაიტანა

**ამერიკა-კრუს ასული 2:1 პენ. 4:2**

(პირველი მატჩი: 0:1)

**გოლები:** 0:1 ტ. გუტიერესი (20), 1:1 ა. მოსკერა (89), 2:1 მ. მუნიოსი (90)

**გაძევება:** ხ. მოლინა (14. ამერიკა)

მექსიკის ჩემპიონატის საპასუხო ფინალურ შეხვედრაში სასწაული მოხდა და გუნდმა, რომელიც 89-ე წუთისთვის, ორი მატჩის ჯამში 0:2-ს აგებდა, საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა.

ქვეყნის ორი ტიტულოვანი გუნდი, 10-გზის ჩემპიონი „ამერიკა" და 8-გზის ჩემპიონი „კრუს ასული", ერთმანეთს კლაუსურას ფინალში დაუპირისპირდნენ. პირველი შეხვედრა, რომლის ნომინალური მასპინძელიც „კრუს ასული" იყო (ორივე გუნდი ლეგენდარულ „აცტეკაზე" თამაშობს), მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, ანგარიშით 1:0.

საპასუხო მატჩი „ამერიკასთვის" კოშმარულად დაიწყო: მასპინძლებს მე-14 წუთზე **ხესუს მოლინა** გაუძევეს, მე-20 წუთზე კი **ტეოფილო გუტიერესმა** სტუმრები დააწინაურა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში 0:2 გახდა. მართალია, მექსიკაში საგარეო გოლის წესი არ მოქმედებს, მაგრამ „ამერიკა" განწირული ჩანდა, „კრუს ასულის" ქომაგები კი უკვე მონატრებულ ჩემპიონობას ზეიმობდნენ - მათი საყვარელი გუნდი ხომ ბოლოს 1997 წელს გაჩემპიონდა.

ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, სანამ მატჩის 89-ე წუთზე კიდევ ერთმა კოლუმბიელმა **აკივალდო მოსკერამ** ანგარიში არ გაათანაბრა - „სევილიას" ყოფილმა მცველმა ამ სეზონში (აპერტურა/კლაუსურას ჯამში) პირველ გოლი გაიტანა, ამის შემდეგ კი ნამდვილი სასწაული მოხდა: 93-ე წუთზე, მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, რომელიც მეტოქის საჯარიმოში ჩასული მეკარის, **მოიზეს მუნიოსის** ვარდნაში განხორციელებული თავური დარტყმით დასრულდა. დარტყმა ძლიერი არ გამოვიდა, მაგრამ რიკოშეტმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და ის კარში აღმოჩნდა! აი, ასე - 10-კაციანმა „ამერიკამ", შეხვედრის ბოლო წუთებზე ანგარიში გაათანაბრა, თანაც გადამწყვეტი ბურთი მეკარემ გაიტანა! მეკარემ, რომელიც ერთი წლის წინ ძალიან მძიმე ავარიაში მოჰყვა და კინაღამ დაიღუპა. იმ შემთხვევის გამო, მუნიოსმა თითქმის მთლიანად გამოტოვა აპერტურა და ფეხბურთში ნორმალურად მხოლოდ კლაუსურას სტარტზე დაბრუნდა.



„ამერიკას" გმირი მოიზეს მუნიოსი

საბოლოოდ, გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა და საჭირო გახდა 11-მეტრიანების სერია, რომელშიც უკეთ მასპინძლები გამოვიდნენ. 4:2 და „ამერიკა" მექსიკის ჩემპიონია! გუნდმა მე-11 ტიტული მოიპოვა და „გვადალახარას" წამოეწია. ახლა სწორედ ეს ორი კლუბია ყველაზე ტიტულოვანი. მესამე ადგილზე 10 ჩემპიონობით „ტოლუკაა", მეოთხეზე კი „კრუს ასული" (8).

საინტერესოა, რომ მექსიკაში ევროპული სისტემა (ჩემპიონატი ორ წრედ) რომ იყოს, „კრუს ასული" 1997 წლის შემდეგ სამჯერ გახდებოდა ჩემპიონი...

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი. U-21. 5-18 ივნისი

# აღთქმულ მიწაზე მომავლის ვარსკვლავები ატიმტიმდებიან

## თუმცა ითამაშებენ უკვე ანთებულებიც: დე ხეა, ვერატი, დე იონგი, ჰოლტბი, ჰენდერსონი, ძაგოევი, ისკო, ალკანტარა და კიდევ ბევრი სხვა

**ევროპული** ფეხბურთის საკლუბო სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. რაღა დარჩა, ერთი ტური ესპანურ პრიმერაში და რამდენიმე სათასო ფინალი მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებში. თუმცა სულ მალე ფეხბურთის მოყვარულებს მოსაწყენად არ ექნებათ საქმე - კვირაზე ნაკლები რჩება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელიც ისრაელში გაიმართება.

### მონაწილე ქვეყნები

ფინალური საგზურებისთვის (7 პლუს მასპინძელი) 52-მა ევროპულმა ქვეყანამ 2011 წლის მარტიდან დაიწყო. ჯგუფური საკვალიფიკაციო ეტაპის 10 ჯგუფის გამარჯვებული და 4 საუკეთესო მეორადგილოსანი პლეი ოფში გავიდა, სადაც გაირკვა კიდევაც 7 მონაწილის ვინაობა: ინგლისი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, რუსეთი და ესპანეთი. როგორც ხედავთ, საბრძოლო შემადგენლობაა - ფრანგებს და პორტუგალიელებს თუ არ ჩავთვლით, 21-წლამდელთა ყველა გრანდი ევროპის ჩემპიონატზე წარმოდგენილია.

### საქართველოს გზა

კენჭისყრისას საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები მეოთხე კალათში იყო. გუნდი მე-5 ქვეჯგუფში მოხვდა ესპანეთთან, შვეიცარიასთან, ხორვატიასთან და ესტონეთთან. როგორც ხედავთ, არ გაგვიმართლა - ესპანეთი გრანდი და მოქმედი ჩემპიონია, შვეიცარიას ჩინებული თაობები მოსდის და ეს გუნდი ბოლო ჩემპიონატის ფინალისტი იყო, ხორვატია კი ყოველთვის სერიოზული ძალაა. საბოლოოდ, „ფურია როხიტამ" პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო შვეიცარია საუკეთესო მეორეადგილოსანთა შორის მოხვდა და ორივე ეს გუნდი გავიდა პლეი ოფში (იქიდან კი მხოლოდ ესპანეთი მოხვდა ევროპის ჩემპიონატზე).

საქართველოს ნაკრებმა 8 თამაშში მხოლოდ 10 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენებმა 1 ქულით ხორვატებს აჯობეს, 9-ით აუტსაიდერ ესტონელებს. არადა, ყველაფერი როგორ საიმედოდ იწყებოდა! **ოთარ გაბელიას** გუნდმა **ივო შუშაკისას** 1:0 მოუგო ხორვატიაში. გამარჯვების გოლი ბრწყინვალე შორეული დარტყმით თიც **ნიკა კვეკვესკირის** ანგარიშზეა.

ოთხ დღეში საქართველო ესპანეთს ეწვია და უფრო ნორმალური ანგარიშით, მაგრამ მაინც უიმედოდ დამარცხდა - 0:2, ორივე გოლი სერხიო კანალესმა გაგვიტანა. ცხადზე ცხადი გახდა, რომ საქართველო ევროსაგზურს ვერ შეწვდებოდა, ოთარ გაბელიას ნაცვლად კი მწვრთნელი **სოსო ჭედია** გახდა, რომლის გუნდიც შინ 0:1 დამარცხდა შვეიცარიის ნაკრებთან. ჭედიას გუნდი სულაც განადგურდა შვეიცარიაში - 0:5. ამ მატჩში „გრასჰოპერის" **სტივენ ცუბერმა** ჰეთთრიკი შეგვისრულა.

დანარჩენი სამი მატჩი საქართველომ 2012 წელს გამართა უკვე **ალექსანდრე ჩივაძის** ხელმძღვანელობით. და გაცილებით უკეთაც ითამაშა, თუმცა უკვე ძალიან გვიანი იყო: ჩვენებმა ჯერ ესტონეთში იმარჯვეს - 2:1 **თორნიკე ოქრიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გოლებით, შემდეგ შინ ხორვატიას დაუზავდნენ - 1:1 (**დავით სხირტლაძე**) და ბოლოს „მიხეილ მესხზეც" მოუგეს ესტონეთს - 2:1 (**ნიკა ძალამიძე** და **ლაშა პარუნაშვილი**).

### გახსოვდეს პალესტინა!

ისრაელში, მოგეხსენებათ, ხშირად იძაბება სიტუაცია. ამიტომაც უეფას სარეზერვო მასპინძელი შემზადებული ჰყავდა - ინგლისი. საბედნიეროდ, ეს საჭირო არ გახდა, რადგან ისრაელში ახლა სიმშვიდეა და ფეხბურთის თამაშიც შეიძლება. სხვათა შორის, ჩემპიონატის გამართვას სხვა მხრივაც ემუქრებოდა ჩაშლა, ევროპის მუსლიმანურმა კავშირებმა პეტიციაც კი შეაგროვეს **მიშელ პლატინის** სახელზე, არ გაემართათ ჩემპიონატი ისრაელში. დიდი ყურადღება მიიქცია „სევილიას" ყოფილი ფეხბურთელის **ფრედერიკ კანუტეს** მიმართვამაც, რომელსაც ცნობილი ფეხბურთელები აწერდნენ ხელს. ჩამოვთვლით რამდენიმეს: **დემბა ბა, იასინ ბრაიმი, პასკალ შიმბონდა, პაპის სისე, აბუ დიაბი, ალუ დიარა, პაპე დიოპი, ედენ აზარი, სილვან მარვო, მბაიე ნიანგი, მომო სისოკო, მუსა სოუ** და სხვები. მაგრამ ერთ ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი, **დიდიე დროგბამ** (რომელიც პეტიციის სიაში ეწერა) განაცხადა, რომ მას ხელი არ მოუწერია ამ დოკუმენტისთვის.



ბოლო ფინალის საუკეთესო მოთამაშე ტიაგო ალკანტარა ამ ჩემპიონატზეც ითამაშებს




ფრედერიკ კანუტეს პროტესტმა არ გაჭრა: ჩემპიონატი მაინც ისრაელში გაიმართება

**თორნიკე თარხნიშვილმა** გაიტანა.

2011 წლის 1 სექტემბერს ამას მოჰყვა ცივი ქუთაისური შხაპი - ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა 7:2 გაგვანადგურა. **ლუის მილიას** გუნდიდან თავი გამოიჩინეს დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებულმა ვარსკვლავებმა - „ბენფიკას" **როდრიგომ** ჰეთთრიკი შეასრულა, ორი გოლი **ისკოს** ანგარიშზეა, რომელიც მაშინ „ვალენსიიდან" „მალაგაში" გადავიდა, ხოლო მალე შეიძლება „რეალის" ვარსკვლავი გახდეს. თითო გოლი „ბარსას" **მარკ ბარტრამ** და **სერხიო კანალესმა** გაიტანეს. აქვე ვიტყვით, რომ **დავიდ დე ხეას** კარში ერთი გოლი **ინიგო მარტინესმა** ჩაჭრა, ერ-

ევროპის ჩემპიონატი 4 სტადიონზე გაიმართება: „ბლუმფილდზე" (თელ ავივი), „ტედიზე" (იერუსალიმი), „ჰამოშავაზე" (ფეთაჰ თიკვა) და ქალაქ ნეთანიას მუნიციპალურ სტადიონზე. „ტედის" გარდა სტადიონები 15 ათას მაყურებელსაც არ იტევენ, თუმცა ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის საკმარისია.

### ისტორიული ექსკურსი

მოკლედ ვიტყვით, რომ წინა, 2011 წლის ჩემპიონატზე, რომელიც დანიაში გაიმართა, ესპანეთმა ფინალში 2:0 დაამარცხა შვეიცარიის ნაკრები. ამ შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი ბარსელონელი **ტიაგო ალკანტარა** გახდა, რომელსაც კვლავ უწევს ასაკით თამაში. მთლიანად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ორი წლის წინ ხუან მატა დაასახელეს, ბომბარდირი კი **ადრიან ლოპესი** გახდა. მოკლედ, ჩემპიონატმა „როხიტას" სრული ტრიუმფით ჩაიარა.

პირველი ახალგაზრდული ჩემპიონატი - 23-წლამდელთა „ჩელენჯ კაპი" 1967 წელს გაიმართა და ბულგარეთმა მოიგო. უეფას ეგიდით 21-წლამდელთა ჩემპიონატი კი 1978 წლიდან იმართება. მას მერე ყველაზე მეტჯერ ჩემპიონი იტალიის ახალგაზრდული ნაკრები გახდა - 5-ჯერ. შემდეგ მოდის ესპანეთი - 3. 2-2-ჯერ იზეიმეს ინგლისმა, საბჭოთა კავშირმა და ჰოლანდიამ. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს (ისევე როგორც ჩვენს დიდ გუნდს) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არასოდეს უასპარეზია.

### ტურნირი

8 გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი: A ჯგუფში ისრაელი, ნორვეგია, ინგლისი და იტალია ითამაშებენ, ხოლო B ჯგუფში: ესპანეთი, ჰოლანდია, რუსეთი და გერმანია. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი უფრო ძლიერ ჯგუფად მოჩანს. 15 ივნისს ნახევარფინალები გაიმართება, ხოლო 18 ივნისს იერუსალიმში ჩემპიონის ვინაობას გავიგებთ.

### გუნდები

თითქმის ყველა გუნდს ჰყავს უკვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ვარსკვლავი და არა ერთი, თუმცა მაინც გამორჩეულია ესპანელთა შემადგენლობა - **ხულიენ ლოპეტეგის** იმდენად ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავს, რომ „როხიტა" უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. აქვე გაგაცნობთ ყველა მონაწილის განაცხადს.

#### ინგლისი

**მწვრთნელი:** სტიუარტ პირსი
**მეკარეები:** ჯეკ ბატლენდი, ჯეისონ სტილი, დეკლან რადი.
**მცველები:** ნათანიელ კლაინი, ადამ სმიტი, სტივენ კოულკერი, ანდრე უისდომი, კრეიგ დოუსონი, ტომ ლისი, ჯეკ რობინსონი, ჯეისონ ლოუ, ნათანიელ ჩალობა.
**ნახევარმცველები:** ჯორდან ჰენდერსონი, დენი როუზი, ჯოშ მაკიჩრენი, უილფრიდ ზაჰა, თომას ინსი, ჰენრი ლენსბერი, ჯონჯო შელვი, ნათან რედმონდი.
**თავდამსხმელები:** ნათან დელფუნესო, მარვინ სორდელი, კონორ უიკჰემი.

#### გერმანია

**მწვრთნელი:** რაინერ ადრიონი
**მეკარეები:** ბერნდ ლენო, ოლივერ ბაუმანი, ტიმო ჰორნი.
**მცველები:** ტონი იანტშკე, შტეფან ტესკერი, ლასე სობიეხი, შკოდრან მუსტაფი, მატიას გინტერი, სეად კოლაშინაკი, ოლივერ სონგი, ანტონიო რუდიგერი
**ნახევარმცველები:** სებასტიან რუდი, პატრიკ ფუნკი, სებასტიან როდე, ლუის ჰოლტბი, კრისტიან კლემენსი, კრისტოფ მორიტცი, ემრე ჩანი.
**თავდამსხმელები:** კევინ ვოლანდი, პენიელ მლაპა, სებასტიან პოლტერი, პატრიკ ჰერმანი, პიერ-მიშელ ლასოგა.

#### ისრაელი

**მწვრთნელი:** გაი ლუზონი
**მეკარეები:** ბორის კლეიმანი, ბარაკ ლევი, არი იანკო.
**მცველები:** ელიაზერ დასა, ოფირ დავიდადზა, იდო ლევი, ბენ ვაჰაბა, ედი გოტლიბი, ტალებ ტვატა, ოფერ ვერტა, ომრი ბენ ჰარუში.
**ნახევარმცველები:** მარვან კაბჰა, ისრაელ ცაგური, ნირ ბიტონი, ეიალ გოლასა, სინტაიეჰუ სალალიჩი, აჰად აზამი, ომრი ალტმანი, ოფირ კრიფი.
**თავდამსხმელები:** მოჰამად კალიბატი, მუნას დებური, ორ ბარუჩი, ალონ ტურგემენი.

#### იტალია

**მწვრთნელი:** დევის მანგია
**მეკარეები:** ფრანჩესკო ბარდი, სიმეონე კოლომბი, ნიკოლა ლეალი.
**მცველები:** ჯულიო დონატი, კრისტიანო ბირაგი, მარკო კაპუანო, ლუკა კალდილორა, მატეო ბიანკეტი, ვასკო რეგინი.
**ნახევარმცველები:** მარკო ვერატი, ალესანდრო ფლორენცი, ლუკა მარონე, ანდრეა ბერტოლაჩი, ფაუსტო როსი, მარკო კრიმი.
**თავდამსხმელები:** ჩირო იმობილე, ლორენცო ინსინიე, მანოლო გაბიადინი, მატია დესტრო, ნიკოლა სანსონე, ალბერტო პალოსკი, რიკარდო საპონარა, ფაბიო ბორინი.

#### ჰოლანდია

**მწვრთნელი:** კორ პოტი
**მეკარეები:** იეროენ ზოეტი, მარკო ბიზოტი, ნიკ მარსმანი.
**მცველები:** რიკარდო ვან რეინი, სტეფან დე ვრეი, ბრუნო მარტინს ინდი, დელეი ბლინდი, მაიკ ვან დერ ჰოორნი, ბრამ ნიუიტინკი, პატრიკ ვან აანჰოლტი.
**ნახევარმცველები:** ხორდი კლასი, კევინ სტროოტმანი, ადამ მეჰერი, კელვინ ლეერდამი, ლეროი ფერი, მარკო ვან ხინკელი, ტონი ტრინიდად დე ვიენა.
**თავდამსხმელები:** ფლორიან ჯოზეფზოონი, ლუკ დე იონგი, ოლა ჯონი, ჯორჯინიო ვინალდუმი, დანიელ ჰოესენი, მემფის დეპაი.

#### ნორვეგია

**მწვრთნელი:** ტორ ოლე სკულერუდი
**მეკარეები:** არილდ იოსტბიო, ორიან ჰასკიოლდი, გუდმუნდ კონგსჰავნი.
**მცველები:** მარტინ ლინესი, ტომას როგნე, სტეფან სტანდბერგი, ვეგარ ჰადენსტადი.
**ნახევარმცველები:** ჰარმეეტ სინგჰი, ვალონ ბარიშა, მარკუს ჰენრიკსენი, ჰავარდ ნორდტვეიტი, იანიკ-ერიკ დე ლანლაი, ანდერს კონრადსენი, მაგნუს ეიკრემი, სტეფან იოჰანსენი, აბდისალამ იბრაჰიმი.
**თავდამსხმელები:** ომარ ელაბდელაუი, იო ინგე ბერგეტი, მარკუს პედერსენი, ჰავარდ ნილსენი, ფრედერიკ ბერგი, ფლამურ კასტრატი, ჯოშუა კინგი.

#### რუსეთი

**მწვრთნელი:** ნიკოლაი პისარევი
**მეკარეები:** ნიკოლაი ზაბოლოტნი, სტანისლავ კრიცუკი, ალექსანდრ ფიტცოვი.
**მცველები:** გეოგრი შენნიკოვი, ნიკიტა ჩიჩერინი, ტარას ბურლაკი, სერგეი ბრიზგალოვი, მაქსიმ ბელიაევი, ივან კნიაზევი.
**ნახევარმცველები:** იბრაგიმ ცალაგოვი, იური კირილოვი, სერგეი პეტროვი, ოლეგ შატოვი, რომან ემელიანოვი, მაქსიმ გრიგორიევი, შოთა ბიბილოვი, ალექსანდრ ზოტოვი, ალან ძაგოევი.
**თავდამსხმელები:** ალექსანდრ კოკორინი, ფიოდორ სმოლოვი, მაქსიმ კანუნიკოვი, პაველ იაკოვლევი, დენის ჩერიშევი.

#### ესპანეთი

**მწვრთნელი:** ხულიენ ლოპეტეგი
**მეკარეები:** დავიდ დე ხეა, დიეგო მარინო, ხოელი.
**მცველები:** მარტინ მონტოია, ნაჩო, მარკ ბარტრა, მარკ მუნიესა, ალვარო, ალბერტო მორენო, დანიელ კარვახალი.
**ნახევარმცველები:** ასიერ ილიარამენდი, ინიგო მარტინესი, სერხიო კანალესი, კოკე, ტიაგო ალკანტარა, ნაჩო კამაჩო, პაბლო სარაბია, ისკო.
**თავდამსხმელები:** როდრიგო, კრისტიან ტელიო, ალვარო მორატა, იკერ მუნიაინი, ალვარო ვასკესი.

ტრანსფერები

# მონაკოს ფალკაო 45 მილიონი უჯდება

**კოლუმბიელი** ფორვარდი **რადამელ ფალკაო** მონტე-კარლოში იმყოფება, სადაც მისი კონტრაქტის ბოლო საკითხები გვარდება. ერთი რამ ცხადია - ახალი სეზონიდან „ელ ტიგრე" „მონაკოსთვის" გაიტანს. 28 მაისს 27 წლის ფორვარდმა „მონაკოში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და შეხვდა ახალ მეპატრონე **დმიტრი რიბოლოვლევს**.

ფრანგული პრესის ცნობით, ფალკაო „მონაკოს" 45 მილიონი ევრო დაუჯდა, ის წელიწადში 14 მილიონ ევროს აილებს ხელფასის სახით და 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ფალკაომ „ატლეტიკოს" შემადგენლობაში ჩემპიონატში 28 გოლი გაიტანა (ერთი ტური კიდევ დარჩა).

„მონაკოს" 45 მილიონი ევრო „პორტუს" ახალგაზრდა კოლუმბიელი ნახევარმცველი **ჯეიმს (ხამეს) როდრიგესი** დაუჯდა, ხოლო **ჟოაო მოუტინიოში** გუნდმა 25 მილიონი ევრო გადაიხადა. შეგახსენებთ, რომ **კლაუდიო რანიერის** „მონაკო" ლიგა 1-ს ამ სეზონში უბრუნდება. ფალკაოს ტრანსფერზე „მონაკოს" ოფიციალური საიტი ჯერჯერობით დუმს.

### რიკარდო კარვალიო: მონაკოში გადასვლით ბედნიერი ვარ

რადამელ ფალკაოს „მონაკოში" გადასვლა ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა განსხვავებით „რეალის" მცველის **რიკარდო კარვალიოს** ტრანსფერისგან. 35 წლის პორტუგალიელი უკვე მონაკოელია. ის თავისუფალი აგენტის სტატუსით დაშორდა „რეალს" და ფრანგული ლიგა 1-ის კლუბთან 1-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

პორტუგალიელმა ამ სეზონში მხოლოდ 8 მატჩში მოირგო „სამეფო კლუბის" ფორმა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „მონაკოში" ვითამაშებ. ეს ტრანსფერი ჩემთვის ახალი გამოწვევაა", - განაცხადა მან.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



რიკარდო კარვალიო წარდგენისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. ჩემპიონატის შეჯამება. ნაწილი III




ედინსონ კავანი

# სეზონის ტოპ 5 ფეხბურთელი

**სერია A-ს 2012/2013 წლების სეზონის 5 იმედგაცრუებაზე უკვე გვქონდა საუბარი, დღეს კი გმირებზე გავამახვილებთ ყურადღებას. მაშ ასე, თქვენს წინაშეა სეზონის ხუთი საუკეთესო ფეხბურთელი...**

**5. ფრანჩესკო ტოტი (რომა)**

როდესაც „რომას“ **ზდენეკ ზემანი** ჩაუდგა სათავეში, ბევრმა იფიქრა, რომ **ფრანჩესკო ტოტი** ჩრდილში მოექცეოდა, რადგან ჩეხი სპეციალისტი სწრაფ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას... ლოგიკა გასაგებია, ვეტერანს მაღალი ტემპისთვის ფეხი ვერ უნდა აეწყო, მაგრამ აუწყო და ვინძლო თვითონ ტოტი უკეთესი იყო, ვიდრე მთლიანად „რომა“. უკვე გასრულებულ სეზონში, ფრანჩესკომ 12 საგოლე პასი მიითვალა აქტივში და ამ მაჩვენებლით გუნდში საუკეთესოა, გოლების რაოდენობით (12) კი მხოლოდ **პაბლო ოსვალდოს** და **ერიკ ლამელას** ჩამორჩა.

თუმცა ფრანჩესკო ტოტის სულ სხვა მიღწევაა აღსანიშნავი - „იმპერატორმა“ სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირთა დავაში **ჟოზე ალტაფინი, ჯუზეპე მეაცა** და **გუნარ ნორდალი** ჩამოიტოვა, რის შემდეგაც მეორე ადგილზე მოკალათდა. ტოტის წინ მხოლოდ **სილვიო პიოლაა.** რომელსაც 47 გოლით მეტი აქვს გატანილი. მიზანი თითქმის მიუღწეველია, მაგრამ ტოტისგან არაფერია გამორიცხული...

**4. ანტონიო დი ნატალე (უდინეზე)**

ევროპის ტოპ 5 ჩემპიონატის ბოლო 4 წლის სტატიატიკას რომ გადავხედოთ, გოლების რაოდენობით **ანტონიო დი ნატალე** მესამე ადგილზეა. ტოტოს წინ მხოლოდ **ლიონელ მესი** და **კრიშტიანო რონალდო** არიან, რაც ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. ბოლო 4 სეზონია დი ნატალეს 20-ზე მეტი გოლი გააქვს და ბოლო 4 სეზონია „უდინეზე“ ევროტურნირის საგზურს ეუფლება. და ეს მაშინ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზს მილმა რჩებიან გაცილებით ამბიციური გუნდები - თუნდაც ამ სეზონში, „რომა“ და „ინტერი“.

ერთი ხანობა, ტოტო დი ნატალე კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა, მაგრამ ეს აზრი მალევე ამოიგდო თავიდან. ამ მომენტისთვის, 35 წლის ფორვარდის ანგარიშზე 176 გოლია სერია A-ში და მისი მიზანი 200-მდე ასვლაა. ტოტოს ოცნებაა, რომ მომდევნო სეზონში სწორედ აღნიშნულ რიცხვს უწიოს, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავროს და იქიდანაც ტრიუმფით დაბრუნდეს - აი, შემდეგ კი ალბათ კარიერასაც დაასრულებს.

ასეთი გეგმები აქვს დი ნატალეს, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის თუ არა, კალჩოს ლეგენდად ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ.

**3. მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი)**

ახლახან დასრულებულ სეზონში **მარეკ ჰამშიკი** იმდენად მნიშვნელოვანი გახლდათ „ნაპოლისთვის“, როგორც არასდროს. ნეაპოლური კლუბის მესვეურებმა პსჟ-ში გადაბარგებულ **ესეკილ ლავეცის** ღირსეული შემცვლელი ვერ მოუძებნეს და მთელი ტვირთი სლოვაკს დააწვა მხრებზე. ჰამშიკი იყო მოედნის ცენტრში და სიღრმიდან იწყებდა იერიშებს; იყო გამთამაშებლის პოზიციაზე და არიგებდა საგოლე პასებს და იყო წინა ხაზზე, სადაც აგვირგვინებდა იერიშებს. შედეგად, 14 ასისტი მიითვალა აქტივში, ამ მაჩვენებლით საუკეთესო გახლდათ მთელ ჩემპიონატში და ისეთი ვარსკვლავები მოიტოვა უკან, როგორებიც ფრანჩესკო ტოტი და **ანდრეა პირლო** არიან. ამასთან, 12 გოლი შეაგდო, რაც ასევე შესანიშნავი მაჩვენებელია.

„ნაპოლის“ წარმატებაში ჰამშიკის როლი განუზომლად დიდია და მეტად გასაკვირია, რომ მისი მიმართულებით ევროპული ფეხბურთის გრანდები არ აქტიურობენ. მაშინ, როდესაც **ედინსონ კავანიზე** ბრძოლვნაა და მასში კოლოსალურ თანხებს იძლევიან, ჰამშიკი ჩრდილშია მოქცეული. მით უკეთესი „ნაპოლის“ გულშემატკივრებისთვის - სლოვაკი გუნდს კიდევ დასჭირდება და შესაძლოა არანაკლებ, ვიდრე კავანი.

**2. არტურო ვიდალი (იუვენტუსი)**

თუ 2011/2012 წლების სეზონში „იუვენტუსის“ სული და გული **ანდრეა პირლო** გახლდათ, ამ სეზონში არანაკლები როლი **არტურო ვიდალმა** ითავა. სამხრეთამერიკელი ნაყოფიერი იყო როგორც დაცვით, ისე შეტევით ფაზაში და გუნდის ნამდვილი ძრავი, ლიდერი გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიდალი „იუვეს“ ბომბარდირი გახდა და მართალია, ეს უფრო ტურინულ გრანდში ტოპ ფორვარდის არარსებობით იყო განპირობებული, მაგრამ არტუროს მიღწევას ეს არ აკნინებს.

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა არტურო ვიდალის „იუვენტუსიდან“ შესაძლო აბარგებაა. ერთი ხანობა, ამის ალბათობა ძვირად ფასობდა, მაგრამ დღეს, სხვა ვითარებაა. კულუარული ინფორმაციით, კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივებისას **ანტონიო კონტემ** პირველ პირობად ვიდალის შენარჩუნება დააყენა. მოკლედ, ვიდალი „ვეკია სენიორასთვის“ შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა და დიდი ალბათობით, მომდევნო სეზონშიც ასე იქნება.

**1. ედინსონ კავანი (ნაპოლი)**

**დიეგო მარადონას** შემდეგ ედინსონ კავანი გახდა „ნაპოლის“ პირველი ფეხბურთელი, რომელიც სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 26 წლის ურუგვაელმა ნეაპოლური გუნდის ისტორია გადაწერა და თუ კიდევ ერთი სეზონით მაინც დარჩა იტალიის სამხრეთში, ახალ სიმაღლეებსაც დაიპყრობს. ედინსონს 11 გოლი აშორებს იმავე მარადონას რეკორდამდე და ამ მიზნის მიღწევა რომ არ გაუჭირდება, იოლი მისახვედრია. თუმცა, დარჩება კი კავანი „ნაპოლიში“? - აი, ეს არის საკითხავი...

63 მილიონი ევრო დიდძალი თანხაა და თუ რომელიმე კლუბი ამ თანხას გადაიხდის, ნეაპოლელები კავანის ვერ დააკავებენ. ალბათ, არც დააკავებენ, რადგან ამ ფულით ნახევარი გუნდის ყიდვა შეიძლება. მიმდინარე სეზონი ურუგვაელისთვის მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა - წლებთან ერთად, თითქოს ახალ უნარებს იძენს და კიდევ უფრო ვითარდება. მაგალითად, „პალერმოში“ ის საჯარიმოს ფორვარდი გახლდათ და **პიპო ინძაგის** სტილში ირჯებოდა, დღეს კი მრავალმხრივი შემტევია - შეუძლია სიღრმიდან ნაილოს ბურთი, შორიდან დაარტყას და სტანდარტული გამოიყენოს. მოკლედ, კავანი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელია და დავიტოვოთ იმედი, რომ ის მაინც დარჩება იტალიაში.



„იუვენტუსის“ წარმატებაში არტურო ვიდალმა ლომის წილი დადო

მილანი




ვინ იქნება მომდევნო სეზონში „მილანის“ მთავარი მწვრთნელი?

# კულმინაცია: ალეგრი თუ ზეედორფი?

## თუ კიდევ ვინმე სხვა?

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** დაადასტურა, რომ **მასიმილიანო ალეგრის** ბედი და შესაბამისად, გუნდის მთავარი მწვრთნელის საკითხი, ხუთშაბათს, ანუ დღეს გადაწყდება. ცნობილია, რომ თვითონ გალიანი ალეგრის დატოვების მომხრეა, მაგრამ აი **სილვიო ბერლუსკონი** ცვლილებებისკენ იხრება. ამბობენ იმასაც, რომ პრეზიდენტის ფავორიტი **კლარენს ზეედორფია** და თუ ალეგრი მაინც გაუშვეს გუნდიდან, პოსტს სწორედ 36 წლის ჰოლანდიელი დაიკავებს. თუმცა, თავად ზეედორფმა „როსონერისთან“ ყველანაირი მოლაპარაკება უარყო და შემდეგი განაცხადა:

*„მილანიდან არავინ დამკავშირებია და შესაბამისად, ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ. სილვიო ბერლუსკონისთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და თუ საჭიროდ ჩათვლის, აუცილებლად დამირეკავს. ამ ეტაპზე, მეტს ვერაფერს გეტყვით“.*

მოკლედ, ზეედორფმა თავი შორს დაიჭირა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. შეიძლება ყველაფერი ერთ წუთში შეიცვალოს, რაც თანამედროვე ფეხბურთში ბევრჯერ მომხდარა. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, მას ბერლუსკონი, გალიანი, **არიედო ბრაიდა** და დირექტორთა საბჭოს სხვა წევრები დაესწრებიან. „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, აღნიშნული შეხვედრა თვითონ ალეგრიმ დააჩქარა, რადგან „რომას“ მესვეურები ეპატიჟებიან. ამბობენ, რომ დედაქალაქში მასიმილიანოსთვის ხელშეკრულებაა გამზადებული და თუ ის „მილანიდან“ დაიფრინეს, მყისვე გაემგზავრება მარადიულ ქალაქში. ერთი სიტყვით, უკვე ხვალინდელ ნომერში შესაძლოა არა მხოლოდ ალეგრის „მილანიდან“ გათავისუფლება, მისი „რომაში“ დანიშვნაც გამცნოთ.

### ბოიანი ბარსაში ბრუნდება?

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ბოიან კრკიჩის** „მილანური“ კარიერა დასრულდა და ესპანელს „ბარსელონაში“ მოუწევს დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ 23 წლის ბოიანი ლომბარდიულ გრანდში იჯარის წესით ასპარეზობდა, მისი გამოსასყიდი თანხა კი 15 მილიონ ევროს შეადგენს. თვითონ ფეხბურთელს მილანში სურდა დარჩენა, მაგრამ „როსონერის“ მესვეურებმა თანხის გადახდაზე უარი თქვეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან კრკიჩმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში - მხოლოდ 16 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 3 გოლი შეაგდო და ორი საგოლე პასი გააკეთა.

კომენტარი



ამ გოლისთვის სენად ლულიჩს ფეხზე აკოცეს

# სენად ლულიჩი ტიფოზებმა გააოცეს

## ფინალის გმირი ჯერ კიდევ ეიფორიაშია

იტალიის თასის ფინალური მატჩის შემდეგ, „ლაციოს“ გულშემატკივრებს **სენად ლულიჩი** სხვანაირად უყვართ. 27 წლის ნახევარმცველმა „რომას“ გადამწყვეტი გაუტანა და მატჩის ბედი „ბიანკოჩელესტეს“ სასარგებლოდ გადაწყვიტა. მას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ლულიჩი ჯერ კიდევ ემოციებშია და საინტერესო ამბავს გვიყვება:

*„თასის ფინალის შემდეგ სრულად შევიგრძენი, რას ნიშნავს რომაელებისთვის „დერბი დელა კაპიტალე“. სტადიონზე საოცარი ატმოსფერო იყო, რომლის მსგავსი არასდროს მინახავს. მაგრამ კიდევ უფრო გასაიცარი ამბები რომის ქუჩებში ყოველდღიურად ხდება და ამის გამო ემოციებიდან ვერაფრით გამოვდივარ. გავალ თუ არა გარეთ, „ლაციოს“ გულშემატკივრები მეხვევიან და სიყვარულს მიხსნიან. ერთ-ერთმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, როდესაც ხალხით სავსე ქუჩაში მუხლებზე დაეცა და იმ ფეხზე მაკოცა, რომლითაც გოლი გავიტანე. ასეთ რამეს ვერაფრით წარმოვიდგენდი“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. გარი ნევილი

# ეს იუნაიტედის ახალი ეპოქის დასაწყისია

## საინტერესო პრემიერლიგა გველის

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა კაპიტანმა გარი ნევილმა საკლუბო ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, სადაც იმ გრანდიოზულ ცვლილებებზე ილაპარაკა, რომელიც ბოლო პერიოდში ინგლისურ ფეხბურთში მოხდა. 38 წლის ვეტერანი მშობლიური კლუბის მომავალს იმედიანად უყურებს.



გარი ნევილი და სერ ალექსი

**- არ გეჩვენებათ, რომ სერ ალექს ფერგიუსონის წასვლა გუნდის მოსამზადებელ ეტაპს ბევრად უფრო საინტერესოს გახდის?**

- ვფიქრობ, რომ ეს განსაკუთრებული პერიოდი იქნება მთელი პრემიერლიგისთვის. ძლიერი სტარტისთვის რამდენიმე კლუბი უკვე ემზადება, თუნდაც „სიტი", „ჩელსი", „არსენალი", ასევე „ტოტენჰემიც". უკანასკნელი ბეილის შენარჩუნებასა და უკეთესი შედეგის ჩვენებას შეეცდება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან საინტერესო წინასასეზონო ეტაპი და ყველაზე დამაინტრიგებელი სტარტი გველოდება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონატის სამ უმთავრეს ფავორიტს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება.

**- „იუნაიტედის" მოთამაშეებს ახალი დამრიგებლის მოსვლა თუ მისცემს დამატებით მოტივაციას?**

- რა თქმა უნდა! ახალი მთავარი მწვრთნელი მათთვის განსხვავებული და ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა უნდა გახდეს. საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან კონტაქტის წყალობით დანამდვილებით ვიცი, რომ ფერგიუსონის მიერ წასვლაზე განცხადების გაკეთების შემდეგ რამდენიმე კლუბში შვებით ამოისუნთქეს. „იუნაიტედის" ფეხბურთელებმა ეს უნდა აღიქვან როგორც უპატივცემულობა მათ მიმართ და უნდა დაუმტკიცონ მეტოქეებს, რომ შეუძლიათ იმავე დონეზე თამაში ფერგის გარეშეც. ეს სერიოზული მოტივაციაა. მოიესმა და ბიჭებმა ამაზე ღირსეული პასუხი უნდა გასცენ. ეს გზა იოლი ნამდვილად არ იქნება. გუნდს წინ ელის წარმატებებიც და წაგებებიც, ზუსტად ისე, როგორც ეს უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ხდებოდა. კლუბი სერიოზული წნეხის ქვეშ მოექცევა, როცა ადამიანები დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ ეს ის „იუნაიტედი" აღარ არის და ასე შემდეგ, მაგრამ ამის თქმა ყოველთვის ყველაზე იოლია. ყველას ერთი სული აქვს საკუთარი თვალით იხილოს, როგორი იქნება ეპოქა სერ ალექსის გარეშე. „იუნაიტედმა" უკვე გადაიტანა მსგავსი ეტაპი მეტ ბასბის შემდეგ. ახლაც ყველაფერი ზუსტად ასე მოხდება.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ უკანასკნელი ტიტულის მომგები გუნდი ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესოა?**

- ეს იყო „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც ხელმძღვანელობდა მწვრთნელი, რომელმაც ოთხი დიდი გუნდი ჩამოაყალიბა - 1994, 1999, 2008 და 2013 წლების ფორმაციების. ადამიანები ყოველთვის გაიხედავენ უკან და სხვადასხვა ეპოქის გუნდებს ერთმანეთს შეადარებენ. დროდადრო მეც ასე ვიქცევი ხოლმე. ყველაზე მნიშვნელოვანი სულ სხვა რამ არის: გუნდი ვითარდება, მას ჰყავს ფეხბურთელები, რომელთაც ჯერ არ მიუღწევიათ ფორმის პიკისთვის, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. ვგულისხმობ დე ხეას, რაფაელს, ევანსს, სმოლინგს, ჯონსს, კლევერლის, უელბეკსა და ერნანდესს. „იუნაიტედში" არიან საშუალო ასაკისა და გამოცდილი ფეხბურთელებიც. ამ გუნდმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა საკუთარი პოტენციალის ჩვენება. მსგავს სიტუაციაში იმყოფება „ჩელსიც". მომდევნო სეზონში ისინი განსაკუთრებულად საშიშები იქნებიან. აი, „სიტის" კი გარდამავალი სიტუაცია აქვს. უძლიერესია თუ არა ამჟამინდელი „იუნაიტედი"? ამის დამტკიცება ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი ისევ განაგრძობს გამარჯვებებს. მთავარი ხომ ფეხბურთში ტიტულებია.

**- უკანასკნელ პრესკონფერენციაზე სერ ალექსმა თქვა, რომ ყოველთვის სურდა, ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ რაიან გიგზი, პოლ სქოულზი და ნიკი ბატი „იუნაიტედის" სამწვრთნელი შტაბში შესულიყვნენ. რამდენად მნიშვნელოვანია მათი გამოცდილება და ავტორიტეტი?**

- აუცილებლად მიაღწევ წარმატებას, თუკი გვერდით გყავს კომპეტენტური და რაც მთავარია, საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადამიანები. ეს სამეული კი სწორედ ასეთია. ბოლო წლებში ძალიან ბევრ თამაშს ვუყურე, ურთიერთობა მქონდა სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლებთან და ვიცი, რომ ისინი სწორედ ამ ტიპის ადამიანებს ეძებენ. ადამიანებს, რომელთაც შეგიძლია ენდო და რომელთაც უყვართ ფეხბურთი. ეს თვისებები კი რაიანში, პოლსა და ნიკიში უხვად არის. ამ სამეულმა „იუნაიტედში" დიდი დრო გაატარა.

**- ახალი სეზონის წინ ოდესმე გქონიათ მოუთმენლობის ასეთი განცდა?**

- არა. 2012/13 წლების სეზონს შოკის მომგვრელი ფინალი ჰქონდა, თუკი დიდი ასპარეზიდან წასული ფეხბურთელებისა და რაც მთავარია, ალექს ფერგიუსონის ამბავს გავითვალისწინებთ. მეორე მხრივ ეს არ იყო ყველაზე დამაინტრიგებელი წელიწადი პრემიერლიგაში, რადგან ჩემპიონის ვინაობა ოთხი ტურით ადრე გაირკვა. წინა ჩემპიონატს ბევრად უფრო გიჟური დასასრული ჰქონდა, რომელსაც ალბათ კიდევ დიდხანს ველარ ვიხილავთ. მეჩვენება, რომ ბუნდესლიგა ახლა უფრო ძლიერია, მაგრამ ჩვენ მას დავეწევით. წინ გველის, მოსამზადებელი ციკლი და საინტერესო ახალი სეზონი. გადახედეთ ლიდერების ამჟამინდელ შემადგენლობებს, ამას დაუმატეთ 2-3 მაღალი კლასის ახალწვეული და მიიღებთ ევროპის მასშტაბით უძლიერეს გუნდებს. მოუთმენლად ველი მომდევნო ჩემპიონატს, რადგან ინგლისურ ფეხბურთში როგორც არასდროს იმდენი გაურკვევლობაა.




საფეხბურთო ანალიტიკოსი გარი ნევილი მომდევნო სეზონის დაწყებას უკვე მოუთმენლად ელის

ფეხბურთი და ფინანსები




ული ჰიონესს „ბაიერნი" სწორი გზით მიჰყავს

# ბაიერნი: კომერციული გენერატორი

## რეკორდმაისტერის ბრენდი უკვე იუნაიტედისაზე მეტად ფასობს

2012/13 წლების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მიუნხენის „ბაიერნი" ბრენდის ღირებულებით (860 მილიონი დოლარი) საფეხბურთო კლუბებს შორის პირველ ადგილზე გადავიდა. გერმანულმა სუპერკლუბმა ლიდერის პოზიციაზე „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩაანაცვლა (837 მილიონი). რეიტინგი ბრიტანულმა საკონსალტინგო კომპანია Brand Finance-მა შეადგინა.

გერმანიისა და ინგლისის მოქმედ ჩემპიონებს კვალში უდგანან „რეალი" (621 მილიონი) და „ბარსელონა" (572). რეკორდმაისტერის ღირებულებამ შარშანდელთან შედარებით 51 მილიონით მოიმატა (9%-იანი მატება), „იუნაიტედის" ფასმა კი 20 მილიონით დაიკლო (2%-იანი კლება). ეს მაშინ, როცა „წითელი ეშმაკების" საბაზრო ღირებულება 2,9 მილიარდ დოლარს აღწევს. მიუხედავად „იუნაიტედის" მცირე უკან დახევისა, ინგლისური პრემიერლიგის წარმომადგენელთა დომინირება რეიტინგის სათავეში ისევ გრძელდება.

სწორედ მათ უკავიათ პირველი 8-დან 5 ადგილი. მეოთხეადგილოსან „ბარსელონას" მიჰყვებიან: „ჩელსი", „არსენალი", „ლივერპული" და „მანჩესტერ სიტი". სულ კი 50 ყველაზე წარმატებულ ორგანიზაციას შორის 14 ბრიტანული საფეხბურთო კლუბია: „ტოტენჰემი" (12), „ვესტ ჰემი" (29), „ნიუკასლი" (30), „ასტონ ვილა" (31), „ევერტონი" (33), „ფულჰემი" (34), „სანდერლენდი" (35), „სტოკ სიტი" (41), „სელტიკი" (44), „ვესტ ბრომვიჩი" (47). 50-ეულშია გერმანიის 8 წარმომადგენელიც: „დორტმუნდი" (10), „შალკე" (11), „ჰამბურგი" (16), „ლევერკუზენი" (23), „ვოლფსბურგი" (27), „ვერდერი" (32). აღნიშნულ სიაში ბრიტანელთა ბრენდების საერთო ღირებულება 3,1 მილიარდ დოლარს შეადგენს, გერმანელებისა - 1,9-ს. სერიოზულად დაიხიეს უკან იტალიურმა გრანდებმა „მილანმა" (10%) და „ინტერმა" (30%). როგორც მოსალოდნელი იყო, სარეკორდოდ გაიზარდა „პარი სენ-ჟერმენის" ბრენდის ღირებულება (34%). პარიზელები რეიტინგში ერთბაშად 12 ადგილით დაწინაურდნენ.

*„ამ ეტაპზე გერმანული კლუბებისა და ზოგადად ლიგის უმთავრესი მიზანია, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ეკონომიკური პოტენციალი არა მხოლოდ შიდა ასპარეზზე, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით,"* - განაცხადა Brand Finance-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **დევიდ ჰეიმ**. აღნიშნული კვლევის ავტორებმა „ბაიერნს" „კომერციული გენერატორი" უწოდეს.

### კიდევ ერთხელ ბაიერნზე

მსოფლიოში „ბაიერნის" მიმართ ინტერესის ზრდას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, რაც თავის მხრივ საკლუბო სიმბოლიკიანი პროდუქციის გაყიდვაზეც აისახა. „რეკორდმაისტერის" დირექტორმა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე **ანდრეას იუნგის** განცხადებით, კლუბმა 2012 წელს 600 ათასი მაისურა გაყიდა, 2013-ის ბოლოს კი 1 მილიონზე ასვლა იგეგმება. შედარებისთვის გეტყვით, რომ შარშან „დორტმუნდის" 350 ათასი მაისურა გაიყიდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

PREMIUM AUTOPARTS

პრემიუმ ავტონაწილები




ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

მის:. ხომარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა

# გერმანიის მეშვიდე ტიტული

**„ჩელსის" ისტორიული ჩავარდნა, ჟოზე მოურინიოს, ზლატან იბრაჰიმოვიჩის და კრიშტიანო რონალდოს მიღწევები, „ბაიერნის" საოცარი სეზონი - ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ, ჩემპიონთა ლიგის სტატისტიკურ მიმოხილვაში...**

1 - ლონდონის „ჩელსი" გახდა პირველი კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო და მომდევნო სეზონში ჯგუფში ჩარჩა. გარდა იმისა, რომ ამ სეზონამდე „ჩელსის" ჯგუფური ეტაპი ათივე შემთხვევაში გადალახული ჰქონდა, 16 გოლით „არისტოკრატებს" 6 მატჩის შემდეგ ტურნირის საუკეთესო შეტევა ჰქონდათ.

4 - **კარლო ანჩელოტი** გახდა მეორე



„ბაიერნის" ფეხბურთელები 1/2- ფინალის შემდეგ

მწვთნელი, **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ, ვინც ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალში მეოთხე კლუბი გაიყვანა. იტალიელმა სპეციალისტმა წელს ამ ეტაპამდე ფრანგული პსჟ მიიყვანა.

4 - „ბაიერნის" მიერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოპოვებულმა გამარჯვებამ, გერმანიას მეშვიდე ტიტული მოუტანა და ამ მაჩვენებლით მეოთხე ადგილზე გადაიყვანა.

5 - ამ შვიდი ტიტულიდან ხუთი „ბაიერნს" ეკუთვნის. ახლა, მიუნხენელები მხოლოდ „რეალს" (9) და „მილანს" ჩამორჩებიან (7). ასევე 5 ტიტული აქვს „ლივერპულს".

6 - **ბურაქ ილმაზმა** ჯგუფურ ეტაპზე 6 გოლი გაიტანა, რაც თურქ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო შედეგია. საბოლოოდ, „გალათასარაის" ფორვარდმა ტურნირი 8 გოლით დაასრულა. ილმაზმა ლიგაში „გალას" პირველი 6 ბურთი გაიტანა და ალსანიშნავია, რომ ამ სერიის დაწყებამდე, ჩემპიონთა ლიგაში მანამდე ჩატარებულ 16 შეხვდრაში (საკვალიფიკაციო ეტაპის ჩათვლით), ფორვარდს ბურთი არ ჰქონდა გატანილი.

6 - **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** პირველ ტურში კიევის „დინამოსთან" თავი გამოიჩინა და გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ჩემპიონთა ლიგაში ბურთი 6 სხვადასხვა კლუბში გაიტანა. შვედმა ამის გაკეთება „აიაქსის", „იუვენტუსის", „ინტერის", „ბარსელონას", „მილანის", და პსჟ-ს მაისურებით შეძლო.

7 - „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონას" ჯამში 7:0 მოუგო და რეკორდი დაამყარა - აქამდე, ასეთი ანგარიში 1/2-ფინალებში არასდროს დაფიქსირებულა.

10 - „ჩელსიმ" და „კლუჟმა" ჯგუფური ეტაპი 10-10 ქულით დაასრულეს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც ვერ გავიდნენ. ლონდონური და რუმინული კლუბი შეუერთდნენ იმ გუნდებს, ვინც ასევე 10 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ჯგუფში ჩარჩნენ. ეს გუნდები არიან: კიევის „დინამო" (1999/00 წლების მეორე ჯგუფური ეტაპი და 2004/05), დორტმუნდის „ბორუსია" (2002/03-ის მეორე ჯგუფური ეტაპი), „პსვ ეინდჰოვენი" (2003/04), „ოლიმპიაკოსი" (2004/05), ბრემენის „ვერდერი" (2006/07) და „მანჩესტერ სიტი" (2011/12).

15 - **იუპ ჰაინკესმა** ჩემპიონთა ლიგა 15-წლიანი პაუზის შემდეგ მოიგო (1998 წელს „რეალს" გაამარჯვებინა) და მორიგი რეკორდი დაამყარა - ორ გამარჯვებას შორის ამხელა პაუზა აქამდე არავის ჰქონია. გარდა ამისა, ჰაინკესი გახდა მეხუთე მწვრთნელი ისტორიაში, ვინც ჩემპიონთა ლიგა ორ სხვადასხვა გუნდს მოაგებინა.

16 - **კლაუდიო პისარომ** „ლილთან" შეხვედრაში ჰეთთრიქი 16 წუთში შეასრულა, რაც ისტორიაში მესამე ყველაზე სწრაფი ჰეთთრიქია. პირველ ადგილზე რჩება **ბაფეტიმბი გომისი**, ვინც ზაგრების „დინამოს" სამი ბურთი 8 წუთში გაუტანა.

17 - მადრიდის „რეალმა" ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პლეი ოფში ზედიზედ მეთექვსმეტედ, სულ კი მეჩვიდმეტედ გავიდა. უკანასკნელად, „სამეფო კლუბი" მეორე ეტაპზე 1996/97 წლების სეზონში ვერ მოხვდა, რადგან მაშინ „რეალი" ჩემპიონთა ლიგაში საერთოდ არ მონაწილეობდა

21 - მეორე ტურში „სელტიკმა" მოსკოვის „სპარტაკს" 3:2 მოუგო და ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ჩატარებულ 21 შეხვედრაში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

50 - 1/2-ფინალში „ბორუსიასთან" გოლის შემდეგ, **კრიშტიანო რონალდო** გახდა მეხუთე ფეხბურთელი, ვინც ჩემპიონთა ლიგაში 50 ბურთის გატანა შეძლო. სხვები არიან: **რაული, ლიონელ მესი, რუუდ ვან ნისტელროი და ტიერი ანრი.**

59 - ლიონელ მესიმ ამ სეზონში 8 ბურთი გაიტანა. სულ არგენტინელის ანგარიშზე 59 ბურთია და ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზეა, ჩამორჩება რა მხოლოდ რაულს, რომელსაც 12 გოლით მეტი აქვს.

100 - ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში, **ჟოზე მოურინიო** გახდა მეოთხე მწვრთნელი, რომელიც საკუთარ გუნდებს ჩემპიონთა ლიგის 100 შეხვედრაში გაუძღვა. აქამდე ასეთი რამ მხოლოდ **არსენ ვენგერს, სერ ალექს ფერგიუსონს და კარლო ანჩელოტის** ჰქონდათ გაკეთებული.

114 - სერ ალექს ფერგიუსონმა მაისში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. შოტლანდიელმა, „მანჩესტერ იუნაიტედს" ზუსტად 1500 შეხვედრაში უხელმძღვანელა, აქედან 202 თამაში ჩემპიონთა ლიგაზე მოდის (საკვალიფიკაციოს ჩათვლით). ფერგი არის ერთადერთი მწვრთნელი, ვინც ჩემპიონთა თასზე 100-ზე მეტი გამარჯვება მოიპოვა. სერ ალექსის ანგარიშზე 114 გამარჯვებაა (4 - აბერდინი, 110 - მანჩესტერ იუნაიტედი). ამ მხრივ, მეორე ადგილზე არსენ ვენგერია - 79 გამარჯვება.

567 - ზაგრების „დინამომ", 2011/12 წლების სეზონში ჯგუფური ეტაპის 6-ვე მატჩი წააგო. წელს, ხორვატებმა პირველ ხუთ ტურში ხუთი მარცხი განიცადეს, თანაც ისე, რომ გოლიც ვერ მოახერხეს. მეექვსე შეხვედრის ბოლო წუთზე, როდესაც ანგარიში 0:1 იყო, **ივან კრსტანოვიჩმა** პენალტი მოიპოვა, რომელიც თვითონვე გაიტანა. „დინამომ" კიეველ თანაკლუბელებთან ფრედ ითამაშა და 567-წუთიანი (დამატებული დროის ჩათვლით) მშრალი სერია შეწყვიტა. ისტორიის განმავლობაში, ჯგუფური ეტაპი გოლის გარეშე სულ ორმა კლუბმა დაასრულა - „დეპორტივომ" (2004/05) და ჰაიფას „მაკაბიმ" (2009/10).

6000 - **სერხიო რამოსის** ავტოგოლი, რომელიც ესპანელმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" საპასუხო 1/8-ფინალურ შეხვედრაში შეასრულა, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მე-6000 გოლი იყო.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ტექნიკა რასიზმთან ბრძოლის სამსახურში

ორგანიზაცია Kick It Out აპირებს, მობილური ტელეფონებისთვის სპეციალური პროგრამა შეიმუშავოს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, მატჩების მიმდინარეობისას რასიზმის ფაქტების შესახებ პირდაპირ რეჟიმში ინფორმაციის გადაცემა. როგორც ირწმუნებიან, სიახლე პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე უკვე სრულყოფილად დაინერგება. კვლევის თანახმად, ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრების 50%-ზე მეტს რეგულარულად ესმის რასისტული ან ჰომოფობიური შეძახილები ფეხბურთელებისა თუ კლუბის ფუნქციონერთა მისამართით, 73%-ს მიუმართავს მატჩების მომსახურე სტიუარდებისთვის და უთხოვიათ, საკუთარი მოვალეობები ჯეროვნად შეესრულებინათ, 75%-ს კი მიაჩნია, რომ ეს საკითხი ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.

## კოლო ტურე გაწითლდა

**კოლო ტურე** „ლივერპულის" ფეხბურთელია. 32 წლის ივუარელ ცენტრალურ მცველს „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი ერთ თვეში უმთავრდება, რის შემდეგაც ძალაში შევა მის მიერ მერსისაიდელებთან გაფორმებული 2-წლიანი ხელშეკრულება. „სიტიმდე" ფეხბურთელი „არსენალში" თამაშობდა. პრემიერლიგაში მას სულ 10 სეზონი აქვს ნათამაშები. სხვათა შორის, აფრიკელმა ინგლისურ კარიერაში პირველი თამაში ინგლისის სუპერთასზე სწორედ „ლივერპულის" წინააღმდეგ ჩაატარა. ის შეხვედრა „მეთოფეებმა" 1:0 მოიგეს. კოლო ტურეში ყოველთვის აღნიშნავდნენ ლიდერულ თვისებებს, რისი წყალობითაც მას პრაქტიკულად ყველგან უკაპიტნია, სადაც კი ასპარეზობდა, მათ შორის კოტ დივუარის ნაკრებშიც.



კოლო ტურე

## ფიფამ ხორვატები დასაჯა

22 მარტს ხორვატულ ზაგრებში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში სერბეთის წინააღმდეგ (2:0) ადგილობრივმა გულშემატკივრებმა სტუმარ ფეხბურთელებს განსაკუთრებულად აგრესიული დახვედრა მოუწყვეს და მათ შეურაცხმყოფელი სიმღერები მიუძღვნეს. ამის გამო ფიფამ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას 50 ათასი შვეიცარიული ფრანკის ჯარიმის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება სპეციალური ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე იქნა მიღებული, სადაც ვკითხულობთ: *„ტრიბუნებზე ისმოდა, როგორც მინიმუმ, შვიდი სხვადასხვა სიმღერა, რომელთაც ეთნიკური და დისკრიმინაციული ზიზღის გამოწვევა შეეძლო".*

## ფედერაცია დახმარებას ითხოვს

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად მიმართა ქვეყნის შსს-ს და ეროვნული ჩემპიონატის შვიდი შეხვედრის საეჭვო შედეგით დაინტერესება სთხოვა. დასახელდა კონკრეტული მატჩი, რომელიც პოლიციამ პირველ რიგში უნდა გამოიძიოს. ლაპარაკია 25 მაისს გამართულ დაპირისპირებაზე სოფიის „ლოკომოტივსა" და თანაქალაქელ ცსკა-ს შორის, რომელშიც მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს და უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაურჩნენ. *„ლოკომოტივი"-ცსკა მხოლოდ ერთი თამაშია ჩვენს სიაში. პოლიციას ყველანაირი ინფორმაცია მივაწოდეთ, რასაც ვფლობდით და ვთხოვეთ, რომ შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინა. იმედია, გამოძიება სრულყოფილად წარიმართება და დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან,"* - განუცხადა „როიტერს" ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ათანას ფურნაჯიევმა.**

## ვენგერი 12 მილიონს იხდის



მარტინ შკრტელი

2011/12 წლების სეზონში **მარტინ შკრტელი** „ლივერპულის" საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, რის შემდეგაც ცენტრალურმა მცველმა კლუბთან ხელშეკრულება 2016 წლამდე გააგრძელა. ერთი შეხედვით 28 წლის სლოვაკის მდგომარეობას რა უნდა დამუქრებოდა, მაგრამ 2013 წლის იანვრიდან ყველაფერი თავდაყირა დადგა. **ბრენდან როჯერსმა** ის სათადარიგოთა სკამზე გადასვა. ძირითადში კი 35 წლის **ჯეიმი კარაგერი** დააბრუნა. სეზონის დასრულების შემდეგ კი ისლა გვესმის, რომ მარტინი „ენფილდიდან" მიდის. საკითხი გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ალბათობა მაინც ძალიან დიდია. ყველაზე რეალური ფეხბურთელის „არსენალში" გადასვლაა. „ემირეიტსზე" ის **ტომას ვერმაელენის** შემცვლელად განიხილება. ინგლისური პრესა ბელგიელის მომავალ ტრანსფერზეც ბევრს წერს. შკრტელის გადაბირება „მეთოფეებს" 12 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ.

## სატრანსფერო კონტრაქტების ჯამი

სპორტული კლუბები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევენ სპონსორებისგან. მათ შორის ყველაზე სერიოზული ზრდა ამ მხრივ ფეხბურთში შეინიშნება. კომპანია IFM Sports Marketing-ის გამოთვლით, 2012 წელს საფეხბურთო კლუბებსა და სპონსორებს შორის საერთო ჯამში 4,5 მილიარდ დოლარად ღირებული კონტრაქტები გაფორმდა. აქედან ყველაზე სარფიანი გარიგება „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ჯენერალ მოტორსთან" დადო, რომლის თანახმადაც „ეშმაკები" 7 წლის განმავლობაში 659 მილიონ დოლარს მიიღებენ.

## აკე კრისტალ პალასში გადავა

„კრისტალ პალასის" საკადრო პრობლემებზე „ლელო" გუშინდელ ნომერში წერდა. ბუნებრივია, მიმომხილველებზე უკეთ აღნიშნული პრობლემა ხელმძღვანელობას ესმის. „არწივებმა" „ჩელსის" 18 წლის უკანახაზელის, ჰოლანდიელი **ნათან აკეს** 1-წლიანი იჯარით დათმობა შესთავაზეს. უშუალოდ ფეხბურთელი თანახმაა, პრემიერლიგის დებიუტანტში გადავიდეს, რადგან ესმის, რომ „სტემფორდ ბრიჯზე" მას სათამაშო პრაქტიკის მიღება ძალიან გაუჭირდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი

# ოლიმპი მწვერვალზე


არბიტრი მაკა კუპატაძე და დეონტე ვონი

| 29 მაისი. თბილისი | |
|---|---|
| სპორტის სასახლე | |
| შსს აკადემია-ოლიმპი | 72:90 |

11:23, 21:30, 20:19, 20:18

**შსს აკადემია:** ჩიტაშვილი (8ქ, 6მ, 5პ), ვონი (13ქ), როგავა (7ქ), ბოქოლიშვილი (2ქ), ლონდარიძე (2ქ, 5მ), პრევიტი (3ქ), ლომოური (8ქ), კუნასი, ანთაძე (2ქ), ბექაური (10ქ, 7მ, 4დ), არჩიბეკი (15ქ, 5მ), რეიმონდი (2ქ).

**ოლიმპი:** სოკი (6ქ), ბერიშვილი (19ქ, 9მ, 4პ), მიქელაძე (5ქ, 4პ), თენიეშვილი (8ქ, 6მ, 3პ), ფაცაცია (12ქ, 5მ), დვალიშვილი (12ქ, 8მ), მური (14ქ), მილოშევიჩი (12ქ, 6მ, 3დ), ანდრიუკაიტისი (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.

**ოთარ ქორქიას** სახელობის სუპერთასი „ოლიმპს“ დარჩა.

*- ჩემპიონატის შემდეგ ძნელი იყო კონცენტრირება, ფსიქოლოგიურად მომზადება და ჩვენ ეს მოწინააღმდეგეზე უკეთ გამოგვივიდა. სამწუხაროდ, მე-6 თამაშმაც ვერ ჩაიარა ექსცესების გარეშე, თუმცა მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, რომ ამის წამომწყებები არ ყოფილან,* - აღნიშნა „ოლიმპის“ თავკაცმა **გია კაზანჯიანმა.**

მართლაც, შეხვედრა გაცილებით უკეთ ჩაატარეს ოლიმპელებმა. პირველ ტაიმში იყო არაერთი ტექნიკური ჯარიმა, ხოლო პერიოდის ბოლოს საქმე კინაღამ ჩხუბამდე მივიდა - **კირკ არჩიბეკი** და **ნოდარ თენიეშვილი** შელაპარაკდნენ... თუმცა კალათბურთელებს დიდმა შესვენებამ მოუსწროთ და გასახდელში ემოციები ჩაცხრა.

მეორე ტაიმში „ოლიმპმა“ საქმე მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

კალათბურთის ფედერაციამ ჩაატარა გამოკითხვა ჟურნალისტებს, მწვრთნელებსა და კომისრებს შორის, რომლის შედეგადაც გამოვლინდა სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელი - **დეონტა ვონი** (შსს). №1 მწვრთნელი შსს-ელთა დამრიგებელი **გიორგიოს კეცელიდისი** გახდა, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდისთვის განკუთვნილი **ზვიად მიქაძის** სახელობის ჯილდო ასევე შსს-ელმა **რევაზ როგავამ** მიიღო.

გუშინდელი დღე და საერთოდ, სეზონი სუპერთასის გადაცემით დასრულდა - თასი „ოლიმპის“ კაპიტანმა **მიხეილ ბერიშვილმა** ალმართა.

**გიორგიოს კეცელიდისი** („შსს აკადემია“):

- თამაში ისეთი დაძაბული არ გამოდგა, როგორც ველოდით. წარმატებას ვუსურვებ ყველა ქართველ მოთამაშეს, გუნდს და მწვრთნელს მომავალ სეზონში. მადლობას ვეტყვი ყველას საუკეთესო მწვრთნელის ჯილდოსთვის. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანია.



N1 მწვრთნელი გიორგიოს კეცელიდისი და N1 ახალგაზრდა რევაზ როგავა

ქართველი უკრაინაში

# ბუს 9 პასი

## აზოვმაშმა გაათანაბრა - 3:3

**გიორგი ცინცაძეს** კარგი შანსი ჰქონდა გუშინ უკრაინის ჩემპიონობა მოეპოვებინა, მაგრამ მისი „ბუდიველნიკი“ სტუმრად „აზოვმაშთან“ მინიმალური სხვაობით, 95:96 დამარცხდა. შედეგად, სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 3:3. გადამწყვეტი, მეშვიდე თამაში კიევში, „ბუდიველნიკის“ მოედანზე 31 მაისს გაიმართება.

ქართველი გამთამაშებლის გიორგი ცინცაძისთვის გუშინდელი შეხვედრა უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 30 წუთი ითამაშა, 15 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა და 5 მოხსნა მიითვალა. გიორგიმ 10 ორქულიანი და 5 სამიანი სტყორცნა, რომელთაგან 3-3 გამოიყენა.

„ბუდიველნიკის“ ბომბარდირი **ლეო ლაიონსი** გახდა - 31 ქულა. მატჩის სნაიპერობა კი ლეოს „აზოვმაშის“ ამერიკელმა ლეგიონერმა **ლინ გრირმა** არ დაანება - 34 ქულა და 13 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა.


ცინცაძემ ამ მატჩში 15 ქულა ჩააგდო

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ 31 მაისს, როცა კიევში უკრაინის ჩემპიონი გამოვლინდება.

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ოქროს ვეჯინი

| ფინალი | |
|---|---|
| ვეჯინი-ქუთაისი | 84:72 |

24:13, 16:15, 27:22, 17:22

**ვეჯინი:** მუმლაძე, ფუტკარაძე (33ქ, 10მ, 5პ, 3ჩ), ბაციკაძე, შალამბერიძე, მეფარიძე, ურუშაძე (2ქ, 8პ, 4ჩ), ციკორიძე (6მ), საჯაია (22ქ, 16მ, 4პ, 3ჩ), ჩორგაძე, მაისურაძე (22ქ, 10მ, 3პ).

**ქუთაისი:** ხელაია, ჯანაშია (1ქ), გაბრიაძე, მურღულია, ხუბლავა, ალანია (9ქ, 11მ), მალლაკელიძე (6ქ), მანაგაძე (11ქ, 9მ, 8პ, 6ჩ), ჟორჟოლიანი (36ქ, 12მ), გაბიძაშვილი (9ქ, 5მ, 4პ, 3ჩ, 2დ).

| III ადგილი | |
|---|---|
| ახმეტა-ზესტაფონი | 39:43 |

**ზესტაფონი:** ქიქინაძე (15ქ, 25მ), კუპატაძე (14ქ)...

**ახმეტა:** ხოხობაშვილი (12ქ, 11მ)...

| 1/2-ფინალი | |
|---|---|
| რუსთავი-ახმეტა | 81:52 |

**რუსთავი:** საჯაია(19ქ), მაისურაძე (17ქ, 13მ), ურუშაძე (10ქ), ფუტკარაძე (10ქ)...

**ახმეტა:** ხოხობაშვილი (15ქ, 10მ), ზარავანდაშვილი (11ქ, 11მ), მამუკელაშვილი (9ქ, 11მ)...

| ქუთაისი-ზესტაფონი | 80:76 |
|---|---|

**ქუთაისი:** ჟორჟოლიანი - 41 ქულა, 24 მოხსნა, გაბიძაშვილი - 20 ქულა, 8 მოხსნა

**ზესტაფონი:** კვინიკაძე (21ქ, 10მ, 8პ), მოდებაძე (19ქ, 12მ), კუპატაძე (18ქ, 9მ), ქიქინაძე (14ქ, 18მ)...

რუსთავის „ვეჯინი“ საქართველოს ჩემპიონია. ამ გუნდმა საუკეთესოს წოდება პირველად მოიპოვა. ქვემოქართლელებმა გუშინ გამართულ ფინალურ შეხვედრაშიც დაამტკიცეს, რომ ოქროს მედლებს იმსახურებდნენ - „ქუთაისს“ 84:72 აჯობეს.

მოგებულთაგან სამმა კალათბურთელმა შეასრულა ორმაგი დუბლი: **ფუტკარაძემ** 33 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა, კაპიტანმა **ხათუნა საჯაიამ** - 22 ქულა და 16 მოხსნა, ხოლო **ანა მაისურაძემ** 22 ქულა და 10 მოხსნა.

ბომბარდირობა არავის დაანება ქუთაისელმა **ნელი ჟორჟოლიანმა** - 36 ქულა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**


რუსთაველთა ზეიმი

ქართველი საბერძნეთში


„ოლიმპიაკოსი“-„აგორი“, ნახევარფინალი დაიწყო

# გიორგი შერმადინი ორიანებით დაბრუნდა

საბერძნეთის ჩემპიონატში ნახევარფინალური სერია ლოგიკური შედეგებით გაიხსნა. „ოლიმპიაკოსმა“ „აგორი“ 77:62 დაამარცხა, ხოლო „პანათინაიკოსმა“ - „პანიონიოსი“ 84:61.

არც იმის გამოცნობა იქნება ძნელი, რომელი ორი გუნდი ითამაშებს ფინალში (თავად დაასახელეთ). ჩვენთვის გუშინდელ ნახევარფინალებში ყველაზე საინტერესო **გიორგი შერმადინის** თამაში იყო. მას ევროლიგის ოთხთა ფინალის წინ კუნთი სერიოზულად დაუზიანდა და ზემოთ ნახსენები შეხვედრები გამაყუჩებლებით ითამაშა. მას მერე მკურნალობდა და მეოთხედფინალების გამოტოვებამ მოუწია.

საბედნიეროდ, გიორგიმ ტრავმა უკვე მოიშუშა და 12 მაისის შემდეგ პირველად ითამაშა. იგი „ოლიმპიაკოსის“ მაისურით მოედანზე მესამე პერიოდში გამოჩნდა, 5 წუთში 2 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა.

საკალათბურთო ფესტივალი

# პატარები დიდ არენაზე

**თბილისის** კალათბურთის განვითარების კავშირის ეგიდით დაიწყო ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალი 2001 წელს დაბადებულთა შორის. გახსნა გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა.

შეჯიბრებაში 12 გუნდი ჩაერთო, რომლებიც ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. პირველში მოხვდნენ: „დინამო“, „ბასტიონი“, „აკადემია“, „აქსე“, „კარდინალი“ და „რუსთავი“. მეორეში: „ჰიუნდაი“, „სოხუმი“, თსუ, „მაქაბი“, „ვესტა“, „მართვე“. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები ჩემპიონობისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან განაგრძობენ.

გუშინდელი შეხვედრები ასე დასრულდა: „სოხუმი“-თსუ 32:25, „ჰიუნდაი“-“ვესტა“ 50:38, „დინამო“-“ბასტიონი“ 48:19, „აკადემია“-“აქსე“ 49:23, „კარდინალი“-“რუსთავი“ 48:43.

როგორც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრესრელიზში ვკითხულობთ, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართება ერთდღიანი საკალათბურთო მარათონი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 8 გუნდი (თითოში 12 კალათბურთელი). ასევე გაიმართება შეჯიბრება 16 გუნდის მონაწილეობით (თითოში 12 მოთამაშე).


„აკადემია“ VS „აქსე“

თავისუფალი ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

# ბოლო შანსი ლიდერებისთვის


ასე ემზადებიან იტალიისთვის ევროპის ჩემპიონები: გიორგი ედიშერაშვილი და დავით მარსაგიშვილი (დგას)

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ამ დილით იტალიაში გაფრინდა, სადაც ხვალ და ზეგ, ქალაქ სასარიში „ოქროს დიდი პრიზის" რიგით მეორე ტურნირში იასპარეზებს. მოგეხსენებათ, ამ რანგის პირველი შეჯიბრება რუსეთმა ლამის დაისაკუთრა – უკვე წლებია, იანვარში კრასნოიარსკში იმართება და ივან იარიგინის სახელს ატარებს. წინა წლებში ჩვენებს იქ ხელისუფლება არ უშვებდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ახლა ქართულ სპორტს მსგავსი ტაბუ მოეხსნა, მაგრამ წლეულს იქ წასვლა ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდა – იცით, რომ ფედერაციის ვადამდელი არჩევნები გაჭიანურდა, რამაც ბიუჯეტისა თუ კალენდარის დამტკიცებაზე, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც იქონია გავლენა. ამდენად, ჩვენი „თავისუფლებისთვის" ეს ტურნირი „ოქროს დიდი პრიზის" სუპერფინალში მოხვედრის ბოლო შანსია, რადგან იქ მონაწილეობის უფლება სწორედ ამგვარ შეჯიბრებებში გამოსვლით უნდა მოიპოვო, ეს კი ამ რანგის ბოლო ტურნირია.

შანსის გამოსაყენებლად, რაც მსოფლიოსთვის მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ეტაპიცაა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რევაზ მინდორაშვილმა** იტალიაში უძლიერესი შემადგენლობა წაიყვანა: **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **მალხაზ ზარქუა** (66), **დავით მარსაგიშვილი** (84), **დავით ქერაშვილი** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120). ოღონდ არაა გამორიცხული (პირიქით – უფრო მოსალოდნელია), რომ ედიშერაშვილმა და მარსაგიშვილმა ამჯერად წონა არ დაიკლონ და ზედა წონებში იჭიდაონ. საქმე ისაა, რომ ივნისის ბოლოს მათ საქართველოს თასიც ელოდებათ, რომელიც ჩვენებისთვის მსოფლიოს პირველობისთვის მთავარი შესარჩევი ტურნირია, სადაც თავის წონაში უნდა დადგნენ, დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ორჯერ დაკლება კი დაანგრევს ორგანიზმს.

როგორც ვხედავთ, მონაწილე არ გვყავს 74 კილოგრამში – ამ წონის ლიდერი **დავით ხუციშვილი** გერმანიაში მხარზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ კვლავაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის. აღსანიშნავია შემადგენლობაში ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე **მალხაზ ზარქუას** გამოჩენაც, რომელსაც ლონდონის შემდეგ არ უჭიდავია და მარტში თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვა.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. მიუნხენის ტურნირი

# ისევ მეხუთე

**ნინო სალუქვაძემ მიუნხენში დამთავრებულ მსოფლიოს თასზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაშიც მეხუთე ადგილზე დაასრულა გამოსვლა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სპორტულ იარაღზეც მეხუთე იყო.**

სალუქვაძემ შესარჩევ ეტაპზე 385 ქულა დააგროვა, რაც მეექვსე შედეგი აღმოჩნდა. ჩვენებურისთვის ყველაზე წარმატებული მეორე და მესამე სერიები გამოდგა – თითო მათგანში სამიზნის შუაგულს მხოლოდ ორ-ორჯერ დააცილა და 98-98 ქულა გამოუვიდა. აი, პირველსა და, განსაკუთრებით მეოთხეში კი ვერ დადგა მოწოდების სიმაღლეზე – 95 და 94.

საკვალიფიკაციო ეტაპი სერბმა ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის გამარჯვებულმა **იასნა სეკარიჩმა** მოიგო 390 ქულით, რაშიც გასაკვირი არაფერია, აი, სამეულის სხვა წევრთა ვინაობა კი მართლაც გასაოცარია – მეორეზე ინდოელი **ჰეენა სიდხუ** გავიდა 389-ით, მესამეზე – მალაიზიელი **იან ჟოსელინ ჩან ლეე** 388-ით. აქამდე არც ერთი მათგანი განსაკუთრებული შედეგით არ გამოირჩეოდა, ახლა კი საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს. სალუქვაძეს გერმანელთა მონღოლი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ორი ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **მუნკბაიარ დორჯსურენი** (388) და ევროპის ორგზის გამარჯვებული ფრანგი, ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **სელინ გობერვილიც** (386) უსწრებდნენ, ფინალურ ოქტეტს კი 384-ქულიანები - ესპანელი **სონია ფრანკო** და ბელარუსთა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ვიქტორია ჩაიკა** კეტავდნენ. ,

მოგეხსენებათ, ახალი წესებით მსროლელებს შესარჩევის ქულები ფინალში აღარ გადაჰყვებათ და იქ ყველაფერი თავიდან იწყება. ამით ყველაზე უკეთ სწორედ ბელარუსმა ისარგებლა, რომელმაც მართლაც თოლიასავით შეინავარდა და 199.6 ქულით ბოლოდან პირველ ადგილზე გადაფრინდა. მალაიზიელმა შეინარჩუნა მეორე ადგილი – 197.8 და ვერცხლის მედალიც დაისაკუთრა, მესამეზე კი 175.1-ით დორჯსურენი გავიდა. სეკარიჩმა სუსტად ისროლა და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა, ინდოელი კი მერვე აღმოჩნდა.

ამით მიუნხენის ტურნირიც დასრულდა, ჩვენებს კი უახლოესი შეჯიბრება ივლისში ელოდებათ – თვის დასაწყისში ესპანურ გრანადაში ასევე მსოფლიოს თასზე გამოვლენ, თვის ბოლოს კი ხორვატულ ოსიეკში სპორტული პისტოლეტიდან ევროპის პირველობაზე ისვრიან. თუმცა მანამდე, უახლოეს დღეებშივე – 3-10 ივნისს ახალგაზრდები გერმანულ ზულში ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ. იქაც ორი მონაწილე გვეყოლება – **ლიზი კილაძე** და **ცოტნე მაჭავარიანი**.



ნინო სალუქვაძე

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი.




# გეოგრაფია იზრდება, სახეობა ღონიერდება

**საქართველოს წყალბურთელთა წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში უკვე შვიდი გუნდი მონაწილეობს: ქვეყნის სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი", „თბილისი", თსუ (დებიუტანტი), „ივერია", „ბათუმი", „ქუთაისი" და „ლიგამუსი-2". წინა კვირას მოასპარეზეებმა ოთხი ტურის შეხვედრები გამართეს. უდანაკარგოდ ჩემპიონი „ლიგამუსი" და ვიცე-ჩემპიონი „თბილისი" დაწინაურდნენ. გუშინ მეხუთე ტურში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.**

**ლიგამუსი–თბილისი 15:10**

2:2, 3:2, 4:3, 6:3

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, ჩიკვაიძე, გიორგაძე, რუსიშვილი (1), იმნაიშვილი, ურუშაძე, ხვედელიანი (2), ყაზახიშვილი (2), რურუა (5), გეგელაშვილი (4), ნიკოლეიშვილი (1), ქავთარაძე, გაბადაძე, მწვრთნელი ისელიძე.

**თბილისი:** ნამორაძე, ქენქაძე (1), ჩიქვინიძე (2), სულაძე (1), ლაითაძე, ყავლაშვილი (2), ბალათურია, ქარჩილაძე (2), სხილაძე (1), გელაშვილი, ცანკაშვილი, ქართველიშვილი (1), შუბლაძე, კაპანაძე, მწვრთნელი ლაითაძე.

ამ გუნდების მატჩები ყოველთვის გამოირჩევა პრინციპულობითა და სიმწვავით, რადგან ეროვნული ნაკრების საბაზო კოლექტივებს წარმოადგენენ, თან ყველა ჩემპიონატში მათ ფავორიტებად მიიჩნევენ. ტრადიციას მათ არც ამჯერად უღალატეს. პირველ პერიოდში მეტოქეებმა ორ-ორი შედეგიანი შეტევა განახორციელეს, დანარჩენ შემთხვევაში ხან მეკარეებმა იყოჩაღეს, ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ. მეორე და მესამე რვაწუთიანი მონაკვეთები „ლიგამუსმა" თითო ბურთის სხვაობით მოიგო. აი, ბოლო პერიოდში კი ჩემპიონებმა, რომლებსაც საერთაშორისო ტურნირებში თამაშის გამოცდილებაც აქვთ, მატჩში გარდატეხა შეიტანეს და ორთაბრძოლა საბოლოოდ 15:10 მოიგეს. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით გუნდის კაპიტანი ზურაბ რურუა და კოტე გეგელაშვილი გამოირჩნენ, რომლებმაც მეტოქეთა კარში, შესაბამისად, 5 და 4 ბურთი გაიტანეს.

**თსუ–ლიგამუსი-2 17:7**

5:1, 4:3, 5:1, 3:2

**თსუ:** ფავლენიშვილი, სხილაძე, ბაქრაძე, ბულაძე (3), გიორგაძე (3), ჩერქეზიშვილი, გაბადაძე (3), ტუკვაძე (4), ბითაძე, კაკულია (4), ვაჩაძე, გელაძე, ციხელაშვილი, მწვრთნელი ბალათურია.

**ლიგამუსი-2:** სამადბეგიშვილი, ფირცხალავა (1), მოსეშვილი (2), თორდია (2), ზამბახიძე, ჭედია, გოგელია (1), ჩოდრიშვილი, შავშიშვილი, ქოიავა (1), დოიჯაშვილი, შერვაშიძე, აბაიაძე, მწვრთნელი მაისურაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტია, მაგრამ სულაც არ ჰგავს ახალ ბინადარს, რადგან რიხით შემოაღო პირველობის კარი: განვლილ ხუთ ტურში სამი შეხვედრა გამართა და ყველა პაექრობა მოიგო. გუშინ „ლიგამუს-2"-თან ალმავლობით ჩაატარა პირველი და მესამე პერიოდები, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით (5:1) მოიგო, საბოლოოდ კი მეტოქეს 10 ბურთის სხვაობით აჯობა.

აქვე გაუწყებთ 5 ტურის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობას, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ყველა გუნდს თანაბარი შეხვედრები არ გაუმართავს: „ლიგამუსი" - 15 ქულა (5 შეხვედრიდან), „თბილისი" - 12 (5), თსუ - 9 (3), „ივერია" - 6 (4), „ლიგამუსი-2" -3 (4), „ბათუმი" - 0 (4), „ქუთაისი" - 0 (5).

პირველი წრის დამთავრებამდე 6 მატჩი დარჩა. დღეს ითამაშებენ: თსუ - „ივერია", „ბათუმი" - „ქუთაისი", „ლიგამუსი-2" - ივერია". **31 მაისი.** - „ლიგამუსი" - თსუ, „ბათუმი" - „ლიგამუსი-2". **1 ივნისი.** თსუ - „თბილისი".

- სასიამოვნოა, რომ წყალბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა იზრდება, - გვითხრა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, ახლო წარსულში სახელოვანმა წყალბურთელმა **დავით რურუამ**. - წლეულს შვიდი გუნდი ასპარეზობს და შეხვედრებიც დაძაბულად მიმდინარეობს. დასტურად დღევანდელი ორთაბრძოლებიც გამოდგება. ყოველივე ეს სასიამოვნო ორმაგად, რადგან ეროვნული ნაკრებისთვის მოთამაშეთა შესარჩევად მეტი საშუალება გვექნება.

**- თქვენ ეროვნული ნაკრები ახსენეთ. ევრპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე რაუნდი როდის გაიმართება?**

- 11-14 ივლისს, თუმცა მეტოქეთა ვინაობას მოგვიანებით შევიტყობთ. იმ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ჩვენი ნაკრები თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს. ეს შეჯიბრება 7-9 ივნისს გაიმართება. მასპინძლებთან ერთად სლოვაკებსა და რუმინელებს გავუწევთ მეტოქეობას. ასპარეზობის შემდეგ თურქეთში კიდევ ოთხ დღეს დავრჩებით და თურქებთან ერთობლივ წვრთნასა და ტესტმატჩებს გავმართავთ.

საერთაშორისო ტურნირისთვის საქართველოს ნაკრები ვლადიმერ ისელიძისა და იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით თბილისში ასეთი შემადგენლობით ემზადება: **ზურაბ ჭუმბურიძე, ნიკოლოზ შუბლაძე, მიხეილ ბალათურია, კოტე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა (კ), ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქენქაძე, ალექსანდრე რუსიშვილი, ბექა ქავთარაძე, გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე ურუშაძე, ლევან ჩიქვინიძე.** გუნდს თურქეთში შეუერთდებიან **მარკო ელაჩა, მარინო ფრანიჩევიჩი, მარკო ელეზი** და **დამირ ცრეპულია.**

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ბელა ხოტენაშვილი დილიჟანისთვის ემზადება


ბელა ხოტენაშვილი

დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილი** საქართველოს 2012 წლის ჩემპიონია. ამას წინათ ჟენევაში ფიდეს ქალთა გრან პრის პირველი ეტაპი მოიგო. თბილისში დაწყებულ 70-ე საიუბილეო ეროვნულ ჩემპიონატში იგი არ მონაწილეობს - დარბაზიდან ადევნებს თვალს მოასპარეზეებს. მიზეზი კი ის არის, რომ ხოტენაშვილი სომხურ დილიჟანში 17 ივნისიდან ფიდეს გრან პრის მეორე ეტაპში ჩაებმება, ამიტომ ახლა ამ შეჯიბრებისთვის ემზადება ინტენსიურად.

- ნებით დავთმე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, რადგან ზედიზედ სამ უმძიმეს ტურნირში მონაწილეობა, უბრალოდ, შეუძლებელია, - გვითხრა ბელა ხოტენაშვილმა.

**- ჟენევის გრან პრის ბატალიებს ხომ ვერ გაიხსენებ?**

- აბა, რა გითხრათ, ჩემს საჭადრაკო კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას მივაღწიე, თანაც ასეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში. შვეიცარიაში ხომ თავი მოიყარეს ჩინელმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოუ იფანმა, უკრაინელმა ანა უშენინამ, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულმა ალექსანდრა კოსტენიუკმა, ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონებმა - უკრაინელმა კატერინა ლაგნომ და რუსმა ტატიანა კოსინცევამ, ლიტველმა ევროპის ჩემპიონმა ვიქტორია ჩმილიტემ, 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა ნანა ძაგნიძემ. ბრძენთა თამაშის ელიტაში მყოფ ამ დიდოსტატებთან წარმატების მიღწევა ნებისმიერი მოჭადრაკისთვის საპატიოა. ცხადია, მეც გახარებული ვარ, თუმცა ტურნირი მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ დამიწყია: პირველ ოთხ ტურში თეთრი ფიგურებით ჩინელ ცზიუ ვენძიუნსა და ნანა ძაგნიძეს ვძლიე, შავებით კი ჰოუ იფანთან და კოსინცევასთან დავმარცხდი. ამის შემდეგ ზედიზედ ხუთი პარტია მოვიგე და ვირწმუნე, რომ გრან პრის პირველ რაუნდში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა. მით უმეტეს, რომ სლოვენიელი ანა მუზიჩუკი, რომელიც კარგა ხანს ჩემთან ერთად მეწინავეობდა, ბოლოსწინა ტურში ყაიმს დასჯერდა და ნახევარი ქულით ჩამომრჩა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამარჯვებას, რადგან ბოლო პარტია უშენინასთან შავებით უნდა მეთამაშა. თუ წავაგებდი, პირველი პრიზის ბედი მუზიჩუკისა და კოსინცევას პარტიებზე იქნებოდა დამოკიდებული. მსოფლიოს ჩემპიონთან შუა თამაშისთვის საყაიმო პოზიცია შეიქმნა. მუზიჩუკი კოსტენიუკს დაუზავდა, კოსინცევამ ვენძიუნთან წააგო. ჩემსა და უშენინას პარტიაში პოზიცია განმეორდა და ყაიმზე შევთანხმდით. პირველი ადგილი დავიკავე და 160 ქულაც დავიმსახურე.

**- გულშემატკივრებმა იციან, რომ ფიდეს გრან პრი, ფაქტობრივად, ქალებისთვის პრეტენდენტთა ტურნირის ტოლფასია.**

- დიახ. ოთხ ეტაპში უნდა ისპარეზო და საერთო ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შევა. გამარჯვებული 2015 წელს მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის იბრძოლებს. შარშან ნოკაუტსისტემით გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოუ იფანმა ტიტული დაკარგა. პირველი ადგილი უშენინამ დაიკავა, მაგრამ ჩინელმა გვირგვინის დაბრუნების შანსი 2011-2012 წლების გრან პრიში გამარჯვებით შეინარჩუნა.

**- მეორე ეტაპს დილიჟანი უმასპინძლებს.**

- დიახ, 17-29 ივნისს. იქაც უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. მართალია, ჰოუ იფანი, ლაგნო და ტატიანა კოსინცევა არ იქნებიან, მაგრამ მათ არანაკლები სიძლიერის დიდოსტატები - ინდოელი ჰამფი კონერუ, მსოფლის და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა და ნადეჟდა კოსინცევა შეცვლიან. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ქომაგები დილიჟანის შედეგებითაც გავახარო.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



საქართველოს ჩემპიონატი



ნიჩბოსნობა

# აკადემიკოსები მინსკსა და ფოთში

**ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დამთავრდა 18-წლამდელ ნიჩბოსანთა ევროპის პირველობა რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელიც მონაწილეობდა. მცხეთელმა არჩილ ბაიაშვილმა ერთადგილიანი ნავით მე-14 ადგილი დაიკავა, ხოლო მისი თანაქალაქელი ანი გვილავა, ასევე, ერთადგილიანი ნავით (ორივე - აკადემიური ნიჩბოსნობა) მე-16 ადგილი დაკმაყოფილდა. ეს შედგები გვაიმედებს, რომ ორივე სპორტსმენი წლეულსვე ტრაკაის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოემზადება და მოხვდება იმ თორმეტეულში, რომელიც 2014 წლის მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმარისი იქნება.**

ზემოაღნიშნული სპორტსმენების გარდა, ქართველი ნიჩბოსნები „ფოთის რეგატა 2013"-ში მონაწილეობდნენ. საპრიზო ადგილებისთვის აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც იბრძოდნენ.

**აკადემიური ნიჩბოსნობა. 1995-1997 წლებში დაბადებულნი: 500 მ და 1000 მ. ერთადგილიანი ნავებით**. 1. გიორგი კანთელაძე (ქუთაისი), 2. გიორგი კუჭავა (ფოთი), 3. ბაბეტ აბასოვი (აზერბაიჯანი). **ორადგილიანი ნავებით. 500 მ.** 1. ფარნა კაპანაძე, ნოდარ მარტოლეკი (მცხეთა), 2. პეტრე და ნიკა ქავთარაძეები (ფოთი), 3. მუხმან აბდულაევი, ბაბეტ აბასოვი (აზერბაიჯანი). **1000 მ.** 1. პეტრე და ნიკა ქავთარაძეები (ფოთი), 2. ბაბეტ აბასოვი, ფანახ მამადოვი (აზერბაიჯანი), 3. მეხმან აბდულაევი, ფარვინ მურადლი (აზერბაიჯანი).

**1998-1999 წლებში დაბადებულნი. ერთადგილიანი 500 მ.** 1. გიორგი ჯიქია (თბილისი), 2. ცოტნე პირველაშვილი (მცხეთა), 3. ნიკა კლდიაშვილი (ქუთაისი). **1000 მ.** 1. ცოტნე პირველაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი ჯიქია (თბილისი), 3. გიორგი ერემაშვილი (ფოთი). **ორადგილიანი. 1000 მ.** 1. ნოდარ მარტოლეკი, ფარნა კაპანაძე (მცხეთა), 2. ნიკა კლდიაშვილი, გოგა ფურცვანიძე (ქუთაისი), 3. საბა ბერიძე, გიორგი ერემაშვილი (ფოთი).

**2000-2001 წ.წ. ერთადგილიანი. 500 მ.** 1. აბიბო მინდიაშვილი (ქუთაისი), 2. რუსტამ მამადლი (აზერბაიჯანი), 3. ლუკა ლემონჯავა (ფოთი). **ორადგილიანაი. 500 მ.** 1. გიგი კუპრაძე, დავით ლაბაძე (ფოთი), 2. ლუკა ლემონჯავა, აკაკი სამუშია (ფოთი). 3. გიორგი აბესაძე, ლევან ჯიმშელეიშვილი (ქუთაისი).

**1994 წელს დაბადებულნი. ერთადგილიანი. 500 მ.** 1. თეიმურაზ სილაგაძე (ქუთაისი), 2. ულვერ ფაშბეილი (აზერბაიჯანი), 3. ვალერი კაჭარავა (ფოთი). **1000 მ.** 1. ულვერ ფაშბეილი (აზერბაიჯანი), 2. თეიმურაზ სილაგაძე (ქუთაისი), 3. ვალერი კაჭარავა (ფოთი).

**ორადგილიანი. 1000 მ.** 1. გელა ქოიავა, ვალერი კაჭარავა (ფოთი) 2. გიორგი სინატაშვილი, ირაკლი უკლება (ქუთაისი).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო


ანი გვილავა და არჩილ ბაიაშვილი

ახალი ამბების ესტაფეტა

SOCHI 2014

**+ მილიარდი**

რუსეთის ფედერაციის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ჟუკოვმა** განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიადისთვის სპორტსმენთა უკეთ მოსამზადებლად დამატებით ერთი მილიარდი რუბლი გამოიყოფა. მისი თქმით, რუსეთის სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაციებმა მომზადებისთვის უკვე დახარჯეს 1,5 მილიარდი რუბლი. დამატებითი თანხა მოხმარდება აგრეთვე მედიკო-ბიოლოგიურ კვლევებს, აღჭურვილობის შეძენას და ლოგისტიკას. სხვათა შორის, სპეციალისტებმა მეცნიერულად შეისწავლეს სოჭის თოვლის და რელიეფის თავისებურებები, რომლის შესაბამისად მზადდება სპორტული ინვენტარი. ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს ერთგვარ ფორას მისცემს რუსეთის სპორტსმენებს. სამთო თხილამურებსა და ბიატლონში შეჯიბრებები ჩატარდება ზღვის დონიდან 1500 მ სიმაღლეზე, რისთვისაც მასპინძლები საგანგებო პროგრამით და რეჟიმით ემზადებიან.

**დოპინგი**

სოჭის ოლიმპიადაზე, როგორც უკვე ცნობილი გახდა, დოპინგზე 2500-მდე და პარალიმპიადაზე 6000-მდე საკონტროლო სინჯს აიღებენ სპორტსმენებიდან. იმუშავებს დოპინგ-კონტროლის 13 პუნქტი, აქედან 10 უშუალოდ საშეჯიბრო ობიექტებზე, 3 - ოლიმპიურ სოფელში. მომსახურე პერსონალიდან 29 ხელმძღვანელი იქნება, 147 ინსპექტორი, 34 ექთანი სისხლის სინჯის ასაღებად, 352 შაპერონი (მეთვალყურე) და 34 კოორდინატორ - შაპერონი. პერსონალის ძირითად ბირთვს სპეციალურად მომზადებული ვოლონტიორები (მოხალისეები) შეადგენენ.

**აი, დარდი...**

რუსეთი ერთი მხრივ ყველაფერს აკეთებს, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში სრულ უპირატესობას მიაღწიოს ოლიმპიური პროგრამის ყველა დისციპლინაში, მეორე მხრივ კი, სპეციალისტები შეშფოთებას გამოთქვამენ მათდამი მაღალი პასუხისმგებლობის დაკისრების გამო. თვით რუსეთის სპორტის თავკაცი **ვიტალი მუტკო** არ მალავს, რომ ზამთრის სპორტი საგრძნობლად ჩამორჩება ზაფხულისას. მაგალითად, 2010 წლის ზამთრის თამაშებში რუსეთმა მხოლოდ სამი ოქროს მედალი მოიპოვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-11 ადგილს დასჯერდა. ახლაც აცხადებენ, რომ საქმე ვერაა კარგად ბიატლონში, ბობსლეიში, ციგებსა და ჰოკეიში.

**ორი ამოცანა**

სოჭის ოლიმპიადის მასპინძლობით რუსეთის მთავრობამ ორი მთავარი ამოცანის გადაჭრა დაისახა მიზნად: პირველი - ჩაატაროს ოლიმპიადა დღემდე არნახულ მაღალ დონეზე, გადააქციოს ეს ქალაქი მსოფლიოში სპორტის, ტურიზმისა და დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრად და მეორე - რუსეთის ღირსეულად გამოსვლა თამაშებში.

მოამზადა
**თენგიზ გაჩეჩილაძემ**

წყალხტომა

# ფინალში იასპარეზა


ჭოლა ჭანტურია

**წლეულს თებერვალში ქართველი წყალმხტომელი ჭოლა ჭანტურია ჩაება მსოფლიო გრან პრის გათამაშებაში, რომელიც შვიდი ეტაპისგან შედგება. ამ შეჯიბრებას მსოფლიო რეიტინგისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.**

ჭანტურიამ ორ რაუნდში მიიღო მონაწილეობა ესპანეთსა და გერმანიაში. პირენეიში იგი 12 საუკეთესოთა შორის მოხვდა (367 ქულა) და 27 სარეიტინგო ქულა ერგო.

და აი, წყალმხტომელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრე ბართაიასთან** ერთად იგი რუსეთის გრან პრიზე გაემგზავრა ქალაქ ყაზანში. ჭოლამ სამმეტრიანი ტრამპლინიდან ახალი ხტომა (უკანა დგომიდან სამნახევარი სალტო წინ) პირველად შეასრულა. ამის მიუხედავად, 345 ქულა მოაგროვა და აქაც მე-12 ადგილი დაიკავა, თან 23 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა. ახალი მაჩვენებლებით ჭოლამ ევროპულ რეიტინგში 12, ხოლო მსოფლიოში 25 საუკეთესოში დაიმკვიდრა ადგილი, თანაც ექვსიდან მხოლოდ სამი გრან პრის შედეგებით.

ყაზანში დღეს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან 14 წლის რუსთაველი **თამარ სიჭინავა** იასპარეზებს. ქართველი წყალმხტომელი ერთ თვეში 16-წლამდელთა ევროპის პირველობაზე გამოვა ქალაქ პოზნანში, რომელიც მისთვის პირველი ოფიციალური შეჯიბრება იქნება. რაც შეეხება ჭანტურიას, იგი 15-21 ივნისს გერმანიის ქალაქ როსტოკში ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავს ძალებს, 23 ივლისს კი ბარსელონაში მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# წყვილებში პირველი ბარიერი გადალახა

პარიზში გრძელდება ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია პირველობა. პაექრობაში წყვილებიც ჩაებნენ. თბილისელმა **ანა ტატიშვილმა** ბელარუს ოლგა გოვორცოვასთან ერთად სტარტზე სტეფანი გასონისა და ირენა პავლოვიჩის ფრანგული დუეტი ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:4. მეორე წრეში მესამე ნომრად განთესილ ნადია პეტროვას (რუსეთი) და კატარინა სრებოტნიკის (სლოვენია) ტანდემს გაუწევს მეტოქეობას. **ოქსანა კალაშნიკოვა** და ალისია როსოლსკა (პოლონეთი) როლან გაროსის პირველ წრეში ირინა ბურიაჩოკსა (უკრაინა) და ჰიტა ვატსონს (დიდი ბრიტანეთი) შეხვდებიან.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. მსოფლიოს რეიტინგი

# ტიუმენმა რეიტინგი გაგვიუმჯობესა

## ციმბირმა მხოლოდ შავდათუაშვილს ავნო

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელოს“ გუშინდელ ნომერში*

**გამოქვეყნდა** ძიუდოს ახალი საერთაშორისო რეიტინგი, რამაც ჩვენებს, ორიოდე გამონაკლისის გარდა, არსებითი ცვლილებები არ მოუტანა. უმეტეს წონებში კვლავაც მტკიცედ ვლიდერობთ, რაც აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე განთესილებში ყოფნას ანუ შედარებით „მშვიდ ცხოვრებას“ გვიქადის.



### 66 კგ

ამ წონაში ერთი ადგილით უკან დაიხია ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა შავდათუაშვილმა**, რომელიც მეორე ადგილიდან მესამემდე ჩამოაქვეითა ფრანგმა **დავიდ ლაროსემ**. ეს ცვლილება ტიუმენურმა ტურნირმა გამოიწვია – ჩვენებურს იქ არ უასპარეზია, თუმცა არც არაფერი განახევრებ-დაჰკლებია და კვლავ 1436 ქულა დარჩა, ლაროსე კი მესამეზე გავიდა და მონაგარიც 1524-მდე გაზარდა. ლაშას ივნისში კიდევ დააკლდება მონაგარი - გაუნახევრდება შარშან ჯერ ბრაზილიაში მოპოვებული 120 ქულა, მერე კი არგენტინის მსოფლიოს თასის 100 ქულა, დარჩენილები 50%-იანებში კი გადავა, რაც იქაურ მარაგს გაუზრდის, მაგრამ 100%-იანებში მათ ნაცვლად არაფერი შემოვა, რადგან ამდენ ტურნირში არ უჭიდავია. აი, მოსკოვში თუ წარმატებით გამოვა, ამ დანაკლისს შეივსებს. ამდენად, რჩება რაღაც შანსი, ვფიქრობთ, მინიმალური), რომ მსოფლიოსთვის ის საუკეთესო ოთხეულში ვერ მოხვდეს, თუმცა ამ დონის ფალავანისთვის განთესვაზე უფრო მნიშვნელოვანია, კარგად მოემზადოს ტურნირისთვის, ამ მხრივ კი მისი იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს.

ამავე წონაში შალვა ქარდავა 416 ქულით 24-ეა.

### 73 კგ

საეჭვოა, აქ რომელიმე ჩვენებური მსოფლიოს პირველობაზე განთესილთა შორის მოხვდეს – **ზებედა რეხვიაშვილი** 622 ქულით მე-15 ადგილზეა, **ნუგზარ ტატალაშვილი** 578-ით – მე-19-ე. თუმცა რეხვიაშვილი მერვე ადგილზე მდგარ **ნიკოლას დელპოპოლოს** 230 ქულით ჩამორჩება, ამ დეფიციტის აღმოფხვრა კი მოსკოვში წარმატების შემთხვევაში შესაძლებელია, ოღონდ ეს მხოლოდ ჩვენებურზეც არ იქნება დამოკიდებული – სხვების შედეგსაც გააჩნია.

### 81 კგ

ჩვენდა სასიხარულოდ, რეიტინგის სათავეს **ავთანდილ ჭრიკიშვილი** დაუბრუნდა. მასტერსამდე ის ბრაზილიელ **ვიქტორ პენალბერს** ჩამორჩებოდა, ტიუმენში კი ორივე მესამეზე გავიდა. ამისთვის მათ 280-280 ქულა დაერიცხათ, მაგრამ საქმე სხვაა – ეს ლათინოსის წლევანდელ 6 საუკეთესო შედეგში შევიდა, ოღონდ საამისოდ იქიდან ადრინდელი 120 ქულა ამოაგდო. რეალურად, მას ადრინდელ მონაგარზე 160 ქულა დაემატა, ჭრიკიშვილს კი წლეულს 6 ტურნირში არც ჰქონდა ნაჭიდავები. ამდენად, მას ადრინდელზე 280 ქულა დაემატა და 1620 გაუხდა, პენალბერს – 1586. ამ დუეტმა კორეელი ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **კი ჯაე ბუმიც** ჩამოიტოვა, რომელსაც დიუსელდორფის „დიდი მუზარადის“ შემდეგ, სადაც **ლევან ნიკლაურმა** მოუგო, არსად უჭიდავია. სავარაუდოდ, ისიც და გალსტიანიც მოსკოვში გამოვლენ, თუმცა მანამდე „დიდი პრიზის“ ტურნირები მაიამსა და ულანბატორშიც ტარდება. შეიძლება, იქაც იჭიდაოს.

ჯერჯერობით მეშვიდეა ლევან ნიკლაური 952 ქულით და კარგი შანსი აქვს, მსოფლიოზე (ცხადია, თუ ანდობენ ნაკრებში ადგილს) განთესილებში იყოს. მას განახევრება-განულება არ ემუქრება, ჭრიკიშვილს კი შარშან არგენტინაში დამსახურებული 100 ქულა გაუნახევრდება. სამაგიეროდ, პენალბერს მშობლიურ „დიდ პრიზზე“ აღებული 300 ქულა გაუნახევრდება.

### 90 კგ

ეს მეორე წონითი კატეგორიაა, სადაც რეიტინგის ლიდერი გვყავს – **ვალერი ლიპარტელიანმა** შეინარჩუნა პირველი ადგილი. მეტიც – ქულათა მარაგი 1782-დან 2062-მდე გაზარდა. ივნისის დასაწყისში მას შარშან ბრაზილიურ „მუზარადზე“ მოპოვებული 300 ქულიდან ნახევარი კი ჩამოაკლდება, მაგრამ ვერც კუბელი **ეშლი გონსალესი** და ვერც გაბერძნებული **ილიას ილიადისი** მაინც ვერ დაეწევიან. მეტიც – გონსალესს შარშანწინ ბრაზილიაში „მუზარადსა“ და მაშინდელ მსოფლიოს თასზე აღებული 280 ქულა გაუნულდება.

532 ქულით საკმაოდ კარგ – მე-15 პოზიციაზეა **ზვიად გოგოჭურიც**, რომელსაც ტურნირთა სიმცირის გამო განულება-განახევრება არ ემუქრება.

### 100 კგ

აჯობებს, ამ წონაში რეიტინგი კი არა, ძიუდოისტი ვეძებოთ. ბედის ირონიით, აქ დღეს ჩვენგან საუკეთესო მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძეა**, რომელმაც უკვე დაანება თავი ჭიდაობას. ის 438 ქულით 23-ეა, 430-ით კი 24-ე პოზიციაზე **ლევან ჟორჟოლიანია.** მან რამდენჯერმე სცადა დაბრუნება, მაგრამ ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ ჩაერთო გუნდში.

### +100 კგ

ტიუმენში მოპოვებული გამარჯვებით ქულათა მარაგიც გვარიანად გაზარდა და რეიტინგშიც ერთი ადგილით დაწინაურდა **ადამ ოქრუაშვილი** – 1112-დან 1810 გაუხდა და მესამეზე აინაცვლა. ცუდი ისაა, რომ ივნისში მას ბრაზილია-არგენტინაში მოპოვებული 400 ქულა გაუნახევრდება, რისი საშიშროება არც მის მდევარ კორეელ **სუნგ-მინ კიმს** ემუქრება და არც მის წინ მდგომ ბრაზილიელ **რაფაელ სილვას**, ვისაც ტიუმენში ბრწყინვალედ აჯობა. კორეელი ჩვენებურს იმდენად ჩამორჩება, მსოფლიომდე 1-2 დიდქულიანი შეჯიბრების მოგებით თუ გადაასწრებს, რაც საეჭვო გვგონია), თვითონ ოქრუაშვილი კი სილვას სულ რაღაც 20 ქულით ჩამორჩება. ის განახევრება ჩვენებურს იმდენად არ დააზარალებს, მეოთხემდე დაქვეითდეს, რაც მსოფლიოზე მთავარ კონკურენტ **ტედი რინერის** ფინალამდე აარიდებს. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ წლეულს მსოფლიოს პირველობა ბრაზილიაში ტარდება, იქ კი ფრანგზე არანაკლებ საშიში მათი ფალავნები იქნებიან.

**ირაკლი თავაძე**

სპორტი და მედიცინა

# მეტი ყურადღება ფეხბურთელთა ფიზიკური თვისების – გამძლეობის დონის ამაღლების საქმეს

სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ **რომანოზ სვანიშვილს**, ძალიან დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი სპორტული მედიცინისა და ფიზიკური რეაბილიტაციის, განსაკუთრებით მოძრაობით მკურნალობის - კინეზოთერაპიის საქართველოში განვითარების საქმეში. მისი დაწერილია მედიცინის ამ დარგში ძირითადი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მეცნიერული შრომები და სხვა. რ. სვანიშვილი ბატონ ნოდარ ახალკაცის ინიციატივით, სათანადო ყურადღებას უთმობდა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადების სამედიცინო საკითხების შესწავლას. ერთი პერიოდი არჩეული იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად. რ. სვანიშვილი მიიჩნევს, რომ ქართულ ფეხბურთში აუცილებლობა მოითხოვს განსაკუთრებით უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ფიზიკური თვისების - გამძლეობის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

საქართველოში უკანასკნელ წლებში გარკვეულად შეიმჩნევა სპორტის შემდგომი განვითარება, რასაც მოწმობს სპორტის რიგ სახეობებში (ჭიდაობა, რაგბი და სხვა) მოპოვებული მიღწევები, რისი თქმაც არ შეიძლება ფეხბურთის შესახებ. ფეხბურთი საქართველოში ყოველთვის №1 სპორტის სახეობად ითვლებოდა. მუდმივად იყვნენ შესანიშნავი მოთამაშეები, ხოლო თბილისის „დინამო“ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მიიჩნეოდა.

სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, რომ თანამედროვე სპორტში სპორტსმენთა ტექნიკური, ტაქტიკური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადების დონე პროგრესულად იზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტის უმრავლეს სახეობებში ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა ვითარდებოდეს ფიზიკური თვისების - გამძლეობის ფონზე, თუმცა სხვა ფიზიკური თვისებების - სისწრაფის, ძალის, მოქნილობისა და სხვ. შემდგომი სრულყოფა ასევე საჭიროებს მწვრთნელის, სპორტსმენისა და სპორტის (გუნდის) ექიმისგან სათანადო ყურადღებას.

მართალია, თანამედროვე ფეხბურთი მოითხოვს მოთამაშის ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას, მაგრამ ფეხბურთში წვრთნის მიმართულებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელის გამძლეობის სათანადო დონეზე აყვანას, რაც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს მატჩებში წარმატების მოპოვებაში.

სპორტსმენთა, კერძოდ, ფეხბურთელთა ორგანიზმის ფიზიკური გამძლეობის დონის შემოწმება ხდება როგორც უშუალო წვრთნის დროს სპეციალური ფიზიკური დატვირთვებით, ისე მათი სამედიცინო შემოწმების შემთხვევაში ტესტირების მეთოდით, ამ დროს, სპორტსმენს უტარდება ფიზიოლოგიური გამოკვლევა - დოზირებული ფიზიკური დატვირთვა ველოერგომეტრზე. სწორედ ამ მეთოდით წარმოებს სპორტსმენის (ფეხბურთელის) ფიზიკური მუშაობის უნარიანობის განსაზღვრა, რაც ნათლად წარმოაჩენს მის მომზადებას გამძლეობაზე. სწორედ ამ ტესტირების მონაცემების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს თვითეული ფეხბურთელისადმი ინდივიდუალური მიდგომით, მათი თამაშებში დატვირთვა, ვინაიდან ფეხბურთელი შეიძლება იყოს მაღალტექნიკური, მაგრამ გამძლეობის მხრივ აღენიშნებოდეს დაბალი დონე, რომლის ამაღლება ზოგჯერ ვარჯიშით ვერ ხერხდება.

აღმოჩნდა, რომ ფიზიკური მუშაობისუნარიანობის ამსახველი ერთ-ერთი სიდიდე, რომელიც ფეხბურთელებში საშუალოდ 21-ს მაინც უნდა უდრიდეს, საქართველოს უმაღლესი ლიგის მოზრდილი ასაკის ფეხბურთელთა შორის მხოლოდ 18-20-ს უდრის, რაც, რასაკვირველია, მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი ფიზიკური მუშაობისუნარიანობით ჩვენი ფეხბურთის გუნდები ვერასოდეს ვერ შესძლებენ ითამაშონ თანამედროვე ფეხბურთი, ვინაიდან ამისთვის საჭიროა, რომ ეს მონაცემი საშუალოდ მაღალი დონის ფეხბურთელებს 21-23 უნდა ჰქონდეთ. იმედის მომცემი აღმოჩნდა მოზარდ ფეხბურთელთა ფიზიკური მუშაობისუნარიანობა, ანუ გამძლეობაზე მათი მომზადება. აღნიშნული მაჩვენებელი მათ საშუალოდ გავარჯიშების შემდეგ 18-19 აღმოაჩნდათ, რაც ამ ასაკის მოთამაშისათვის კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ შევადარეთ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის ფიზიკური მუშაობისუნარიანობა წამყვან მოჭიდავეთა ამავე პარამეტრის სიდიდეებს. ირკვევა, რომ მათი მომზადება გამძლეობაზე ერთნაირია, რაც ასე არ უნდა იყოს, ვინაიდან ფეხბურთელების და მოჭიდავეების წვრთნის მიმართულება გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმ თვალსაზრისით, რომ პირველის შემთხვევაში კუნთურ მუშაობაში ჭარბობს ფიზიკური დატვირთა გამძლეობაზე, ხოლო მეორეს ძირითადად ახასიათებს ფიზიკური დატვირთვები სისწრაფე-ძალაზე - უფრო ძალისმიერი ხასიათის.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, უნდა მივიჩნიოთ, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელთა მომზადებაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს მათი ფიზიკური თვისების - გამძლეობის დონის უფრო მეტად ამაღლების საქმეს.

და ბოლოს, დავანებოთ თავი მეცნიერებას და სრულიად მარტივად შევადაროთ ერთმანეთს ფეხბურთის მოყვარულების მატჩები, რომელსაც ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ტელევიზიით საქართველოს, ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ჩემპიონატებზე. სამწუხაროდ, საქართველოში მატჩები, ამ ქვეყნებთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ ტემპში და ხშირად ძალიან ულიმლამოდ ტარდება, რის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ჩვენი ფეხბურთელების გამძლეობის დაბალი დონე, რაც არ აძლევთ მათ ორივე ტაიმის მაღალ ტემპში ჩატარების საშუალებას. მართალია ამ ქვეყნებში ფეხბურთი უფრო განვითარებულია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შუა მოედანზე ბურთის ხშირი გორებით ფეხბურთში წინსვლა არ გვექნება.

**რომანოზ სვანიშვილი**

®

დებიუტანტი

# გიორგი თავზარაშვილი



### ჭადრაკი

**დაიბადა.** ქარელში 13. II. 1999 წ

**სწავლობს** ქარელის პირველი საჯარო სკოლის VIII კლასში.

**2008 წლიდან** ვარჯიშობს ქარელის სასპორტო სკოლის ჭადრაკის სექციაში.

**პირველი** და ამჟამინდელი მწვრთნელია **ოთარ დოლიძე.**

**სპორტული მიღწევები:** არის მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის (2010 წ, ქუთაისი), ბათუმის საერთაშორისო ტურნირის (2011), შავი ზღვის ქვეყნების „დელფინის“ თასის (2012, ბათუმი, ორჯერ), თამაზ ლომაიას მემორიალის (2012, თბილისი), საქართველოს ჩემპიონატის 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის (2013, თბილისი) გამარჯვებული.

**ოცნება:** საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მოპოვება.

**კერპი:** ალექსანდრე ალიოხინი.

**სხვა გატაცება:** ფეხბურთი.

**ვასილ ბალახაძე**

ჭადრაკი

# ორნი სათავეში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერი **სალომე მელია** შავი ფიგურებით ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ **ნინო ხურციძეს** შეუთანხმდა ყაიმზე. ამ ზავით ისარგებლა **მაკა ფურცელაძემ** - თეთრებით **სოფიო გვეტაძეს** აჯობა და ქულებით მელიას გაუტოლდა. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: **სოფიკო ხუხაშვილი-ნინო ბაციაშვილი** 0:1, **ლიკა კობეშავიძე-მაია ლომინეიშვილი** 0.5:0.5, **ინგა ხურცილავა-ანა კუჭავა** 1:0, **სოფიკო გურამიშვილი-მერი არაბიძე** 1:0.

სამი ტურის შემდეგ: მელია, ფურცელაძე-2.5-2.5, ხურციძე, გურამიშვილი, ხურცილავა-2-2, ლომინეიშვილი, ბაციაშვილი, ხუხაშვილი-1.5-1.5, კუჭავა-1, არაბიძე, გვეტაძე, კობეშავიძე-0.5-0.5 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ბაციაშვილი-არაბიძე, მელია-გურამიშვილი, კუჭავა-ხურციძე, ლომინეიშვილი-ხურცილავა, გვეტაძე-კობეშავიძე, ხუხაშვილი-ფურცელაძე.

**ვაჟა დანელია**



მაკა ფურცელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ინდიანამ ინტრიგა აღადგინა

მას შემდეგ, რაც "სან ანტონიო სპურსმა" ოპერატიულად გაიფორმა დასავლეთიდან ფინალის საგზური, საკალათბურთო საზოგადოების ყურადღება აღმოსავლეთზე გადაერთო. აქ, როგორც ჩანს, მთავარი ბრძოლა წინ არის. ყოველ შემთხვევაში, მეოთხე მატჩმა მაყურებელს მორიგი ინტრიგა მოუმზადა.

თამაში უკეთ მასპინძლებმა დაიწყეს: აქტიურმა დაცვამ და შეტევაში უსწრაფესმა გადასვლამ 11:0 გაქცევა გამოიწვია - ამისთვის "ინდიანას" სამი წუთი დასჭირდა. მესამე მატჩში უიმედო ნაგების შემდეგ, "პეისერსს" მეტოქის მიმართ ბევრი აგრესია ჰქონდა დაგროვილი.

"მაიამის" გამოცოცხლებაში **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი** დაეხმარნენ, რომელთა ურთიერთშეთამაშებამ საპასუხო სპურტი მოიტანა – 17:5, რის შემდეგაც, სტუმრებმა წინ გასვლა მოახერხეს.

სასტარტო 12-წუთეულის დასრულებამდე ორი წუთით ადრე, მეორე პერსონალური მიიღო **ჯორჯმა** და მას სათადარიგოთა სკამზე მოუწია გადანაცვლებამ. იმის გათვალისწინებით, რომ მოედანზე არ იყო **უესტი**, წამოიჭრა საკითხი - ვის უნდა დაყრდნობოდა შეტევაში "ინდიანა"? ამ პლეი ოფში პირველად არ ხდება, როცა გუნდს მშველელად **ლენს სტივენსონი** ევლინება, რომელიც საშუალო და შორი მანძილიდან ზუსტ ტყორცნებს სწრაფ გარღვევებსაც უნაცვლებდა, თან ამ შეტევებს დაცვაში თავად შესრულებული მოხსნების შემდეგ იწყებდა.

სწრაფი შეტევები "ინდიანას" წარმატების ერთ-ერთი მთავარი სანინდარი გახდა. სწორედ ასეთი ტაქტიკა აირჩია **ფრენკ ფოგელმა** "ჰიტის" მჭიდრო დაცვის წინააღმდეგ: შეტევის დასრულება იქამდე, სანამ ფლორიდელები დაცვაში სწორად განლაგებას მოასწრებდნენ. თუ პირველი ეშელონის შეტევა არაზუსტი იყო, იქვე მეორე ეშველებოდა. "ინდიანას" "მაღლები" კარგად უბამდნენ მხარს სწრაფ გარღვევებს და ამატებდნენ ბურთს პარტნიორების აცილების შემდეგ. ამავდროულად, თავად "პეისერსი" უკან მაქსიმალურად დისციპლინირებულად ბრუნდებოდა და "მაიამის" არ აძლევდა მისი ერთ-ერთი სახიფათო იარაღის გამოყენების საშუალებას.

სტივენსონის სნაიპერულ გმირობებს მხარი აუბეს უესტმა და **ჰიბერტმა** და ამ უკანასკნელის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, მასპინძლების უპირატესობა 9 ქულამდე გაიზარდა. თამაში უფრო გაიხსნა, რითაც მაშინვე ისარგებლა "ჰიტმა". სტუმრების რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევა და ლებრონის ზუსტი თამაში პირველი ტაიმის ბოლოს და ფლორიდელებმა ოპერატიულად შეამცირეს ჩამორჩენა.

მეორე ტაიმის სტარტი პირველისგან სრულიად განსხვავებული იყო. კარგი პრესინგისა და სწრაფი შეტევების ხარჯზე, "მაიამიმ" ოთხწუთნახევარში ერთქულიანი ჩამორჩენა ექვსქულიან უპირატესობად აქცია. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ, ოთხქულიანი ჰანდიკაპით უკვე "ინდიანა" იწონებდა თავს. ამით ერთმანეთისთვის საჩუქრების კეთება არ დასრულებულა. "ჰიტმა" ლიდერობის დაბრუნება სცადა, მაგრამ მეოთხედის ბოლოს უფრო მეტს აგებდა.

მეოთხე 12-წუთეულის სტარტზე "მაიამის" "მშრალი" სერია გაუგრძელდა – ბურთი არაფრის დიდებით არ ეშვებოდა კალათში. ცოტა ხნით წარმოიშვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ "მაიამი" გატყდებოდა და წინ საბოლოოდ გაუშვებდა "ინდიანას", მაგრამ ჩემპიონი ნაადრევად ფარხმალის დაყრას არ აპირებდა. ლებრონისა და კომპანიის მორიგი გაქცევის (11:2) შემდეგ, ტაბლოზე ასეთი ანგარიში დაფიქსირდა – 83:83. ბოლო ექვსი წუთი ბევრ საინტერესოს გვპირდებოდა. "ჰიტმა" მოახერხა ცოტა ხნით ლიდერობის მოპოვება **რეი ალენის** სამქულიანით, მაგრამ შემდეგ, პირველ პლანზე გამოვიდა მასპინძლების დაცვა.

შეხვედრის ბოლო წუთი სტუმრების სამქულიანი უპირატესობით იწყებოდა – 89:86. ამ დროის განმავლობაში, ფლორიდელებმა მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდეს, მასპინძლებმა კი 13 ქულა დააგროვეს. აქედან რვა ქულა სტივენსონისა და ჰიბერტის ანგარიშზე იყო. თუმცა სტუმრების ერთადერთ ზუსტ ტყორცნას შეეძლო გავლენა მოეხდინა შეხვედრის ბოლო ნაწილზე: წუთითა და 20 წამით ადრე ლებრონის სამქულიანის შემდეგ, "ჰიტი" ორ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს – 94:92. თითქოს ინიციატივა "მაიამის" მხარეს გადაიდოდა, მაგრამ შემდეგ შეტევაში ლებრონმა უცნაური პერსონალური მიიღო, რომელიც მისთვის მეექვსე იყო. "მეფემ" პლეი ოფში ჩატარებულ 128 მატჩში მეორედ დატოვა მოედანი ზედმეტი პერსონალურების გამო. მის გარეშე "მაიამი" მატჩის გადასარჩენად მზად არ აღმოჩნდა.

"პეისერსმა" შეინარჩუნა მოგება და ინტრიგა სერიაში. ახლა, ამ გუნდის წინაშე სავსებით რეალური მისიაა – თითოჯერ მოიგოს მაიამიში და ინდიანაპოლისში, რაც ამ სერიაში ერთხელ უკვე მოახერხა.

**ინდიანა–მაიამი 99:92**

**26:22, 22:25, 29:23, 22:22**

ი: ჰიბერტი (23+12 მოხსნა), სტივენსონი (20+5 მოხსნა), ჰილი (19+6 პასი+5 მოხსნა), უესტი (14+12 მოხსნა), ჯორჯი (12+8 მოხსნა+3 პასი).

მ: ჯეიმსი (24+6 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ჩელმერსი (20), უეიდი (16+6 პასი), ალენი (11+7 მოხსნა).

**სერია: 2-2**


შეტევაზე დუეინ უეიდი

ამბები

ოლიმპიზმი

## ნახევარი მილიარდი ფედერაციებისთვის

ამ დღეებში, რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა. გუშინ, სოკ-ის აღმასკომისა და ოლიმპიადის ზაფხულის თამაშების სპორტის სახეობათა ასოციაციის ერთობლივი შეხვედრა გაიმართა. ამ სხდომაზე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** დაასახელა თანხა, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციები ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სანაცვლოდ მიიღებენ.

*"2004 წელს, ათენის თამაშებში მონაწილეობისთვის ფედერაციებმა მიიღეს 256.1 მილიონი დოლარი,* - განაცხადა როგემ. - 2008 წლის თამაშების შემდეგ, ეს თანხა 15.6 პროცენტით გაიზარდა და 296 მილიონი შეადგინა. დღეს მე მოხარული ვარ გამოვაცხადო, რომ 2012 წელს, ლონდონის თამაშებში მონაწილეობისთვის ზაფხულის სპორტის სახეობათა ფედერაციები სარეკორდო თანხას მიიღებენ. მისი ოდენობა 519.6 მილიონი დოლარია. 2008 წლის ოლიმპიადასთან შედარებით, ზრდა 75 პროცენტს შეადგენს".

კალათბურთი

## კინგზმა მწვრთნელი შეარჩია

"საკრამენტო კინგზმა" ახალი მთავარი მწვრთნელის კანდიდატურა შეარჩია.

ამერიკული პრესა იტყობინება, რომ ამ დღეებში "მეფეების" ხელმძღვანელობა **მაიკ მელოუნთან** კონტრაქტის გაფორმების შესახებ გამოაცხადებს. ეს სპეციალისტი ბოლო სამი წლის განმავლობაში "გოლდენ სტეიტის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა.

აღვნიშნავთ, რომ 42 წლის მელოუნის კარიერაში არ არსებობს მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება, ხოლო NBA-ის კლუბებში ასისტენტის როლში ის 2003 წლიდან მუშაობს. "უორიორზის" გარდა, მელოუნი "კლივლენდისა" (2005-10) და "ნიუ იორკის" (2003-05) სამწვრთნელო შტაბში ირიცხებოდა.

## ლეგენდას ტვინის კიბო აქვს

ლეგენდარულ ბრაზილიელ კალათბურთელს **ოსკარ შმიდტს** თავის ტვინის სიმსივნე აღმოუჩინეს, - წერს Sportando.net. საქვეყნოდ აღიარებულმა სნაიპერმა და FIBA-ის დიდების დარბაზის წევრმა 30 აპრილს, სან პაულუში ოპერაცია გაიკეთა.

2011 წელს შმიდტს ანალოგიური დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ მაშინ სიმსივნე კეთილთვისებიანი აღმოჩნდა.

შმიდტმა ზედიზედ ხუთ ოლიმპიადაში (1980-96) მიიღო მონაწილეობა და სამჯერ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ბრაზილიელმა კარიერა 2003 წლის მაისში, 45 წლის ასაკში დაასრულა.

ჩოგბურთი

## დავიდენკომ უიმბლდონი იუარა

რუსული ჩოგბურთის ყოფილმა ლიდერმა **ნიკოლაი დავიდენკომ** განაცხადა, რომ არ ითამაშებს სეზონში "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირზე - უიმბლდონზე, რომელიც ივნისის ბოლოს ინგლისში დაიწყება.

პარიზში მიმდინარე როლან გაროსზე დავიდენკომ პირველი წრე გაიარა, როცა სამ სეტში დაამარცხა იტალიელი **ფლორან სერა**. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსმა განაცხადა, რომ არ ითამაშებს ზაფხულში ბალახის კორტებზე.

*"ბალახზე სერიოზული წარმატებისთვის არასოდეს მიმიღწევია"*, - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება დავიდენკომ, რომლის საუკეთესო შედეგი უიმბლდონზე მეოთხედფინალში გასვლაა, იმ დროს, როცა "დიდი სლემის" სხვა ყველა ტურნირზე მას არაერთხელ მიუღწევია მეოთხედფინალამდე.

წელს, უიმბლდონი 24 ივნისს დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ინგლისი-შოტლანდია | 3:0 |

**იტალია**

**სერია A/B. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ემპოლი-ლივორნო | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იომანი-ლიბანი | 1:1 |
| კატარი-აზერბაიჯანი | 1:1 |
| ეკვადორი-გერმანია | 2:4 |
| ინგლისი-ირლანდია | 1:1 |

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ისრაელი-სლოვაკეთი | 1:0 |

**ტულონის ტურნირი**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| მექსიკა-ნიგერია | 2:0 |
| ბელგია-ბრაზილია | 1:2 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-ბარსელონა | 1:1 პენ. 2:4 |

**ნორვეგიის თასი**

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ელვერუმი | 2:0 |
| ალტა-ჰიონეფოსი | 2:1 |
| ასკერი-ვოლერენგა | 2:3 |
| ბრანი-მიონდალენი | 1:2 |
| ჰიოდი-მიოლდე | 1:1 პენ. 4:5 |
| კვიკი-ლილესტრიომი | 0:2 |
| ლევანგერი-რუსენბორგი | 1:4 |
| ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 2:0 |
| რანჰეიმი-ოლესუნდი | 2:2 დ.დ. 4:2 |
| სიოგნდალი-ულ კისა | 4:3 |
| ტრომსიო-ფოლო | 3:1 |
| ვარდ ჰაუგესუნდი-ჰაუგესუნდი | 2:5 |
| ვიკინგი-ბრინი | 2:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-ჰელსინგბორგი | 1:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰონკა-ლაჰტი | 1:0 |
| იუვიასკიულა-ჰიკ | 1:3 |
| კუოპიო-ინტერი | 1:1 |
| როვანიემი-მიუპა | 2:1 |
| ტურკუ-მარიეჰამნი | 2:4 |
| ვაასა-იარო | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიიკინგიტი-სეინაიოენი | 1:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლოზანა-სერვეტი | 3:0 |
| ლუცერნი-სიონი | 2:0 |
| სტ. გალენი-გრასჰოპერსი | 1:2 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 0:1 |
| ციურიხი-თუნი | 2:0 |

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| პაოკ-ატრომიტოსი | 1:2 |
| ასტერასი-იანინა | 2:1 |

**სლოვენიის თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| მარიბორი-პუბლიკუმი | 1:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| კლუჟი-უნივერსიტატეა | 3:1 |
| პანდური-ასტრა | 1:1 |
| პეტროლული-გაზ მეთანი | 1:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ტაურასი-შიაულიაი | 0:2 |
| კრუიოია-სუდუვა | 0:2 |
| ეკრანასი-ჟალგირისი | 0:3 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ვარდარი | 1:1 |
| ტურნოვო-რაბოტნიჩკი | 3:0 |
| ნაპრედოკი-ბრეგალნიცა | 2:1 |
| პენოვა-დრიტა | 1:1 |
| შკენდია-პელისტერი | 0:1 |
| ტეტექსი-სილექსი | 4:0 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| ატ. პარანაენსე-კრუზეირო | 2:2 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-კაშივა | 0:0 |
| ურავა-ვეგალტა | 1:1 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-ნანტი | 89:55 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ოლდენბურგი-ულმი | 65:59 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 84:61 |
| ოლიმპიაკოსი-რეტიმნო | 77:62 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კანტუ-რომა | 81:73 |

TV პროგრამა

**30 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. ფინალი. სანტოსი-კორინთიანსი. საპასუხო მატჩი.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები
14:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბაიერნი-ბარსელონა. პირველი მატჩი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. დორტმუნდი-რეალი. პირველი მატჩი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი. საპასუხო მატჩი.
21:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვილემი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აუგსბურგი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ნიუელსი-ბოკა ხუნიორსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. I მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი. საპასუხო მატჩი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-ექსეტერი.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
22:00 საავტომობილო სპორტი. რალიკროსი. უნგრეთი. მიმოხილვა.
23:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 2008-09 წლები. II ნაწილი.
00:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. I მატჩი.
02:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 საჩოგბურთო მიმოხილვა
13:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო.
15:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
17:20 სპორტ-NEWS.
17:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.
19:40 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ნიუ იორკი.
21:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომა. იტალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 32 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 32 | (მზე) |
| ზუგდიდი | 16 | 31 | (მზე) |
| გორი | 13 | 26 | (მზე) |
| თელავი | 14 | 21 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 8 | 25 | (მზე) |
| მესტია | 8 | 25 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1224 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6418 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4711 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2087 |

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი




კინგზი ზეიმობს

# ტიტულის დაცვა გრძელდება

სერიის მეშვიდე მატჩი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც მთლიანი დაპირისპირების კულმინაციად მიიჩნევა. აქ ყოველი შეცდომა, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს, ყოველი წარმატებული მოქმედება – გამარჯვების მომტანი. ცნობისთვის, "ლოს ანჯელესს" უკანასკნელად სერიის მეშვიდე მატჩში შორეულ 1993 წელს ჰქონდა მოგებული, როცა იმ გუნდში დიადი **უეინ გრეტცკი** თამაშობდა, თან "კინგზს" სერიის მეშვიდე მატჩებში უარყოფითი ბალანსი ჰქონდა.

მასპინძლებმა გადამწყვეტი დარტყმა მეორე პერიოდში მიაყენეს მეტოქეს, როცა ორჯერ აიღეს "შარქსის" მეკარის **ანტი ნიემის** კარი. პირველი გოლი **ჯასტინ უილიამსმა** რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანა, მისივე მეორე შაიბა კი მატჩის მშვენება გამოვიდა: **ვოინოვის, კოპიტარისა** და უილიამსის სამსვლიანი კომბინაცია ცარიელ კუთხეში ერთი შეხებით დარტყმით დასრულდა.

ასევე შთამბეჭდავი იყო "სან ხოსეს" საფინალო შტურმი **კუიკის** კართან, მაგრამ "ზვიგენებმა" მხოლოდ ერთი საპასუხო შაიბა გაიტანეს. საბოლოოდ, უილიამსის დუბლი საკმარისი აღმოჩნდა "ლოს ანჯელესისთვის" ზედიზედ მეექვსე სერიის მოსაგებად.

ასე რომ, სტენლის თასის მოქმედი მფლობელი აგრძელებს გზას ტიტულის დასაცავად. ბოლოს, ზედიზედ ორჯერ თასი მოიგო იმავე "დეტროიტმა" (1997 და 1998). სავსებით შესაძლებელია, რომ "ლოს ანჯელესის" მეტოქე სწორედ "რედ უინგზი" გახდეს, რომელსაც ასევე მეშვიდე მატჩი ელის სტუმრად "ჩიკაგოსთან".

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 2:1**

**0:0, 2:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-3 (ვოინოვი-2, დაუტი-3), 2:0 ჯასტინ უილიამსი-4 (კოპიტარი-5, ვოინოვი-3), 2:1 დ. ბოილი-3 (პაველსკი-8).

**სერია:** 4-3

● ველოსპორტი

# Nike ლენსს საბოლოოდ ჩამოშორდა

სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელმა უმსხვილესმა კომპანიამ Nike-მა შეწყვიტა კიბოთი დაავადებულთა მხარდამჭერი ფონდის – Livestrong-ის სპონსორობა. ეს ორგანიზაცია, თავის დროზე, სკანდალურად ცნობილმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** შექმნა. ეს ინფორმაცია სააგენტო "როიტერმა" გაავრცელა.

Nike-ის გადაწყვეტილება დაადასტურა ფონდის წარმომადგენელმა **კეტრინ მაკლეინმა.**

*"Livestrong მადლობას უხდის კომპანიას მრავალწლიანი დახმარების გამო და იმედი აქვს, რომ გააგრძელებს კიბოთი დაზარალებულებზე ზრუნვას"*, - განაცხადა მაკლეინმა.

Nike-სა და Livestrong-ის თანამშრომლობა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, 2014 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო.

● კრივი

## შტურმი ივლისში იჩხუბებს

საშუალო წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონი, 34 წლის გერმანელი **ფელიქს შტურმი** თავის შემდეგ ბრძოლას 6 ივლისს, გერმანიაში ჩაატარებს. მისი მეტოქე იქნება პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **პრედრაგ რადოშევიჩი.** 28 წლის ჩერნოგორიელის ანგარიშზე 27 ბრძოლაში 27 გამარჯვებაა (9 – ნოკაუტით), თუმცა მას სერიოზული მეტოქე არასოდეს დაუმარცხებია.

## WBC მსოფლიოს თასს ჩაატარებს

WBC-ის პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა** გამოაცხადა იმის შესახებ, რომ 33 წლის კუბელმა **ოდლანიერ სოლისმა** თანხმობა განაცხადა WBC-ის მსოფლიოს თასის პირველ გათამაშებაში მონაწილეობაზე. ტურნირი მექსიკაში დაიწყება, თუმცა თარილი ჯერ არ არის დადგენილი.

მსოფლიოს თასს მსოფლიოს რამდენიმე ქალაქი უმასპინძლებს. ვარაუდობენ, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი წონითი კატეგორიის 48 მოკრივე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ყველაზე დამაჯერებელი როჯერ ფედერერია

როლან გაროსზე გუშინ დასრულდა წვიმის გამო გადადებული პირველი წრის მატჩები და პარალელურად, სტარტი აიღო მეორე რაუნდმა.

მამაკაცთა ბადეში ყველა ფავორიტი ვნახეთ საქმეში: გვახსოვს **რაფა ნადალის** მიერ წაგებული ერთი სეტი გერმანელ **ბრანდსთან** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** საკმაოდ რთული მატჩი **გოფენის** წინააღმდეგ. ჯერჯერობით, ყველაზე დამაჯერებლად **როჯერ ფედერერი** გამოიყურება, რომელმაც მეორე მატჩი ჩაატარა და კვლავ იოლი გასეირნება გამოუვიდა. ამჯერად, შვეიცარიელმა მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო ინდოელ **სომდევ დევარმანს** - 6:2, 6:1, 6:1.

ფედერერი სრულად დომინირებდა კორტზე და 14-დან 7 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, საკუთარ მოწოდებაზე ქულების 74 პროცენტი აილო და 82 წუთში მოამთავრა საქმე.

შვეიცარიელი მესამე რაუნდში ფრანგ **ჟულიან ბენეტოზე** გავიდა და ამ ჩოგბურთელთან რევანშზე ზრუნვა მოუწევს. ბენეტომ შარშან, უიმბლდონის 1/16-ფინალში მოუგო როჯერს, შემდეგ ფედერერმა ფრანგს ლონდონის ოლიმპიადაზე სძლია, მაგრამ ამ ჩოგბურთელთა დაპირისპირებაში ბოლო სიტყვა მაინც ფრანგმა თქვა - წელს, როტერდამში სძლია ლეგენდას.

ჯერჯერობით კარგი ფორმის დემონსტრირებას ახდენს ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელმაც ორით მეტი გეიმი წააგო, ვიდრე ფედერერმა, თუმცა, როჯერისგან განსხვავებით, გაცილებით რთული მეტოქე ჰყავდა თანამემამულე **ალბერტ მონტანიესის** სახით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა, გასულ კვირას ნიცას ტურნირი მოიგო, როცა ფინალში ფრანგი **გაელ მონფილსი** დაამარცხა.

თამაში საათი და 41 წუთი გაგრძელდა, ფერერმა მხოლოდ 21 უნებლიე შეცდომა დაუშვა და 6:2, 6:1, 6:3 მოიგო. დავიდი ზედიზედ მეცხრედ გავიდა როლან გაროსზე მესამე წრეში. მისი შემდეგი მეტოქე ასევე ესპანელი ფელისიანო ლოპესი იქნება.

დიდ ინტერესს იწვევდა ფრანგი **ჟოვილფრიდ ცონგასა** და ფინელი **იარკო ნიემინენის** მატჩი. სკანდინაველმა სულ ცოტა ხნის წინ, მონტე კარლოს მასტერსზე **ხუან მარტინ დელ პოტროს** აჯობა, რაც მის კარგ ფიზიკურ ფორმაზე მეტყველებდა. გუშინ, ნიემინენმა ცონგაც გვარიანად აწვალა, სამი საათი გაუძლო მასპინძელს, მაგრამ მაინც სამ სეტში წააგო - 6:7(6), 4:6, 3:6. ჟოს ანგარიშზე იყო 8 ეისი და 35 „ვინერსი". მერვედფინალში გასასვლელად ცონგა თანამემამულე ჟერემი შარდის შეხვდება.

გუშინ, ფრანგების ყველა იმედმა მოიგო. **ჟილ სიმონმა** გრუნტზე მე-100 გამარჯვება მოიპოვა, როცა **პაბლო კუევასთან** პირველი სეტის წაგების შემდეგ, მომდევნო სამ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო მოწინააღმდეგეს. რაც შეეხება პირველ წრეში **ტომაშ ბერდიხის** მძლეველ გაელ მონფილს, მან ლატვიელი **ერნესტ გულბისის** ბარიერიც გაიარა. ამისთვის მას ოთხი სეტის ჩატარება დასჭირდა.

დაასრულა როლან გაროსზე გამოსვლა პირველი წრის ერთ-ერთმა სენსაციამ, 18 წლის ავსტრალიელმა **ნიკ კირიოსმა**, რომელმაც **რადეკ შტეპანეკი** დაამარცხა. თუმცა თინეიჯერმა **მარინ ჩილიჩის** წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო - 4:6, 2:6, 2:6. ჩილიჩმა ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას საკუთარი მოწოდებაზე კარგი თამაშით მიაღწია - 35 პირველი მოწოდებიდან 32 ქულის ალება შეძლო და მესამე წრეში სერბ **ვიქტორ ტროიცკის** შეხვდება.

სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა**, რომელმაც როლან გაროსამდე ზედიზედ სამი ტურნირის პირველი წრე წააგო, ამჯერად ოთხ სეტში დაამარცხა მასპინძელი **ნიკოლა მაუ** და მესამე წრეში ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოზე** გავიდა.

საიუბილეო გამარჯვება ჰქონდა გუშინ კანადელ **მილოშ რაონიჩს** - მან პროფესიულ ტურში მე-100 გამარჯვებას მიაღწია, როცა ოთხ სეტში გაუსწორდა ფრანგ **მიკაელ ლოდრას.** როგორც ყოველთვის, რაინოჩმა თავის მოწოდებაზე კარგად ითამაშა - ქულების 84 პროცენტი აილო.

**კაცები**

**I წრე**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:2, 7:6(4), 6:1; **ბენუა პერი (საფ, 24)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 3:6, 7:6(1), 6:4, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-მაქსიმ ტეიშეირა (საფ) 6:4, 5:7, 7:6(7), 6:2; **ორასიო სებალიოსი (არგ)**-ვაშეკ პოსპიშილი (კან) 7:6(9), 6:4, 6:7(4), 2:6, 8:6.

**II წრე**

**გაელ მონფილი (საფ)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:7(5), 6:4, 7:6(4), 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 32)**-იგორ სისლინგი (ჰოლ) 6:7(2), 4:6, 6:3, 6:1, 6:1; **ანდრეას სეპი (იტა, 20)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:0, 7:6(3), 6:7(2), 4:6, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 11)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:2, 6:4, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან, 14)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 7:5, 6:3, 6:7(3), 6:2; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 23)**-ევგენი დონსკოი (რუს) 6:7(8), 6:1, 7:5, 6:2; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ჟოაო სოუზა (პორ) 3:6, 6:3, 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 6:1, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:6(6), 6:4, 6:3; **ჟერემი შარდი (საფ, 25)**-რობერტო ბაუტისტა (ესპ) 6:1, 7:5, 6:4; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-დანიელ ხიმენო ტრავერი (ესპ) 4:6, 7:6(4), 6:0, 6:7(7), 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 10)**-ნიკ კირგიოსი (ავსტრა) 6:4, 6:2, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 15)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:7(2), 6:1, 6:1, 6:1; **სემ კუერი (აშშ, 18)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:4, 7:5, 6:4; **ჟულიან ბენეტო (საფ, 30)**-ტობიას კამკე (გერ) 7:6(9), 7:5, 5:7, 0:6, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 6:2, 6:1, 6:1.

## 10 ამერიკელი მეორე რაუნდში

ქალთა ბადეში ჩასატარებელი იყო წინა დღიდან გადმოტანილი პირველი წრის ათი შეხვედრა. ერთ-ერთში ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** რუს **ელენა ვესნინას** ხვდებოდა და იოლად მოიგო - 6:1, 6:4. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა მეტად აკურატულად ითამაშა - მხოლოდ 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

პირველ წრეში **ანა ტატიშვილის** განადგურების შემდეგ, **სერენა უილიამსმა** არც ფრანგი **კაროლინ გარსია** დაინდო. 19 წლის მასპინძელმა მხოლოდ სამი გეიმის ალება შეძლო და წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს პირველ ჩოგანს, რომელმაც მოგებათა სერია 26 მატჩამდე აიყვანა.

საერთოდ, წლევანდელ როლან გაროსზე ამერიკელი ქალები კარგად გამოდიან - მეორე რაუნდში ამ ქვეყნის ერთბაშად ათმა წარმომადგენელმა გაალწია. მათგან ერთ-ერთია **ჯეიმი ჰემპტონი**, ვინც მოულოდნელად ჩეხი განთესილის **ლუსი საფაროვას** დამარცხება შეძლო. ეს ჰემპტონის პირველი გამარჯვებაა როლან გაროსზე.

ისევ შორს არის ოპტიმალური სპორტული ფორმისგან დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი.** წინა რაუნდში ბრიტანელი **ლორა რობსონის** დამაჯერებლად დამარცხების შემდეგ ყველას ეგონა, რომ სკანდინაველი კარგად იყო მზად წლევანდელი როლან გაროსისთვის, მაგრამ გუშინ, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ორ სეტში წააგო სერბ **ბოიანა იოვანოვსკისთან** - 6:7(2), 3:6. დანიელი ძალიან ინერტული იყო - მხოლოდ 13 „ვინერსი" შეასრულა, როცა მისმა მეტოქემ 33 „ვინერსი" დააფიქსირა.

**ქალები**

**I წრე**

**კაია კანეპი (ესტ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 23) 7:6(3), 6:2; **სტეფანი ფოგელი (შვეიც)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 6:4, 2:6, 6:4; **ეშლი ბარტი (ავსტრა)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 7:5, 2:6, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 12)**-ნინა ბრატჩიკოვა (პორ) 6:0, 6:1; **ანიკა ბეკი (გერ)**-სანდა ზახვალოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 7)**-არავან რეზაი (საფ) 6:3, 4:6, 6:2; **შუაი პენგი (ჩინ)**-კამილა ჯორჯი (იტა) 6:4, 6:2; **ანა კაროლინა შმიედლოვა (სლოვაკ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 7:6(5), 2:6, 6:2; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25) 7:6(5), 3:6, 9:7.

**II წრე**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-კაროლინ გარსია (საფ) 6:1, 6:2; **სორანა კირსტეა (რუმ, 26)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:1, 6:4; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 19) 7:5, 2:6, 6:4; **რობერტა ვინჩი (იტა, 15)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 6:4, 4:6, 6:2; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10) 7:6(2), 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 1:6, 6:2, 6:2; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ, 29)**-ელინა სვიტოლინა (უკრ) 7:6(5), 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 8)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 6:2, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-მელორი ბურდეტი (აშშ) 6:3, 6:2; **დინა პფიცენმაიერი (გერ)**-უ. რადვანსკა (პოლ) 6:3, 6:3; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ჟუჟანა კუკოვა (სლოვაკ) 4:6, 6:2, 6:0; **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:2, 6:2; **მონიკა პუიგი (პ-რიკ)**-მედისონ კისი (აშშ) 6:4, 7:6(2); **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 20)**-შელბი როჯერსი (აშშ) 3:6, 6:4, 6:4; **საბინ ლისიცკი (გერ, 32)**-მარია-ტერეზა ტორო-ფლორი (ესპ) 6:4, 6:0; **სარა ერანი (იტა, 5)**-იულია პუტინცევა (ყაზ) 6:1, 6:1.




ვოზნიაცკი ისევ გამოვარდა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608